# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 28 მაისი 2002 №95 (1617) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოკომოტივი ლოჟაში, ტორპედო პარტერში
## არც ძოძუაშვილი, არც ყიფიანის თასი



ზაზა ჯანაშიამ სიტყვა შეასრულა, „ლოკომოტივის" მეორე გოლი მისი იყო



„ლოკომოტივის" კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა ხელი თასით დაიმშვენა

„ლოკომოტივ" — „ტორპედოს" ტრადიციად ქცეულ სათასო ფინალში წინანდელთაგან განსხვავებით საქმე პენალტებამდე არ მისულა — გასაკვირიც იქნებოდა, რკინიგზელებს საქმე აქამდე მიეყვანათ, იმხელა უპირატესობას ფლობდნენ. ამგვარად თბილისელებმა ჯავრი იყარეს ოთხი დღით ადრე იმავე „ტორპედოსგან" წართმეული ჩემპიონობისთვის. „ტორპედომ" წააგო, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილი არ დამარცხებულა, რაკი ქუთაისელთა თავკაცი იმ დროისთვის გუნდიდან წასული იყო... ზაზა ჯანაშია კი სიტყვის კაცია, თამაშამდე თქვა, მომეცით პასი და აუცილებლად გავიტანო. ჰოდა, მისცეს კიდეც, ზაზამაც გაიტანა. ჯანაშიამდე ჩემპიონატის მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილმაც შეაგდო და აი, შედეგიც — ბოლო სამ წელიწადში „ლოკომოტივმა" თასი მეორედ მოიგო.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

### კორეა-იაპონია 2002
### მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე



ზინედინ ზიდანი დაშავდა და ამ უქმეების მთავარი ამბავიც ეს არის. ზიდანი ჩემპიონატის გახსნის მატჩს გამოტოვებს და, შესაძლოა, ვერც შემდეგ შეხვედრაში ითამაშოს

ინგლისის ნაკრებმა კამერუნისას ვერ სძლია მუნდიალისწინა ბოლო ამხანაგურ მატჩში, მაგრამ საქმე მაინც კარგადაა — სვენ გორან ერიქსონის დაშავებული ბიჭები, მათ შორის დევიდ ბექჰემიც, დღედღეზე ფეხზე დადგებიან



ფილიპო ინძაგიმ „საუდის არაბეთისთვის" გოლი გაიტანა, კრისტიან ვიერისაც გაატანინა, დაუნდობელმა წიხლმა კი თავად მოედნიდან გასაყვანი გახადა

## კალათბურთის ჩემპიონატი
## ბასკომ მესამე ჩემპიონობა ჩაითვალა

პირველად რუსთავის „აზოტმა" სცადა ბედი. სტუ-ც ამაოდ დაშვრა და ახლა „დინამოსაც" მოეცარა ხელი. იყო დრო, „დინამო" თვით ქართული კალათბურთი იყო. მაგრამ დღეს სხვა დროა, უდიდესი ტრადიციების გუნდმა ვერ შეძლო ტრადიციის დარღვევა. ქართულ კალათბურთში რესტავრაცია არ მომხდარა, ქართული კალათბურთის ბოლოდროინდელი მეტახტე — ბათუმის „ბასკო" ჰყავს. ჩამოვიდნენ შავზღვისპირელები თბილისში, მესამე თამაშიც მოუგეს „დინამოს" და არსებობის სამი წლის განმავლობაში მესამედ ჩაიტანეს ქართული თასი ბათუმში.

სამწუხაროდ, ჩვენს ტურფა ქვეყანაში სხვა ტრადიციაც არსებობს, ჩხუბის და აყალმაყალის ტრადიცია და საწყენიც ესაა, რომ ხშირად მოთამაშენი ხმის აწევით და ერთმანეთზე გაწევით და არა მეტოქის მოედანზე ძლევით ცდილობენ საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. გვისწავლია, კალათბურთი სპორტია და აქ სპორტული პრინციპები უნდა მეფობდეს. მართალია, ისტორია 2002 წელს ბათუმის „ბასკოს" მიერ თბილისის „დინამოს" 3:0 ძლევას შემოინახავს და ალბათ დაივიწყებს ამ სერიის თანმხლებ არასპორტულ მოვლენებს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ დღევანდელი კალათბურთი იმურდლება?

დაძაბულ ბრძოლაში გაილია მეთერთმეტე ეროვნულის ფინალური სერია. დავის და ჩხუბის მოყვარულნი ბევრ სადავო-საჩხუბარს ნახავდნენ ამ თამაშებში და ჩვენი კალათბურთის მარად თანმხლებ გინებასაც ფართო გასაქანი მიეცა. მაგრამ მაინც, მთავარი ისაა, რომ მრავალმხრივ შეცდომათა ზღვაში პირველობა ღირსეულს ერგო. „ბასკო" ღირსეული ჩემპიონია.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



„ბასკოს" რუსმა მწვრთნელმა პაველ გოოგემ და მისმა შეგირდებმა, მანუჩარ მარკოიშვილმა, ჯეფ როჯერსმა, პლასიდე როდუმტამ და ნიკ დილონმა ქართული ოქრო ჩამოიკიდეს

# რევაზ ძოძუაშვილი: გაფრენამდე წავედი

## ტორპედოს მწვრთნელი ქუთაისელებმა შეაშინეს



*საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა დატოვა. ეს ამბავი კვირა დილით, დავით ყიფიანის თასის ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე გაცხადდა. რევაზ ძოძუაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც ჯერ „ლოკომოტივმა“ მოიპოვა ქვეყნის თასი, მერე კი „ტორპედომ“, სწორედ ფინალის დღეს გაეყარა რამდენიმე დღით ადრე მისივე თაჯკაცობით გაჩემპიონებულ ქუთაისელებს.*

*მწვრთნელის ასეთი ნაბიჯი მოულოდნელი იყო. ძოძუაშვილს 26 მაისს „ეროვნულზე“ ელოდნენ, ის კი თურმე, ტელევიზორთან მოკალათებულიყო...*

— საქართველოს ნაკრები, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, ქართული პრესა, გულშემატკივრები — სწორად გამიგეთ, ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ლატვიიდან საქართველოში დავბრუნდი, სანერვიულო არ დამკლებია, ვიბრძოდი და აი, ახლა გამოვიფიტე. დასვენება მჭირდება, ერთი ორი კვირა რომ არ დავისვენო, გავაფრენ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა — დიახ, გავაფრენ, ამდენი მთელს ცხოვრებაში ერთად არ მინერვიულია.

— თქვენი გასაგებია, მაგრამ მაინც, ვერავინ წარმოიდგენდა ჩემპიონი გუნდის მწვრთნელი თუ გადადგომას ფინალის დღეს ითხოვდა.

— ზუსტად იმ დილას ვიგრძენი, რომ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა არ შემეძლო. ქუთაისში „დინამოსთან“ საჩემპიონო მატჩმა კინაღამ ჭკუიდან შემშალა, რომ არ მოგვეგო, ალბათ, გული გამისკდებოდა — „ტორპედოს“ 30 000 კაცი ქომაგობდა. ფინალამდე კი თავს შევატყვე, სტრესისგან გუნდს გულიანად ვერ ვუთავკაცებდი, ჰოდა უგულოდ მწვრთნელობას, გაცლა და დასვენება ვამჯობინე.

— ამბობენ, რევაზ ძოძუაშვილმა წინასწარ იცოდა თასის პატრონი „ლოკომოტივი“ რომ იქნებოდა და ასეთ საქმეში შეგნებულად არ გაერიაო...

— ყველაფერზე შეიძლება იჭორაო. მე ყოველთვის ჩემს გუნდთან ვარ. არ ვიცი, რა მოხდა. „ტორპედოს“ გასაჭირს აქამდეც ვიზიარებდი და მომავალშიც ასე იქნება.

— და მაინც, მხოლოდ გადაღლილობაა „ტორპედოდან“ თქვენი წასვლის მიზეზი?

— რატომ არ გჯერათ, მართლა ცუდად ვარ, გაიგეთ, გამოვიფიტე. თანაც წარმოიდგინეთ, გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერში პირველობას რომ გთხოვს. საქართველოს ჩემპიონატი? მოვიგეთ. მერე თასი, ჩემპიონთა ლიგის ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვაო, კი მაგრამ, ფული? რაც უფრო ზემოთ იხედება ხელმძღვანელობა, მით მეტი ხელშეწყობაა საჭირო. არ ვარ მართალი? მე ვერავის მოვატყუებ და მით უმეტეს საკუთარ თავს. დღე-ღამე გასწორებული მქონდა „ტორპედოს“ საკეთილდღეოდ მუშაობაში. ახლა მაინც დავისვენებ. მსოფლიოს ჩემპიონატს ჩავუჯდები და ვისიამოვნებ.

— „ტორპედოში“ თქვენი დაბრუნება გამორიცხულია?

— გამორიცხულია. „ტორპედოში“ აღარ დავბრუნდები.

— დიდ ხანს აპირებთ დასვენებას?

— ორი კვირა მაინც.

— მართალია, ძოძუაშვილს ვლადიკავკაზის „ალანია“ ეპატიჟებაო?

— რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე, ვიდრე „ალანიას“ მწვრთნელად ვლადიმერ მუნტიანს დანიშნავდნენ, მართლაც იყო ვარიანტი, რომ მუშაობა ვლადიკავკაზში გამეგრძელებინა. როსტოვშიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ რომ წავსულიყავი, გამამტყუნებდნენ, იტყოდნენ, „ტორპედო“ შუა გზაში მიატოვაო.

— ისიც გავიგეთ, თითქოს თბილისის „ლოკომოტივში“ აპირებთ დაბრუნებას...

— ჯერ ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი. თურქეთში, ლატვიაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში სამუშაოდ წასვლის ვარიანტებიც მაქვს. თუმც... ჯერ უნდა დავისვენო. მერე კი აქაურ კლუბთა პრეზიდენტებს დაველაპარაკები და ვნახოთ, გადავწყვეტ, ღირს თუ არა აქ მუშაობა. ისე კი, მართალია, ჩემს „ლოკომოტივში“ მისვლაზე ჭორაობდნენ.

*რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედოდან“ წასვლის შემდეგ ალაპარაკდნენ, გუნდი გენერალურმა მენეჯერმა* ***ვლადიმერ მუცაევმაც*** *დატოვაო, თუმც, როგორც თავად მუცაევმა გვითხრა, ძოძუაშვილს პირველად სწორედ მისთვის განუცხადებია, გუნდიდან წავედიო. თავად კი კვლავ კლუბშია და სხვათა შორის, პარასკევს, ფინალამდე ორი დღით ადრე, მუცაევი თბილისში თითქმის მთელი დღე ესაუბრებოდა „ტორპედოს“ მოსკოვში მოღვაწე პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს.*

— ნერვები აღარ მივარგა, გადავიღალე და დასვენება მჭირდება გუნდიდან მივდივარო, მითხრა რევაზ ძოძუაშვილმა 26 მაისის დილას. დასაფასებელია ამ კაცის მუშაობა, მან „ტორპედოსთვის“ ბევრი გააკეთა.

— ხინიკაძესთან ფეხბურთელების დამატებაზე გისაუბრიათ...

— კი, ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გადაგვიწყვეტია. ან კი რა აზრი აქვს ახლა რაიმეს თქმას, ჯერ უნდა გავარკვიოთ, ძოძუაშვილი დარჩება „ტორპედოში“, თუ არა. ახალ ფეხბურთელთა მოწვევამდე მწვრთნელის საკითხი უნდა გავარკვიოთ.

— ჯერ კიდევ გასარკვევია ძოძუაშვილი დარჩება თუ არა?

— დიახ, გასარკვევია. ორ კვირაში მას შევხვდებით და ვეცდებით გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ. მან თქვა, ორი კვირა მადროვეთო.

— „ტორპედოს“ ფეხბურთელებს „ალანიამ“ დაადგა თვალიო, მართალია?

— „დინამოსთან“ „ტორპედოს“ მატჩს ვლადიკავკაზის „ალანიას“ ექვსი წარმომადგენელი ესწრებოდა. თამაშის შემდეგ მათ შევხვდი და მითხრეს, რომ „ტორპედოს“ რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესდნენ, გვარები კი არ უთქვამთ. არც ჩავძიებივარ.

**კობა ინასარიძე**

# ჭურაძე ნახევად ლირს

ფოთის „კოლხეთისა“ და „ბათუმის“ უარის შემდეგ ინტერტოტოსკენ გზახსნილი „ვიტ ჯორჯია“ ერთკვირიან შვებულებაშია. ვიტელები საევროპოდ სამზადისს 31 მაისს დაიწყებენ, მანამდე კი გუნდში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი.

ჯერჯერობით კონკრეტულად მხოლოდ ერთი ამბავია გადაწყვეტილი. ვეტერინართა მეკარე სერგო ჭურაძე ხვალ ვლადიკავკაზში მიემგზავრება და ეცდება, იქაური „ალანიას“ თავკაცებს თავი მოაწონოს. თბილისელთა პრეზიდენტ გურამ რუხაძის თქმით, ჭურაძეს ოსეთში ვარჯიშებზე დააკვირდებიან და თუ სერგომ მუნტიანისგან დადებითი შეფასება მიიღო, მაშინ „დინამოში“ დარჩება.

თუმც მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მართალია, ჭურაძე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, მაგრამ არც რუსული სამეკარეო სკოლაა იოლად დასალაშქრი. უმჯობესია, ჩვენებურმა და ვლადიკავკაზელებმა ერთმანეთს გაუგონ, რაც გაუმხელელი არ დარჩება.

რუსეთისკენ კიდევ ერთი ვიტელი, სწრაფი მარცხენაფლანგელი ოლეგ გველესიანი ემურებოდა. მას თითქოს მოსკოვური „ტორპედოდან“ უნდა შეხმიანებოდნენ, მაგრამ გველესიანს „ვიტ ჯორჯია“ ვერ ელევა.

— თითქოს მოსკოვიდან „ტორპედოს“ წარმომადგენლები უნდა დაგვკავშირებოდნენ, მაგრამ მათ დაიგვიანეს და გველესიანიც ჩვენთან დარჩება. მას „ვიტ-ჯორჯიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ინტერტოტოზე და მომდევნო ჩემპიონატშიც ჩვენი კლუბის მაისურით ითამაშებს — გვითხრა გუშინ ვიტელთა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

**მამუკა ძვანტალიანი**


სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობა დღეს 16 საათზე, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე აწყობს პრესკონფერენციას


**ნორვეგია**

IX ტური

სტაბეკი 5:0 ლინი

**ფინეთი**

VI ტური

ჰიკ 4:2 იარო

ჰაკენლინა ⚔ ტამპერე

# დავით ყიფიანის თასი ფინალი

თბილისი. 26 მაისი. ეროვნული. 18 საათი. 10 000 (ტევადობა 70 900)

## ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

1:0 დავითაშვილი (34), 2:0 ჯანაშია (64)

| ლოკომოტივი | ტორპედო |
|---|---|
| ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი, გელა ქორიძე (დავითნიძე 90), ქიქვიშვილი (ზ. ლაცაბიძე 88), სირაძე, ქ. გოგიჩაიშვილი, ზ. ჯანაშია, დავითაშვილი (რუსია 67) სათადარიგონი: ივარდავა, მამნავა, დათუაძე, კაიდარაშვილი მწვრთნელები: სერგო კუტივაძე, გია ჯიშკარიანი | ტორპედო: სტურუა, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა (ახალკაცი 69), ლ. ქელიძე, ქემოკლიძე, დიდავა (შ. ბაბუნაშვილი 46), იონანიძე, გ. ასათიანი, პოროშინი (ზ. ქუთათელაძე 60) სათადარიგონი: ტოგონიძე, აკოფიანი, გამეზარდაშვილი, ძამაშვილი მწვრთნელი: სოსო ჭრუაძე |

გაფრთხილება: დიდავა (19), ბალაშვილი (67), ასათიანი (85)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 15-15; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 9-6; თამაშგარე: 4-1

# ლოკომოტივი ლოჟაში, ტორპედო პარტერში

## ეს ლიანდაგი თასისკენ მიდის

**გიორგი დარჯანია**

თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო:

თარიღი ტრადიციული — 26 მაისი;

შეხვედრის ადგილიც ტრადიციული — ეროვნული სტადიონი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, შარშან დაუთმო თასის ფინალის მასპინძლობის უფლება „ლოკომოტივის“ სტადიონს საპატიო მიზეზის გამო;

ეროვნული ჰიმნის შესრულების დროსაც ძველი ამბავი გამეორდა — შუაში პაუზა, ხალხს დასასრული რომ ჰგონია და ტაშს დასცხებს;

მეტოქეებიც ბოლო ორ წელიწადს ტრადიციულად ქცეულნი — „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“.

თუმცა განსხვავებაც იყო — სამწუხარო მიზეზის გამო გუნდები დავით ყიფიანის სახელობის თასს ეცილებოდნენ ერთმანეთს, ხოლო დაკვირვებული თვალი უმალ შეამჩნევდა, რომ ქუთაისელთა თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი არსად ჩანდა. მწვრთნელის არყოფნამ, ცხადია, ვერსიები ააგორა, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა, თან მატჩიც დაიწყო და ყურადღებაც „ტორპედოს“ სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე გადავიდა.

მატჩის დაწყებიდან ორი წუთი იყო გასული, როცა რკინიგზელებმა მესამე კუთხური ჩააწოდეს ქუთაისელთა კართან. სახიფათო ჩაწოდებები არ ყოფილა, მცველებმა იოლად მოიგერიეს, მაგრამ თბილისელთა უფრო მეტი მონდომება აქედანვე გამოჩნდა.

სამი წუთიც და ზვიად სტურუას კარის ბადე კინაღამ შეირხა — ზაზა ჯანაშიამ მეკარის ბაქნიდან დაჰკრა და გოლიც თითქოს გარდაუვალი იყო, ბოლო მომენტში ქუთაისელ მცველს რომ არ მოეხერხებინა ფეხის დახვედრება და ბურთის კუთხურზე გადაგდება.



ქუთაისელთა მეკარეს ზვიად სტურუას საქმე არ გამოლევია



დავით სირაძის (№20) საჯარიმომ ქუთაისელთა კედელს ვერაფერი დააკლო



ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი უგოლოდ არც თასის ფინალში დარჩენილა

რაკილა უპირატესობა იგრძნეს, მეტოქე კი მათ საჯარიმოსთან მიახლოვებას ვერ ახერხებდა, ლოკომოტიველებმა გაილაღეს და მალევე ერთი სახიფათო იერიშიც მოაწყვეს — ცენტრის სიახლოვეს ქუთაისელი ფეხბურთელი ორთაბრძოლისას წაიქცა, მისი თანაგუნდელები ჯარიმის დანიშვნას ელოდნენ და წამით შეყოვნდნენ, მაგრამ კახაბერ მესხს არ ჩაუსტვენია, ხოლო ლოკოელებმა გრძელი პასით ჯანაშია მეკარეს შეატოვეს. დარტყმაც კარგი გამოვიდა, სტურუამ უხერხულად მოიგერია და ბურთს კარის ხაზზეღა მოუსწრო. ერთი სიტყვით, დასაწყისი ისეთი იყო, წინა სამი ფინალის 0:0 ძნელად წარმოსადგენი ჩანდა.

გიორგი ლომაია კი, ქუთაისელი კოლეგისგან განსხვავებით, უქმად იდგა კარში და ბურთს კარგა ხანს არც შეხებია. ერთი-ორჯერ კი მოუხდა თამაშში ჩართვა, მაგრამ იმდენად უხიფათო მომენტები იყო, მოსაყოლადაც არ ღირს, ხოლო რომელ წუთზე დაარტყეს ქუთაისელებმა პირველად მისი კარისკენ, ამაზე ქვემოთ ვთქვათ.

„ლოკომოტივი" იერიშებს განაგრძობდა. სტურუას კვლავაც მოუხდა კარის გადარჩენა, მერე კი გივი დიდავა შეცდა. ჯანაშია კარისკენ გაიჭრა, მაგრამ ბურთი ძალიან წინ გაიგდო და მეკარე ასწრებდა, ქუთაისელთა კაპიტანმა ბურთს მაინც წაჰკრა ფეხი, სტურუაც დაიბნა, ხელში დაიჭირა და, ცხადია, თავისუფალი დარტყმაც დაინიშნა. საკამათოც არაფერი ყოფილა, მაგრამ დიდავა კამათისთვის ყვითელ ბარათს გამორჩა. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა — დაგორებული ბურთი დავით სირაძემ ცოცხალ კედელს გაარტყა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ქუთაისელი გულშემატკივრები წამითაც არ გაჩერებულან და სანაქებოდ ქომაგობდნენ თავიანთ ფეხბურთელებს და კარგადაც ფარავდნენ „ლოკომოტივის" ქომაგების ხმას.

ნახევარსაათიანი უშედეგო იერიშების მერე „ლოკომოტივმა" წუთშესვენება მოიწყო — ლომაია და მცველები ერთხანს ერთმანეთში აგორებდნენ ბურთს და, როგორც გაირკვა, გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებოდნენ.

34-ე წუთი: ზვიად სტურუამ დავით ჭიჭველიშვილის დარტყმული მოიგერია, ბურთი სულიკო დავითაშვილს მიუვიდა და ჩემპიონატის მთავარმეგოლემ ზუსტად დაარტყა — 1:0.

შესვენებამდე „ლოკომოტივს" კიდევ ჰქონდა მომენტები, სირაძის წაქცევისთვის დანიშნულ საჯარიმო კარს ასცდა, სულ ბოლოს კი მეკარის ბაქანში მყოფ ჯანაშიას ბურთი ფეხზე მოხვდა... მხოლოდ მოხვდა და ტაიმიც დასრულდა.

შესვენება ხალისიანი გამოდგა — განთქმულმა მეგინესე გოდერძი მახარაძემ, თავით კენწვლის სისწრაფის ჩემი რეკორდი, ხუთ წუთში 700 აკენწვლა უნდა გავაუმჯობესოო, შეასრულა, 804-ჯერ აკენწლა და ბოლოს თავზე ბურთშემოგდებულმა დაჯდომაც ... 

თამაში განახლდა. ფოტორეპორტიორები, რომლებიც პირველ ტაიმში ორივე კარის უკან თანაბრად განაწილდნენ, ქუთაისელთა უნიათობის შემხედვარე, ახლა უკლებლივ მათი კარის უკან დაბანაკდნენ.

და აი, 47-ე წუთზე, წინა ოთხშაბათს საჩემპიონო პენალტის გამტანმა მალხაზ ასათიანმა ლომაიას კარისკენ საჯარიმო დაარტყა, ააცილა, მაგრამ ოქმში კი ჩაიწერა, რომ ეს ქუთაისელთა პირველი დარტყმა იყო მეტოქის კარისკენ.

ეს იყო და ეს. თამაშმა ისევ ტორპედოელთა ნახევრისკენ გადაიწია. იმერელმა გულშემატკივრებმაც მოიწყინეს, ხმაშეწყობილად აღარ ამხნევებდნენ თავისიანებს და მხოლოდ მაშინ იხუვლეს, ზედ „ლოკომოტივის" საჯარიმოს წინ ანდრი პოროშინი რომ წაიქცა, მსაჯმა კი თამაშის გაგრძელება ბრძანა.

ცოტა ხანში პოროშინი ისევ წაიქცა. ეს უკვე ნაღდი ჯარიმა იყო, რომელიც მიხეილ მახვილაძემ გოლად ვერ აქცია, უკრაინელი კი შესაცვლელი შეიქნა — გასახდელში ფეხშეხვეული კოჭლობით შევიდა, ხოლო მოედანზე მის ნაცვლად ზვიად ქუთათელაძე შევიდა და უმალ სახიფათო კომბინაციის მონაწილე გახდა. ასათიანმა ჭკვიანურად გაუგდო ბურთი ახალმესულს, რომელმაც საჯარიმოში წამოსწრებულ ბაბუნაშვილს გადასცა, ამის დარტყმული კი არაფრად ვარგოდა.

რკინიგზელებმა მეტოქის ოდნავი გააქტიურება იუკადრისეს და მალევე მეორე გოლი გაიტანეს. კახა გოგიჩაიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან კუთხური ჩააწოდა, მცველებმა ბურთის საჯარიმოდან მოცილება ვერ შეძლეს, ჯანაშიას საგოლე სარბიელიც დაუთმეს და ზაზამაც შედეგიან თავურს სიხარულის მალაყიც დაუმატა.

მატჩის დასრულებამდე თითქმის ნახევარი საათი რჩებოდა და ემანდ, რამე არ მოხდეს, ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი ადრეაო და „ლოკომოტივმა" ერთი კარგი კონტრიერიშიც მიაყოლა — მარცხენა ფლანგიდან დავითაშვილი გაიჭრა და მარჯვენივ ჯანაშია მოძებნა, რომელმაც თითქოს ყველაფერი სწორად კი გააკეთა, მაგრამ სტურუამ ახლოდან დარტყმული მშვენიერი რეაქციის წყალობით მოიგერია. ამ ეპიზოდის მერე სერგო კოტრიკაძემ დავითაშვილი შეცვალა და თბილისელთა უკვე იშვიათ იერიშებსაც სიმწვავე მოაკლდა.

ეს ორი ეპიზოდი საგანგებოდ გამოვარჩიოთ: 74-ე წუთზე „ტორპედომ" პირველი კუთხური ჩააწოდა „ლოკომოტივის" კართან, წუთის მერე კი ქუთათელაძემ სახიფათოდ დაურტყა ლომაიას მარცხენა დაბალ კუთხეში — ტორპედოელთა პირველი დარტყმა კარში!

მალევე ასათიანს მიეცა კარგი შანსი, ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მისი თავური ზემოდან გადაევლო კარს.

ბოლო წუთებში, როცა „ლოკომოტივი" მატჩის დასრულებასღა ელოდა და, შესაბამისად, ყურადღებაც რამდენადმე გაფანტვოდა, „ტორპედომ" ბოლო შტურმიც მოაწყო, მაგრამ ლომაიამ ზედიზედ სამი დარტყმა მოიგერია, ზემოთ ნაქები ქუთაისელი ქომაგები კი ნელნელა მიდიოდნენ და შიგადაშიგ ლალატს აზსენებდნენ.

მერე კახაბერ მესხმაც დასრულებისა ჩასტვინა, თბილისელთა მასაჟისტმა, განთქმულმა ბურთების ამწაპვნელმა ანზორ გაბიტაშვილმა კიდევ ერთი ბურთი ამოიღლიავა, კახა გოგიჩაიშვილი კი თასის ჩასაბარებლად ლოჟაში ავიდა...



საქართველოს თასი ისტორიას ჩაბარდა. ეს დავით ყიფიანის სახელობის თასია



„ლოკომოტივის" კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა თასი „ეროვნულის" სამთავრობო ლოჟასთან ჩაიბარა



რუსული ვერცხლი და თასი ზაზა ჯანაშიამ ქართულში გაცვალა

საქართველოს 13 ჩემპიონატი

## გადათამაშება

ანონსი

გორი. ცენტრალური. 28 მაისი. 17.30 საათი

### გორდა — ქობულეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე
ი. კახიანი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

# უმაღლესში მისაღები

## კილასონია სწავლობს, ჩხარტიშვილმა იცის

დღეს გორში საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი დასრულდება. უმაღლესი ლიგის ერთი დარჩენილი საგზურისთვის „გორდა" და „ქობულეთი" იომებენ.

წესით, ამ მატჩში მონაწილეობა ერთისთვის (პირველლიგელისთვის) საპატიო უნდა იყოს, მეორისთვის კი პირიქით, მაგრამ რეალურად თუ შევაფასებთ მოვლენებს, „გორდას" ბედი ჰქონია, რაკილა საპლეიოფო მატჩს უწია. უკვე მერამდენე სეზონია, რუსთაველები უმაღლესში დასარჩენად იბრძვიან, მაგრამ წლეულს მაინც განსაკუთრებულად გაუჭირდათ. გუნდმა ჩვეულებისამებრ რიხით დაიწყო ჩემპიონატი — მოუგო „ვიტ ჯორჯიას" და სტუმრად ფრე გაუგორა „დინამოს", მაგრამ მერე და მერე თამაშს თამაშზე აგებდნენ მეფოლადეები. კლუბს ვერც მწვრთნელთა ცვლამ უშველა. შემდეგ კლუბის პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილიც გარდაიცვალა და ეკონომიურად გაჭირვებული „გორდას" ფეხზე წამომყენებელი კაცი აღარ დარჩა. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ფანტასტიკას უფრო ჰგავდა გუნდის უმაღლესში დარჩენა, მაგრამ მწვრთნელობა ვარლამ კილასონიამ იტვირთა და შეუძლებელიც შეძლო. სწორედ მისი დამსახურებაა, დღეს „გორდა" რომ პლეიოფშია და ფავორიტადაც ითვლება.

ზღვისპირელების საამმატჩო უპირატესობაზეც ვთქვათ. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ, რაკილა, „გორდასი" არ იყოს, სასწაულებრივ უწიეს პლეი ოფს... ბოლო ტურამდე სათუო იყო ქობულეთელთა მესამეობა პირველ ლიგაში, რადგან თანაბარქულიან თსუ-ს გადასასწრებად ზღვისპირელებს ძველ ანგაში ბეჭდაუდებელი „მილანის" დამარცხება სჭირდებოდათ და ვალერიან ჩხარტიშვილის ბიჭებმა მძიმე ბრძოლაში, ფაქტობრივად, ერთადერთი შანსი გამოიყენეს — დავით თალაკვაძის გოლით დაადგნენ გორის გზას.

ეროვნულ ჩემპიონატებში „გორდას" და „ქობულეთის" ურთიერთშეხვედრების მაჩვენებელი ერთობ მწირია. ქობულეთელები ერთადერთხელ — 1993-94 წლების სეზონში მონაწილეობდნენ უმაღლეს ლიგაში. მაშინდელმა „შუქურამ" ცხრამეტგუნდა ჩემპიონატის დასავლეთ ზონაში მეექვსე ადგილი დაიკავა. ზღვისპირელებმა ქულით წინ გაუშვეს „ტორპედო" და ქუთაისელები საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაერთნენ. „შუქურამ" კი რჩეულთა შორის დასარჩენად განაგრძო ბრძოლა და სწორედ იქ გადაეყარა რუსთაველ გუნდს. მეფოლადეებმა საშინაო მატჩში 5:0 გაიმარჯვეს ვარლამ კილასონია-ალადაშვილის წყვილი და ამბიძის გოლებით. მაშინ რუსთაველთა რიგებში დუბლის გამტანთა გარდა გიორგი კილასონიაც თამაშობდა. სწორედ ამ სამეულის იმედი ექნებათ დღეს რუსთაველებს.

იმ სეზონის ქობულეთური მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. რვა წლის წინანდელი „შუქურადან" დღეს „ქობულეთს" ერთი კაციღა შემორჩა — მთავარი მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი და მის მარიფათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამ კაცს მწვრთნელობაში იმხელა გამოცდილება აქვს, დღევანდელ მატჩში სიურპრიზის შემოთავაზება ნამდვილად შეუძლია, თუმც ისიც ფაქტია, რომ ეს ერთობ ძნელი იქნება.

ბოლოს იმათზეც ვთქვათ, ვინც დღეს ვერ ითამაშებს. დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები არც ერთ გუნდშია, მაგრამ ტრავმის გამო ზღვისპირელთა რიგებში, ფაქტობრივად, გამორიცხულია ჯუმბერ ბერიძის თამაში. ეს ფეხბურთელი მძიმედ დაშავდა „მილანთან" ქიზიყურ მატჩში. ამ მხრივ პრობლემები აქვთ რუსთაველებსაც, ვარლამ კილასონია ქობულეთელებთან მატჩში გამოცდილ ამირან კედელაშვილს ვერ დაიხმარს.

**ბაატა კვანტალიანი**

საქართველოს 13 ჩემპიონატი

მეორე ლიგა წრე

### აღმოსავლეთი

ოცდამეცამეტე ტური: კრწანისი — ცხუმი 0:1; ჭაბუკიანი — თბილისი 3:0; მაუდი — აკადემია 2:1; ივერია — ოლიმპიკი 3:0 (ოლიმპიკი არ გამოცხადდა); მრეტები — ჯავახი 3:0; მერანი 3 — მესხეთი 0:3; ლიახვი — ალაზანი 1:5; მცხეთა — გორდა 2 2:0; ზოოვეტი — ვიტ ჯორჯია 2 1:0

ოცდამეთოთხმეტე ტური: ალაზანი — მაუდი 4:0; თბილისი — ზოოვეტი 0:3; ვიტ ჯორჯია 2 — ივერია 2:3; ოლიმპიკი — დინამო 3 1:3; გორდა 2 — ლიახვი 1:1; აკადემია — მერანი 3 3:0; მესხეთი — მრეტები 3:0; ჯავახი — კრწანისი 0:3; ცხუმი — ჭაბუკიანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 32 | 24 | 6 | 2 | 71:13 | 78 |
| ივერია | 32 | 23 | 2 | 7 | 87:30 | 71 |
| მაუდი | 33 | 22 | 5 | 6 | 63:30 | 71 |
| ალაზანი | 32 | 21 | 4 | 7 | 73:29 | 67 |
| ზოოვეტი | 32 | 20 | 2 | 10 | 62:34 | 62 |
| ჭაბუკიანი | 32 | 17 | 9 | 6 | 56:24 | 60 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 32 | 17 | 7 | 8 | 70:32 | 58 |
| ცხუმი | 32 | 16 | 8 | 8 | 64:29 | 56 |
| ოლიმპიკი | 32 | 16 | 6 | 10 | 63:39 | 54 |
| მესხეთი | 32 | 16 | 2 | 14 | 46:43 | 50 |
| დინამო 3 | 32 | 12 | 8 | 12 | 49:40 | 44 |
| აკადემია | 32 | 12 | 8 | 12 | 46:45 | 44 |
| ლიახვი | 33 | 12 | 3 | 18 | 43:62 | 39 |
| კრწანისი | 32 | 9 | 4 | 19 | 40:64 | 31 |
| გორდა 2 | 32 | 7 | 9 | 16 | 40:53 | 30 |
| მერანი 3 | 33 | 5 | 4 | 24 | 22:85 | 19 |
| თბილისი | 32 | 4 | 6 | 22 | 34:94 | 18 |
| მრეტები | 33 | 3 | 6 | 24 | 29:70 | 15 |
| ჯავახი | 33 | 0 | 1 | 32 | 17:138 | 1 |

„ჯავახი" და „მერანი 3" მოხსნილია ჩემპიონატიდან

### დასავლეთი

ოცდამეცამეტე ტური: სოხუმი — მეტალურგი 2 2:1; ბათუმი 2 — ოკრიბა 5:1; ინტერი — ეგრისი 2:1; სქური — მალაროელი 3:0 (მალაროელი არ გამოცხადდა); საირმე — ლუკა 0:3; ჩიხურა — სალხინო 3:0; კოლხეთი 2 — გზები 2:1; საპოვნელა — სულორი 5:1; სამეგრელო — გურია 2 1:3; მერცხალი — ზუგდიდი გადაიდო

ოცდამეთოთხმეტე ტური: სალხინო — საპოვნელა 2:3; ლუკა — ჩიხურა 1:0; მალაროელი — საირმე 3:0; გზები — სქური 4:4; ეგრისი — კოლხეთი 2 1:1; ოკრიბა — ინტერი 2:1; მეტალურგი 2 — მერცხალი 0:3; გურია 2 — სოხუმი 10:0; სულორი — სამეგრელო 3:0; ზუგდიდი — ბათუმი 2 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 34 | 28 | 1 | 5 | 82:32 | 85 |
| მერცხალი | 31 | 24 | 4 | 3 | 68:16 | 76 |
| ზუგდიდი | 32 | 24 | 4 | 4 | 75:31 | 76 |
| საპოვნელა | 33 | 23 | 5 | 5 | 98:34 | 74 |
| მალაროელი | 34 | 23 | 1 | 10 | 78:43 | 70 |
| გურია 2 | 33 | 18 | 4 | 11 | 79:40 | 58 |
| კოლხეთი 2 | 34 | 13 | 10 | 11 | 46:37 | 49 |
| სალხინო | 34 | 14 | 3 | 17 | 56:63 | 45 |
| ინტერი | 33 | 13 | 6 | 14 | 46:49 | 45 |
| სქური | 33 | 12 | 9 | 12 | 48:55 | 45 |
| ბათუმი 2 | 34 | 12 | 4 | 18 | 36:57 | 40 |
| ჩიხურა | 32 | 12 | 3 | 17 | 37:61 | 39 |
| ლუკა | 33 | 11 | 5 | 17 | 44:71 | 38 |
| ეგრისი | 34 | 11 | 3 | 20 | 50:59 | 36 |
| საირმე | 34 | 11 | 3 | 20 | 34:54 | 36 |
| გზები | 34 | 10 | 5 | 19 | 38:56 | 35 |
| ოკრიბა | 34 | 10 | 2 | 22 | 38:75 | 32 |
| მეტალურგი 2 | 33 | 8 | 6 | 19 | 36:58 | 30 |
| სოხუმი | 33 | 4 | 9 | 20 | 32:77 | 21 |
| სამეგრელო | 33 | 5 | 4 | 24 | 35:86 | 19 |

„საირმე" მოხსნილია ჩემპიონატიდან

# დინამო დაიცალა და ასათიანისთვის შეიმართა



ზაზა ზირაქიშვილი „დინამოსთვის" აღარ მოიქნევს



მალხაზ ასათიანის დინამოელობა ათგზის ჩემპიონებს ძალიან ძვირი დაუჯდებათ

## შუშაკი მასმედიას შეეკრა, იებოა და ზირაქიშვილი სახლებში გაუშვეს, მიკუჩაძეს საღორიაში ელიან

თბილისის „დინამოსა" და მეთორმეტე ეროვნულის მთავარმეგოლესა და საუკეთესო ფეხბურთელ ზაზა ზირაქიშვილის კონფლიქტზე არაერთხელ დაგვიწერია. ბოლოს ის გამცნეთ, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა დათბა და, ვინძლო, ზირაქიშვილმა ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი კლუბთანო.

„დინამოს" ხორვატი დამრიგებლის, ივო შუშაკის პოზიცია ზირაქიშვილთან მიმართებაში ასეთი გახლდათ — თუ გუნდი გაძლიერდება, ამას რა სჯობს, მაგრამ ზირაქიშვილის „დინამოში" თამაში კლუბის ხელმძღვანელობის პრეროგატივა უფროა.

ახლახან კი ზირაქიშვილი „დინამოს" უფროსობას შეხვდა და მათგან ასეთი პასუხი მიიღო — შუშაკმა შენს გუნდში აყვანაზე თავი შეიკავაო.

ერთი სიტყვით, ზაზა ზირაქიშვილი ახლა უკვე ნაღდად პაერშია გამოკიდებული, თუმც მის მსურველ სხვა კლუბს ოდენ მცირე, საკომპენსაციო თანხის გადახდა თუ მოუწევს „დინამოსთვის".

ცხადია, ყველაფერ ამასთან დაკავშირებით, თავად ივო შუშაკის კომენტარის მოსმენა გვეწადა, მაგრამ ის ახლა ხორვატიაშია, მას ერთ-ერთ იქაურ ტელეარხთან დაუჭერია საქმე და მსოფლიოს ჩემპიონატის გაშუქებაში გაიღებს თავის წილს.

ამასობაში „დინამოდან" გაუშვეს გერმანიიდან სინჯებზე ჩამოსული განელი ფეხბურთელი ენტონი იებოა. შინ დაბრუნდი და თუ დაგვჭირდები, შეგეხმიანებითო — აი, ასე ზრდილობიანად გაისტუმრეს დილმის ბაზიდან იებოა.

არაოფიციალური ინფორმაციით, თბილისის „დინამო" ქუთაისის „ტორპედოდან" სამი ფეხბურთელის გადაბირებას ლამობს. ტორპედოელი მალხაზ ასათიანით დინამოელები ცხოვლად არიან დაინტერესებულნი, მის გარდა კი თურმე გივი დიდავა და ანდრი პოროშინიც სურთ.

არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით, იმასაც გეტყვით, რომ „ტორპედოსაც" უნდა ერთი დინამოელი თავისთან იხილოს — 21 წლის კოკა მიკუჩაძე, რომელიც „დინამოში" შუშაკის მისვლის შემდეგ სამატჩო განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, პირველ გუნდთან კი ვარჯიშობდა, მაგრამ მხოლოდ „დინამო 2"-ში თამაშობდა.

**დავით თავართქილაძე**

# მილანი თამაშგარეთ და ევროპაში

პირველი ლიგის ჩემპიონატი წნორის „მილანის" გამარჯვებით დასრულდა. კახელებმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს და კლუბის პრეზიდენტ ავთანდილ მანგოშვილს ოთხწლიანი გარჯა დაუფასეს.

„მილანი" საუმაღლესლიგოდ 3-4 ფეხბურთელის დამატებას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, წნორის გუნდში ახალწვეულთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ რამდენიმე დღის წინ „მილანის" პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გუნდი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. ქიზიყელ „შავ-წითლებს" პაატა გამცემლიძე, ლაშა გოლეთიანი, თემურ დიმიტრიშვილი, ოთარ როსტიაშვილი, ლაშა ეგაძე და გიორგი ჩიტაური გამოაკლდნენ. ასე გადაწყვიტა ბოლო ტურში „ქობულეთთან" საშინაო მარცხის შემდეგ ავთანდილ მანგოშვილმა.



ლაშა გოლეთიანი (მარცხნივ) „მილანიდან" დაითხოვეს

გამცემლიძე, გოლეთიანი და დემეტრაშვილი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ. პაატა ნახევარდაცვაში ჩინებულად უძღვებოდა საქმეს, თავდამსხმელმა გოლეთიანმა გასულ სეზონში არაერთი „სამილანო" გოლი გაიტანა. დემეტრაშვილის დიდი გამოცდილება კი იმის ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ გუნდმა ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა. რუსთაველ მცველს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც კი უთამაშია ევროპის ჩემპიონატზე.

ასეა თუ ისე, „მილანი" თითქმის განახევრდა და გუნდის მესვეურებიც სასურველ ფეხბურთელთა ძიებაში არიან. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ მარიამ ფირცხალაიშვილის თქმით, ეს პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება და „მილანიც" მაშინ დაასახელებს ახალ ფეხბურთელთა ვინაობას.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ 7 სექტემბერს შვეიცარია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს „მილანის" პრეზიდენტი ავთანდილ მანგოშვილი და ვიცე-პრეზიდენტი მარიამ ფირცხალაიშვილიც დაესწრებიან სფფ-ის მიწვევით.

ეს გადაწყვეტილება ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მიიღო ძველ ანგაში, უმაღლესში აღზევებული „მილანის" ხელმძღვანელთა დაჯილდოებისას. „მიუხედავად იმისა, სექტემბრისთვის მე ფედერაციის სათავეში ვიქნები თუ არა, მანგოშვილი და ფირცხალაიშვილი ქართულ დელეგაციასთან ერთად გაემგზავრებიან შვეიცარიაში ნაკრების საქომაგოდ — განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

**ბაატა კვანტალიანი**

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე



მთელი საფრანგეთი ახლა ზიდანის ფეხს შესცქერის

# ზინედინ ზიდანი უბურთოდ და უცოლოდ

### ს. კორეა — საფრანგეთი

**სამხრეთ კორეა 2:3 საფრანგეთი**

**0:1 ტრეზეგე (15), 1:1 პარკი (25), 2:1 ჭ. ჩოი (40), 2:2 დიუგარი (53), 2:3 ლებეფი (89)**

**სამხრეთ კორეა: ბ. კიმი, ჩო (მ. ლი 64), ჰონგი (ს. ჩოი 64), ჩ. სონგი, იოო, ნ. კიმი (ჯ. ლი 46), ჭ. ჩოი, ი. ლი, პარკი (მუანი 76), სეოლი, ჰ ვანგი (ი. ჩოი 46; ჩა 70)**

**საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (კანდელა 46), დესაი (სილვესტრი 73), ლებეფი, ლიზარაზუ (სანიოლი 82), ვიეირა (მაკელელე 77), ე. პეტი, ჯორკაეფი (ჯ. სისე 65), ზიდანი (ვილტორდი 37), ანრი (დიუგარი 46), ტრეზეგე**

**საფრანგეთს** კორეის დასამარცხებლად თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დასჭირდა გადამწყვეტი გოლის გატანა. ეს მცველმა ფრანკ ლებეფმა შეძლო — ლებეფი ამ ბოლო დროს, რაღაც ბომბარდირობაზეა მომართული. ხომ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ, „სტად დე ფრანსზე" ბელგიასთან შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი.

ხოლო რაც შეეხება ფრანგულ დაცვას, აქ პრობლემები იჩენს თავს. კერძოდ, კორეასთან მატჩში მსოფლიოს ჩემპიონები სწორედ მცველთა შეცდომების გამო აგებდნენ 1:2-ს, მაგრამ ლურჯთა თავდასხმამ საბოლოოდ მაინც გაიტანა თავისი. ამრიგად, ამხანაგურები, სპარინგები, საკონტროლოები და ამ ტიპის რაღაცეები ამოწურულია. შემდეგი თამაში გამოცდაა: 31 მაისს მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ფრანგები სენეგალს ეთამაშებიან.

–ოღონდ, ზიდანის გარეშე!

ფრანგთა ლიდერმა პირველი ტაიმის ბოლოს ფეხის ტკივილი იგრძნო და მოედნიდან გასვლა ითხოვა.

„როდესაც ზიდანმა შეცვლა მთხოვა, მივხვდი, რომ სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. მას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მოედნიდან სკამზე ტყუილად არ გადმოინაცვლებდა. ზიდანის გარეშე კი საფრანგეთის ნაკრები ისე ძლიერი არ არის, როგორც ზიდანთან ერთად" — განაცხადა ლურჯთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა.

მოგვიანებით, მსოფლიოს ჩემპიონთა ექიმმა ჟან-მიშელ ფერემ მარცხენა ბარძაყის კუნთის მცირე ტრავმაზე დაიწყო ლაპარაკი, ოღონდ რამდენ ხანს უნდა იმკურნალოს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა, ვერ თქვა — დამატებითი ტესტებია საჭირო.

მათთვის, ვისაც ნიშნების სჯერა: ზინედინ ზიდანმა სამი თამაში (ოღონდ გაძევების გამო) 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოტოვა და ფრანგები ჩემპიონები გახდნენ.

ამასობაში კი სეულის აეროპორტში დაჯდა პარიზის თვითმფრინავი, რომლიდანაც ახალგაზრდა ქალთა ჯგუფი გადმოვიდა.

„ისინი აქ იქნებიან, ოღონდ ფეხბურთელების ნახვას პირველი თამაშის შემდეგლა შეძლებენ. მათი აქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც გამოცდილებამ გვიჩვენა: მახსოვს, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ისინი ბიჭებს არ მიაკარეს და ამის გამო ატმოსფერო ფრიად დაძაბული გახლდათ. მათი გვერდით ყოფნა განსაკუთრებით იმ ფეხბურთელებისთვის არის სასარგებლო, რომლებიც პარასკევს, სენეგალის წინააღმდეგ არ ითამაშებენ" — თქვა მენეჯერმა ანრი სემილმა.

ალბათ, მიხვდით, ლაპარაკია მოთამაშეთა მეუღლეებზე. ალბათ, ისიც გაგახსენდათ, ერთი ხნის წინ რომ ვწერდით, ფრანგების აზრით ტურნირის დროს ფეხბურთელებს ქალები ღუპავენო, ახლა კი თითქოს საპირისპირო ინფორმაციას გაწვდით. მაგრამ, არა! საქმე ის გახლავთ, რომ ფრანგი ქალბატონები შორეულ აღმოსავლეთში ოდენ კვირამდე დარჩებიან, ანუ მეუღლეებს უქმეებზე გაამხნევებენ, მათ გარეშე ოჯახის მიხედვას დაპირდებიან და კვლავ პარიზის თვითმფრინავში ჩასხდებიან.

ბუნებრივია, ქალბატონთა შორის არ არის მადამ ვერონიკ ზიდანი, რომელმაც წინა კვირაში მესამე შვილი გააჩინა და ძუძუს აწოვებს.

**ბაჩუნა ძიდია**



ფილიპო ინძაგიმ ტოტის (№10) პასით გაიტანა, ვიერის (№21) გაატანინა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა

# ინძაგიც?..

### იტალია

**კაშიმა ანთლერსი (იაპონია) 1:2 იტალია**

**0:1 ინძაგი (13), 0:2 ვიერი (23), 1:2 ჰირასე (54)**

**იტალია: ბუფონი (ტოლდო 46), პანუჩი, ფ. კანავარო, ნესტა (მატერაცი 86), მალდინი (კოკო 62), ძამბროტა (დი ლივიო 76), ტომაზი, დი ბიაჯო (გატუზო 62), ტოტი (დელ პიერო 46), ვიერი (კ. ძანეტი 76), ფ. ინძაგი (მონტელა 29)**

**თუ ასე გაგრძელდა,** მსოფლიოს ჩემპიონატზე, შესაძლოა, ვარსკვლავების ნახევარმაც ველარ ითამაშოს. დაძაბული და არაადამიანური სეზონი თავისას აკეთებს, ფეხბურთელები დატვირთვებს ველარ უძლებენ და აკი პანტა-პუნტით შავდებიან. აი, იაპონიის ჩემპიონ „კაშიმა ანთლერსთან" ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო იტალიელთა ერთ-ერთმა მთავარმა იმედმა, კახა კალაძის მილანელმა თანაგუნდელმა ფილიპო ინძაგიმაც. ის შეხვედრის 29-ე წუთზე დაშავდა. გუშინ მისთვის საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაეტარებინათ და ვინძლო პასუხი სანუგეშო არ იყოს. მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონიც გვარიანად ანერვიულებულია.

„ფილიპომ მარცხენა მუხლში ტკივილი იგრძნო — განაცხადა „აძურას" ექიმმა ანდრეა ფერატიმ — მართალია, მუხლი არ შესიებია, მაგრამ სპაზმები სულ უფრო უხშირდებოდა და ახლა რენტგენის იმედზეღა ვართ. ვნახოთ, რა იქნება".

იტალიელთა ბანაკი ყველაზე მეტად იმას შეუშფოთებია, რომ ინძაგიმ სწორედ ასეთი ტრავმის გამო გამოტოვა სეზონის რამდენიმე თვე, გამიზეზება კი, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს.

ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე „კაშიმა" — იტალიის მატჩს 53 ათასი მაყურებელი დაესწრო. კაშიმელთა შემადგენლობაში იაპონიის ნაკრების ექვსი ფეხბურთელი თამაშობდა.

იტალიელებს დაუბრუნდათ ფრანჩესკო ტოტი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და სწორედ მისი კუთხურის შემდეგ გაიტანა ინძაგიმ პირველი გოლი.

მალევე ინძაგიმ კრისტიან ვიერის გაატანინა, მასპინძელთაგან კი ერთი საპასუხო ტომოკი ჰირასემ შეაგდო. იმავე ჰირასესა და ტაკუია ნოზავას კიდევ მართებდათ გატანა, მაგრამ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა იყოჩაღა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ტრისტანული...

### ესპანეთი

**ულსანი (იაპონია) 0:1 ესპანეთი**

**0:1 ტრისტანი (40)**

**ესპანეთი: კასილიასი (რიკარდო 30; კონტრერასი 64), პუიოლი (კურო ტორესი 64, იერო, ნადალი (ელგერა 57), მენდიეტა, რომერო, სერხიო (ბაჯი 64), დე პედრო (ბარახა 57), ვალერონი (ხოაკინი 64), რაული (ლუკე 64), ტრისტანი (მორიენტესი 64)**

**შაბათს** ესპანელებმა ულსანში კორეის პირველდივიზიონელ „ულსან ჰიუნდაის" დიეგო ტრისტანის ეული გოლით მოუგეს. ესპანელებს გაუჭირდათ, აუტანელი სიცხისგან მალე დაიღალნენ და მერე აღიარეს, აზიურ ხვატს ჯერაც ვერ შევეგუეთ და ეს ჩვენი უსახურობაც ამის ბრალიაო.

დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო, როცა ტრისტანმა რაულის შორეული პასი მიიღო და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მანამდე ხუან კარლოს ვალერონს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ აჯობა. თავის მხრივ, კორეელებსაც ჰქონდათ თავის გამოჩენის შანსი, პირველ ტაიმში კიმ დო იუნმა ძელს გაარტყა, ხოლო მეორეს დასაწყისში გაისკა მენდიეტამ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ კასილიასის მაგიერ კარში ჩამდგარმა რიკარდომ პაკ ჩინ სუნის პენალტი მოიგერია.

ესპანელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ შეხვედრისას ათი შეცვლა გააკეთა, თუმცა ამას ბევრი არაფერი შეუცვლია. დე პედრომ და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა დიეგო ტრისტანმა მცირე ტრავმები მიიღეს, მაგრამ ნაკრების ექიმის, ხუან ხოსე რამოსის თქმით, საშიში არაფერია და ესენი სლოვენიასთან პირველი შეხვედრისთვის მზად იქნებიან.

„ულსან ჰიუნდაისთან" არ უთამაშია ლუის ენრიკეს. მკურნალთა განცხადებით, წინა ამხანაგურ მატჩში მან მუხლის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ამჯერად გართულებებს მოერიდნენ.

თამაშის მერე კამაჩო ჟურნალისტებსაც შეხვდა და ერთობ იმედიანად ელაპარაკა: ყველა მეტოქე შესწავლილი გვყავს, მათი შეხვედრების ვიდეომასალაც არაერთხელ ვნახეთ და ფეხბურთელების სტატისტიკური მონაცემებიც ზეპირად ვიცით, ჩინებულად მოგვეხსენება როგორ იცავენ თავს და როგორ უტევენ, სად აქვთ ძლიერი და სუსტი წერტილებიო.

მოკლედ, ესპანელები მუნდიალს სავსე გულითა და ამაღლებული განწყობით ხვდებიან, დანარჩენი კი მერე ვნახოთ...

**სოლომონ გულისაშვილი**



ესპანეთი დიეგო ტრისტანის ამ გოლს დაყაბულდა



ურუგვაელ სებასტიან აბრეუს ბურთის მისაღებად ახტომა მოუხდა

### ურუგვაი

**იოკოჰამა მარინოსი (იაპონია) 1:1 ურუგვაი**

**0:1 რეკობა (13), 1:1 ოკუ (70)**

**ურუგვაი: კარინი (მუნუა 71), გიგუ. სორონდო (ბიზერა 68), მონტერო (ლემბო 55), დ. როდრიგესი (რეგუერო 64), დე ლოს სანტოსი, პ. გარსია (მ. რომერო 55), ვარელა (რ. მორალესი 64), რეკობა (ნ. ოლივერა 64), აბრეუ (ფორლანი 64), დარიო სილვა (მაგალიანესი 55)**

**იოკოჰამას** „მარინოსი" კარგად ეძიძგილავა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეს და საპატიო ფრესაც გამორჩა.

მილანის „ინტერის" შემტევმა რეკობამ „პენიაროლის" მცველის, დარიო როდრიგესის ჩაწოდებულზე იხეირა. მართალია, პასი მალაგელი ფორვარდის დარიო სილვასთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ბურთი რეკობას მიუვიდა და ხომ უნდა გაეტანა?!

იოკოჰამას უშველებელ სტადიონზე კი საამხანაგოდ ათი ათასი კაცი მისულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე

# ანტონიო, ჭრელი გაცვია!

## ოლივეირამ სიტყვა გატეხა



ლუიშ ფიგუ ძუ იუნლონგს შემოახტა

### ჩინეთი

**ჩინეთი 0:2 პორტუგალია**

0:1 ნუნუ გომეში (61), 0:2 პაულეტა (62)

**ჩინეთი:** ჯიანი (კი 46), იუნლონგი, ვეიფენგი, ჩუნგინგი, ქიბაი (ბუ 79), ვეი, ტიე (რაო 56), ხაოჰენგი (გენვეი 66), მინგიუ (იუნზე 46), ჩენი (მაოლეენი 65), ჰაიდონგი (ბო 46)

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია (ნელსონი 87), ბეტუ სვაორუ (ჟორჟე კოშტა 46), ჟორჟე ანდრადე (ფ. კოუტუ 46), შავიერი (ნუნუ ფრეშაუ 46), კანეირა, პაულუ ბენტუ (პაულეტა 46), ნუნუ კაპუშუ (რუი ჟორჟე 46), ბარბოსა (კონსეისაო 46), რუი კოშტა (ფიგუ 77), პაულუ სოუზა (ა. პეტი 42), ნუნუ გომეში

### პორტუგალია

**„მსოფლიოს** ჩემპიონატი ჩვენთვის 5 ივნისს იწყება. ჩინელებს პატივს ვცემთ, მაგრამ ეს მატჩი მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპის ნაწილია, ამიტომ უძლიერეს შემადგენლობას არ ვათამაშებ. ლუიშ ფიგუს და რუი კოშტას დავასვენებ, რადგან ბოლომდე არ მომჯობინებულან. ახლა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე ვფიქრობ. ეს აღრეც შევძელით და ამჯერად რა ღმერთი გაგვიწყრება?" — ასეთი შესავალი გაუკეთა პორტუგალიელთა მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ ჩინეთთან ამხანაგურ მატჩს.

ოლივეირამ იცრუა. მანუელ რუი კოშტამ თავიდანვე ითამაშა. იგი ლუიშ ფიგუმ მატჩის მიწურულს შეცვალა.

საერთოდ, მეორე ტაიმში, პორტუგალიელთა რიგებში რვა ცვლილება მოხდა. სწორედ ამის შემდეგ შეძლეს ევროპელებმა გამარჯვება. მანამდე, პირველ ნახევარში, ჩინელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ. მათ გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან.

ბორდოელი ბომბარდირის პედრო პაულეტას თამაშში ჩართვამ პორტუგალიელები დაალაგა. ისინი უფრო ორგანიზებულნი გახდნენ, თუმცა მათი ორივე გოლი ჩინელი მეკარის ან კის შეცდომას მოჰყვა — ჯერ მეტოქესთან ორთაბრძოლაში გართულმა კარი უპატრონოდ მიაგდო, რომელსაც ნუნუ გომეში იოლად დაეპატრონა. მერე გამოსვლაზე ბურთს ასცდა, პაულეტა კი მსგავს შეცდომებს რომ არავის პატიობს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

მასპინძლებს დაცვაში მთავარი კაცი, დანდელი ფან ჟი აკლდათ და ამიტომაც უჭირდნენ. ევროპელებს ან კის „საჩუქრებით" კიდევ შეეძლოთ ეხეირათ, თუმცა სხვაობის გასაზრდელად თავი ძალიან აღარ შეუწუხებიათ.

„გამარჯვება ნებისიერი დონის მატჩში სიხიამოვნოა, წაგება არავის სურს. ამ შეხვედრაში ბიჭებმა ჩემი დავალება კარგად შეასრულეს. ოღონდ რაღაც-რაღაცები დასახვეწი გვაქვს. მეორე ტაიმში ბრწყინვალედ ვითამაშეთ და, ალბათ, გაცილებით ძლიერი გუნდების დამარცხებასაც მოვახერხებთ" — თქვა ანტონიო ოლივეირამ ნამატჩევს.

გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობა ლუიშ ფიგუმაც დააკმაყოფილა: „ყოველ მომდევნო სეზონში სულ უფრო და უფრო მეტი მატჩის გამართვა მიწევს. ამიტომ ძალების აღდგენისთვის და ტრავმების მოსაშუშებლად ნაკლები დრო მრჩება. ჩემი სათამაშო ფორმის აღდგენა მხოლოდ დროის ამბავია. ორიოდ დღეში მწყობრში ვიქნები, თან ასი პროცენტით."

ბორა მილუტინოვიჩის ჩინეთი კი ჯერჯერობით პირველ ტაიმებს უძლებს. რამდენიმე დღის წინ ურუგვაისთანაც მხოლოდ მეორე ნახევარში დათმო შეხვედრა. „შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ — თქვა მილუტინოვიჩმა — მაგრამ თამაშის ხარისხზე აუგს ვერ ვიტყვი. საგოლე მომენტები ჩვენც შევქმენით, თანაც საკმაოდ ბევრი."

**ვაჟა ხუციშვილი**



რივალდო (№10) მოედანს დაუბრუნდა და მეურვეობაც, ცხადია, არ მოჰკლებია

# ვარჯიში ვარჯიშია!

### ბრაზილია

**ბრაზილია 4:0 მალაიზია**

1:0 რონალდო (52), 2:0 ჟუნინიო (64), 3:0 დენილსონი (71), 4:0 ედილსონი (79)

**ბრაზილია:** მარკოსი (დიდა 46), ლუსიო (ჯამპეტა 73), ედმილსონი (დენილსონი 46), როკე ჟუნიორი (ანდერსონ პოლგა 73), კაფუ (ბელეტი 68), ემერსონი (ჟილბერტო სილვა 68), კლებერსონი (ჟუნინიო 61), რობერტო კარლოსი (ჟუნიორი 68), რივალდო (ედილსონი 61), რონალდო (ლუიზაო 73), რონალდინიო (კაკა 61)

**ბრაზილიას,** აბა, მალაიზიის ნაკრების დამარცხება გაუჭირდებოდა? ტეტრაკამპეონებმა 4:0 მოიგეს და მწვრთნელს, ლუიშ ფელიპე სკოლარის გვარიანი პრობლემაც დაუტოვეს: ბოლოს და ბოლოს, როგორია მისი გუნდის ძირითადი შემადგენლობა?

სკოლარის წინაშე ეს კითხვა ისედაც იდგებოდა, მაგრამ, როდესაც კუალა ლუმპურში წამყვანმა და ცნობილმა ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში გოლი ვერ გაიტანეს, მეორეში კი სათადარიგოებით გაძლიერებულმა ბრაზილიამ ოთხჯერ შეაგდო, კითხვის ნიშანი კიდევ უფრო გაიზარდა.

თუმცა სკოლარი სამი „რ"-ს კმაყოფილი დარჩა. სამი „რ", მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. ეს არის ბრაზილიის ნაკრების თავდასხმა — რივალდო, რონალდინიო და რონალდო, რომელთაც სასარგებლო პასებით ზურგსუკნიდან კაფუ ამარაგებდა, მაგრამ მასპინძლებმა, როგორც მოგახსენებთ, თავიდან ერთობ იყოჩაღეს.

„ყველაზე მეტად სასურველ ფიზიკურ ფორმაში ყოფნის საკითხი მაღარდებს — თქვა რონალდომ მატჩის დამთავრების შემდეგ — თუმცა, კაცმა რომ თქვას, ურიგოდ არ ვთამაშობ და თან წინ კიდევ ერთი კვირა მაქვს".

სკოლარიმ კი კუალა ლუმპურში გადახდენილი ასე შეასფასა:

„ეს ვარჯიში იყო და როგორც ასეთმა, თავისი საქმე შეასრულა. ჩვენ რომ ძლიერ მეტოქესთან თამაში გვღომოდა, გერმანიას ან იტალიას შევხვდებოდით, მაგრამ ამჯერად, მიზნად მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიში გვქონდა დასახული."

ამ მატჩში ერთთვიანი უმოქმედობის შემდეგ ბურთს პირველად მიეკარა რივალდო, რომელიც სკოლარიმ რონალდინიოსთან ერთად შეცვალა. ბუნებრივია, ორი „რ"-ს გამოკლებამ მესამე „რ"-ს ანუ რონალდოს საქმე მოუმატა, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს „ბაჭიას" პირიქით, ერთობ წაალგა.

აღსანიშნავია, რომ კლებერსონის ნაცვლად შესულმა ჟუნინიომ ბურთთან პირველივე შეხებით გოლი გაიტანა, ხოლო ედმილსონის მაგივრად შესული დენილსონი მარად სახიფათო გახლდათ — მისი გოლი ინდივიდუალური ჯადოქრობის ნიმუშად მონათლეს: დაახლოებით 50-მეტრიანი დრიბლინგი სამი მეტოქის და მეკარის მოტყუებით დაასრულა.

დენილსონზე და ედმილსონზე ვთქვით, ეხლა ედილსონზეც ვთქვათ — მისი გოლი მალაიზიელმა გულშემატკივარმა 79-ე წუთზე იხილა, მაგრამ ის, რაც აღვწერეთ, ბოლო სამი გოლია, პირველი კი 52-ზე რონალდომ შეაგდო.

**ბაჩუნა ძიძია**



შვედი ნიკოლას ალექსანდერსონი (№7) და გაიაპონელებული ბრაზილიელი ალესანდრო სანტოში

# ქეიფს ვიწყებთ დილიდან

**იაპონია 1:1 შვედეთი**

0:1 ოლბოკი (20), 1:1 მიალბი (62პ.კ)

**იაპონია:** ნარაზაკი, ჰატორი (მიოიონი 46), მორიოკა (აკიტა 74), მაცუდა (მიამოტო 46), კ. ნაკატა, მორიშიმა (სუზუკი 46), ჰ. ნაკატა (ოგასავარა 64), ტოდა (იჩიკავა 88), ინამოტო (ფუკუნიში 69), ონო (სანტუში 56), იანაგისავა (ნაკაიამა 68)

**შვედეთი:** ჰედმანი, მელბერგი, პ. ანდერსონი, მიალბი (იაკობსონი 77), ლუკიჩი, მაგნუს სვენსონი (ალექსანდერსონი 16), ლინდეროტი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი (ა. ანდერსონი 74), ლარსონი, ოლბოკი (იბრაჰიმოვიჩი 67)

### იაპონია

**ფილიპ ტრუსიე** ისეა გადართული ბელგიასთან პირველ მატჩზე, რომ შვედებთან ამხანაგურ შეხვედრაზე ფიქრით არ დაღლილა: „ეს უბრალოდ ვარჯიში იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობით არ ვემზადებით. ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ჩემს თავში მხოლოდ ბელგია ტრიალებს. შვედებთან ყველას მივცემ თამაშის საშუალებას. გუნდს დაუბრუნდებიან მასაში ნაკაიამა და აუტაკა აკიტა, რომლებიც დაცვას გააძლიერებენ".

სკანდინაველებს კი ფრედერიკ ლიუნგბერგის ყოფნა აშკარად დაეტყოთ. პარაგვაისთან წაგების მერე ისინი შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ და გოლის გატანაც მალევე შეძლეს. ჰენრიკ ლარსონის პასს მარკუს ოლბოკი დროულად გამოეხმაურა და სტუმრებიც დაწინაურდნენ.

მასპინძლებმა ღირებული ვერაფერი შექმნეს. შეიძლებოდა, მეორე გოლიც მიეღოთ, თუმცა ლიუნგბერგის ძლიერად დარტყმული სეიგო ნარაზაკიმ მოიგერია.

იაპონელებს ისევ მეტოქე დაეხმარა. ტომით ბრაზილიელმა ალესანდრო სანტუშმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და იოჰან მიალბის ფეხიდან ჰედმანის ზურგსუკან აღმოჩნდა.

მასპინძლებმა გაიხარეს, მაგრამ ტრუსიეს სიხარულისა არაფერი ეტყობოდა. მისმა გუნდმა უკრაინის, პოლონეთისა და სლოვაკეთის დამარცხების შემდეგ გოლების გატანას უკლო. „რეალთან" და ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩებში იაპონელებმა უგოლოდ დატოვეს მოედანი.

აქვე შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში, 1998 წელს იაპონიის ნაკრებმა კინკილა გოლი მიითვალა.

შვედებთან შეხვედრაში „ფეიენოორდის" შინჯი ონო დაშავდა, რომელიც შემდეგ ექიმებთან გააქანეს და ახლა გამოკვლევაზე იმყოფება.

### შვედეთი

სტუმართა მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი კი ბიჭების გარჯით კმაყოფილი იყო: „გუნდს ლიდერები, ფრედერიკ ლიუნგბერგი, მაგნუს სვენსონი და იოჰან მიალბი დაუბრუნდნენ. თან ფეხბურთელებმა ჩემი მითითებებიც სათანადოდ შეასრულეს. პირველი ტაიმის დასაწყისში ოდნავ გაგვიჭირდა, მერე კი დავლაგით".

ამასობაში ლაგერბეკის სამშობლოში საინტერესო სიახლეა. შვედური კანონის მიხედვით, ალკოჰოლური სასმელები დილის 11 საათიდან იყიდება. მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში კი სავაჭრო ობიექტებს უფლება ეძლევათ, ალიონზევე გასცენ მათრობელა სითხე, ანუ 11 საათამდე ლუდინი აღარც მსმელებს დასჭირდებათ, აღარც გამყიდველებს.

გუშინ კი შვედებმა ქალაქ მიაზაკის გუნდი გამოიჭირეს და 5:2 მოუგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მიაზაკი (იაპონია) 2:5 შვედეთი**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (5), 0:2, 0:3 ა. ანდერსონი (15, 22), 0:4 ფარნერუდი (58), 0:5 იბრაჰიმოვიჩი (61), 1:5 ნაკაზატო (63), 2:5 ტანიგუჩი (78)

# ინგლისი უტრავმოდ!
## მუხლი ისევ გაიშლება

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე

### კამერუნი
### ინგლისი

**კამერუნი 2:2 ინგლისი**

1:0 ეტოო (5), 1:1 ვასელი (12), 2:1 ჯერემი (58), 2:2 ფაულერი (90)

კამერუნი: ალიუმი (სონგო 78), რ. სონგი, კალა (მეტომო 56), ვომე (ნჯანკა 61), ლორენი (ეპალე 59), ჩატო, ჯერემი (ალუნდი 66), ოლემბე (კომე 53), ფოე (ეპემბა 53), ეტოო (სუფო 59), მბომა (ნდიეფი 66)

ინგლისი: მარტინი (ჯეიმსი 46), ბრაუნი, რ. ფერდინანდი (კიოუნი 46), კემბელი (საუთგეიტი 46), ბრიჯი, ჯ. კოული, ჰარგრივსი, სქოულზი (მილსი 46), ოუენი (შერინგემი 46), ჰესკი (ტ. სინკლერი 46), ვასელი (ფაულერი 77)

**კამერუნის** ნაკრები მოზრდილი ნაბიჯებით მიაბიჯებს. აფრიკელები ყველა ამხანაგურ მატჩში ეშხიანად ბურთაობენ და აქედანვე აშინებენ მეტოქეებს. მათ არც ტრავმამოძალებულ ინგლისელებთან გასჭირვებიათ და შეხვედრის უმეტეს დროს ფლობდნენ კიდეც უპირატესობას.

გოლი ბრიტანელთა კარში მეხუთე წუთზევე გავიდა. ნაიჯელ მარტინი გამოსვლაზე შეცდა და პიერ ვომეს ჩაწოდებულს სამუელ ეტოომ კარში მიუჩინა ადგილი.

კუნძულელებმა ძუნძულს აზრიანი შეტევები არჩიეს, რასაც საპასუხო გოლი მოჰყვა. პოლ სქოულზმა ზუსტად მიაწოდა დარიუს ვასელს და ასტონვილელმაც გაათანაბრა.

კამერუნელებმა ისევ მოიხელთეს ბურთი და გამუდმებით აწუხებდნენ მეტოქეს — საფრთხე უმეტესად სამუელ ეტოოსა და პატრიკ მბომასგან მოდიოდა. ტაიმის შუაწელში მბომამ ჯერემი ნჯიტაპის კარგი პასი მიიღო და დაჰკრა, თუმცა მარტინმა იმარჯვა. პირველი ნახევრის მიწურულს თვითონ ჯერემის შეეძლო თავის გამოჩენა. ეტოოს წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა რეალელმა შეასრულა და ბურთი სანტიმეტრებში ააცილა კარს.

მეორე ტაიმი ცამეტიოდე წუთის დაწყებული იყო, რომ ინგლისელები ისევ დაჯარიმდნენ. ბურთთან ისევ ჯერემი მივიდა და მარტინის შემცვლელი ჯეიმსი უშანსოდ დატოვა.

სვენ გორან ერიკსონმა წაგება არ ინება, თან შეცვლაც გამოიცნო — ვასელის ნაცვლად მოედანზე რობი ფაულერი შეუშვა. სწორედ შერინგემისა და ფაულერის მონდომებით იძალეს ინგლისელებმა შეხვედრის მიწურულს. ბოლო წუთზე ლიდსელმა მეგოლემ გუნდი მარცხისგან იხსნა.

ოუენ ჰარგრივსსა და ჯო კოულზე, რომლებმაც მოედანზე 90 წუთი დაჰყვეს, ერიკსონმა თქვა: „ჰარგრივსს ნახევარდაცვის ნებისმიერ ადგილას შეუძლია თამაში. დარწმუნებული ვარ, თავის საქმეს იგი ფრიადზე შეასრულებს. ბოლო ორ სეზონში ჰარგრივსი სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. ის და კოული დიდ თავსატეხს გაუჩენენ ნებისმიერ მეტოქეს. ეს ვებ ვინმესთვის სიურპრიზიც იყოს, მაგრამ მათ ნამდვილად დაიმსახურეს ძირითადში ყოფნა."

ძირითადში ყოფნა დევიდ ბექჰემსაც სურს, თან მისი ტრავმისშემდგომი პროგრესი სულ უფრო სერიოზული ხდება. ბექჰემი ბურთით ვარჯიშობს და საჯარიმო დარტყმებში მეცადინეობს. ყველაფერი ექიმის თანდასწრებით კი მიმდინარეობს, მაგრამ პროგრესი აშკარაა.

ამასობაში კირონ დაიერს დღეში ოთხჯერ უმოწმებენ მუხლს: „თუ ყველაფერი კარგად იქნება, ოთხშაბათს ბურთით ვარჯიშზე გადავალ. მომჯობინების პროცესი სწრაფად მიდის. დისკომფორტს არ განვიცდი და ეს კარგი ნიშანია".

**ვაჟა ხუციშვილი**





სვენ გორან ერიკსონი ვერმოგებამ დაიღონა, დევიდ ბექჰემი, ეშლი კოული და კირონ დაიერი კი მომჯობინებას ელიან

# ოჰ, ეს ვანჩოპე..

### კოსტა რიკა
### ბელგია

**კოსტა რიკა 0:1 ბელგია**

0:1 გოორი (23)

კოსტა რიკა: ლონისი, მ. რაიტი, მარინი (ს. როდრიგესი 88), უოლესი, კასტრო (ვალვერდე 80), მარტინესი, ვანჩოპე (პარქსი 72), სოლისი (კორდერო 90), ჰ. ლოპესი (რ. ფონსეკა 46), სენტენო, რ. გომესი (ბრისი 75)

ბელგია: დე ფლიგერი, ვან კერკჰოვენი, დე ბოეკი (ვან მეირი 43), დეფლანდრე (პეეტერსი 46), ვან ბუიტენი (ვანდერჰეგე 72), გოორი, სიმონსი, ვერმანტი (მ. მპენზა 67), ვერჰეიენი (შტრუპარი 67), ვილმოტსი (ტიისი 90), ვალემი (ბოფინი 84)

**ბელგიამ** კოსტა რიკას კი მოუგო, მაგრამ ოკეანისგაღმელებმა იმდენი ვერ გაიტანეს, რომ... „წითელი ეშმაკუნები" დაღებით შედეგს მეკარე გერტ დე ფლიგერს უნდა უმადლოდნენ, მან სულ ცოტა, ექვსჯერ მაინც გადაარჩინა თავისიანები, კიდევ რამდენიმეჯერ კოსტარიკელებმა ვერ ივარგეს.

ბელგიელებს არ ჰყავდათ თავისი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვესლი სონკი, მსუბუქად დაშავებულმა მბო მპენზამ და ბრანკო შტრუპარმა კი მხოლოდ მეორე ტაიმში მოსინჯეს ძალები. „წითლებმა" სულ რამდენიმე მომენტი შექმნეს, აქედან ერთხელ შტრუპარის საზიფათო თავური მეკარე ერიკ ლონისმა მოიგერია, პირველ ტაიმში კი ვილმოტსის ჯარიმას ვერჰეიენის გამოზომილი პასი და გოორის გამარჯვების გოლი მოჰყვა.

კოსტარიკელები უკვე მე-4 წუთზე უნდა დაწინაურებულიყვნენ, ვილმერ ლოპესმა მეტოქის საჯარიმოში ეულად მყოფი პაულო სესარ ვანჩოპე მოძებნა, მაგრამ „სიტის" შემტევმა ცარიელ კარში ვერ გაიტანა. ხუთ წუთში იმავე ვანჩოპემ ოდნავ ააცილა, მას მერე კიდევ სამჯერ უნდა გაეტანა, თუმცა...

გარდა ამისა, თავის გამოჩენის საშუალება ჰქონდათ გომესსა და კასტროს, მაგრამ დე ფლიხგერს ვერაფერი მოუხერხეს.

„ძალიან რთული თამაში გამოდგა — თქვა მერე ბელგიელთა მწვრთნელმა რობერ ვასეჟმა — მეტად აგრესიული მოწინააღმდეგე შეგვხვდა, თანაც რამდენიმე ფეხბურთელი მსუბუქი ტრავმების მიზეზით შევცვალე. იაპონიასთან კი არანაირი განსაკუთრებული მოსამზადებელი გეგმა არ მაქვს".

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩში, 4 ივნისს საიტამაში ბელგია სწორედ მასპინძელ იაპონიას ხვდება.

**სოლომონ გულისაშვილი**



ბარტ გოორმა (მარცხნივ) და მაურისიო რაიტმა თავები შეატყუპეს



ჯეისონ მაკატეერი თუ ადგა, კინობას გასწევს

### ირლანდია

**პიროშიმა (იაპონია) 1:2 ირლანდია**

1:0 კუბო (37), 1:1, 1:2 რობი კინი (41, 78)

**ამ** ამხანაგური მატჩის მთავარი ამბავი ისაა, რომ გუნდებმა არაამხანაგურად იბრძოლეს და ირლანდიელებს ჯეისონ მაკატეერი დაემტვრათ.

„სანდერლენდის" შუახაზელი უბრალო კაცი არ გეგონოთ — მწვრთნელ მიკ მაკარტის ჯეისონ მაკატეერი როი კინის შემცვლელად ეგულება. ირლანდიელთა სასიხარულოდ, ჯეისონის მუხლის ტრავმა მძიმე არ არის, მაგრამ ფეხბურთელი მუნდიალის პირველ ტურში ან ითამაშებს ან არა — ირლანდია 1 ივნისს კამერუნს ხვდება.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ მატჩი ამხანაგური იყო, ასეთი შეჯახება სრულიად უადგილო გახლდათ" — გაბრაზებული იყო თამაშის შემდეგ მიკ მაკარტი.

ჰიროშიმელმა კუბომ, მაკატეერი საკაცით რომ გაიყვანეს, ერთ წუთში დააწინაურა ჯეილიგელები. მერე კი რობი კინის ანცობის ჯერი დადგა. მან ჯერ სტეფან რეიდის კუთხურს დაუხვედრა თავი და ბურთი შორეულ კუთხეში ააფართხალა, მერე კი შეცვლაზე შესულ ნეილ ქუინის პასით იხეირა.

**დავით თავართქილაძე**

# ამხანაგური მატჩები

**კიუშუ (იაპონია) 0:3 ბელგია**

0:1 სონკი (3), 0:2 შტრუპარი (26პ), 0:3 ნილისი (89პ.კ)

ბელგია: ერპოლი (ვანდენდრიეშე 46), დეფლანდრე, ვან მეირი (პეეტერსი 46), ტიისი, ვან დერ ჰეიდენი, ვერმანტი (გოორი 46), ვანდერჰეგე, ენგლებერტი, ბოფინი, შტრუპარი, სონკი (ვერჰეიენი 46)

**მიტო (იაპონია) 0:1 კოსტა რიკა**

0:1 სოლისი (22)

**გამბა ოსაკა (იაპონია) 3:0 ტუნისი**

1:0 ნიკაიამა (20), 2:0 ფუტაგავა (64), 3:0 ოგური (76)

**ტოსუ (იაპონია) 0:1 კამერუნი**

0:1 ეტოო (59)

**ვისელ კობე (იაპონია) 0:3 სამხრეთ აფრიკა**

0:1 კუმანტარაკისი (12), 0:2 ფორჩუნი (40), 0:3 ნომვეტე (74)

**შონან ბელმარე (იაპონია) 0:2 ნიგერია**

0:1 აკვუეგბუ (66), 0:2 კანუ (70)

**კიოტო სანგა (იაპონია) 1:1 ეკვადორი**

0:1 აგინაგა (37), 1:1 ტომიტა (59)

**იაპონია (U-21) 0:10 გერმანია**

0:1 ლინკე (18), 0:2 ბოდე (21), 0:3 იანკერი (36), 0:4 კლოზე (39), 0:5 ბირჰოფი (67), 0:6 ნოივილე (75), 0:7 აზამოა (80), 0:8 ნოივილე (81), 0:9 ბირჰოფი (82), 0:10 რიკენი (90)

**ტოკიო ვერდი (იაპონია) 0:2 შვედეთი**

0:1 ლუნა (7), 0:2 ბალესტია (87)

**ტოიამა დრიმს (იაპონია) 0:4 ხორვატია**

0:1 ნ. კოვაჩი (4), 0:2 შუკერი (44), 0:3 სარიჩი (72), 0:4 ლაპოვიჩი (90)

**ურავა რედ დაიმონდსი (იაპონია) 0:2 პარაგვაი**

0:1 ალვარენგა (28), 0:2 გავილანი (52)

**ანიან ჩიტასი (ს. კორეა) 1:2 საფრანგეთი**

0:1 ანრი (1), 1:1 სილვესტრი (3ა.კ), 1:2 სისე (60)

# კეთილი და პატიოსანი

### დანია
### ტუნისი

**დანია 2:1 ტუნისი**

1:0 გრონკიაერი (17), 1:1 ჯაზირი (62), 2:1 სანდი (67)

დანია: სორენსენი, ჰელვეგი, ლაურსენი (ლუსტუ 67), ჰენრიქსენი (პოულსენი 67), ჰაინცე, ტოფტინგი (კ. იენსენი 67), გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, სანდი (მადსენი 85), რომედალი

ტუნისი: ბუმნიჯელი, ბადრა, ჯაიდი, ჩკადმი, მჩერი, ბაია, გაბსი, გოდჰბანე, მნარი, ჯელასი, სელიმი (ჯაზირი 46)

დანიამ ტუნისს მოუგო. ერთი გოლი ლონდონის „ჩელსიში" მოთამაშე იესპერ გრონკიაერმა გაიტანა, ხოლო მეორე „შალკეში" მოთამაშე ებე სანდმა, იმავ გრონკიაერის პასით. ტუნისელთა მხრივ, ერთი გოლი „ეს საჰელის" ფორვარდმა ზაიდ ჯაზირიმ შეაგდო.

მატჩის შემდეგ, დანიელთა მწვრთნელი მორტენ ოლსენი კმაყოფილი ბრძანდებოდა:

„ყოველმხრივ კარგი შეხვედრა გამოდგა. მეორე ტაიმში ძირითადად ტუნისი გვიტევდა, მაგრამ ჩვენ კარგად დავუდექით და მწვავე კონტრშეტევებიც არ დავაკელით. გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა. ამიერიდან ურუგვაისთან შესახვედრად უფრო ლაღად მოვემზადებით და მოგების იმედიც გვექნება".

ოლსენს ჰკითხეს, თუ რატომ არ ათამაშა ნახევარმცველი მარტინ იორგენსენი, რაზეც მან უპასუხა, რომ იორგენსენს ბარძაყი სტკივა და მისი მოედანზე გაშვება გარკვეულ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული.

პრესკონფერენციაზე ტუნისელთა თავკაცი, ამარ სუაიც გამოვიდა. მან ბრძანა:

„ჯერ ვერ გავრკვეულვარ რა სჯობს, დაცვაში ერთ ხაზზე სამი მოთამაშე გავამწკრივო თუ ოთხი. დარჩენილ დღეებს სწორედ საუკეთესო განლაგების ძიებას მივუძღვნი. მართალია, ამხელა მგზავრობამ დაგვღალა, მაგრამ დანიისნაირ ძლიერ გუნდთან მაინც კარგად ვითამაშეთ. ხომ ნახეთ, რამდენიმე მომენტიც შევქმენით, ოღონდ, სამწუხაროა, რომ ვერ გამოვიყენეთ. ერთი სიტყვით, ვატყობ, უკეთ და უკეთ ვთამაშობთ".

შეგახსენებთ, რომ ტუნისი, რომელსაც იანვრიდან ანუ წლეულს ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგია, ჯგუფში იაპონიასთან, ბელგიასთან და რუსეთთან არის მოხვედრილი.

**ბაჩუნა ძიძია**


## იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან,
ბუნებრივი აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე

# მთავარ ქუჩაზე, ორკესტრის თანხლებით

## როი კინი თავაწეული დაბრუნდა

**ირლანდიაში** ჯერაც არ ჩამცხრალა ეროვნული გუნდიდან ბობოქარი კაპიტნის, როი კინის დათხოვნის გამო ატეხილი ხმაური. მენეჯერმა მიკ მაკარტიმ საგუნდო კრებაზე პირამყრალებულ კაპიტანს კარისკენ მიუთითა და როიც ულაპარაკოდ გაფრინდა იაპონიიდან.

ირლანდიელი ხალხი ალაშფოთა ამ ამბავმა, რაღა თქმა უნდა, სრულმა უმრავლესობამ კინი დაადანაშაულა და მას ირლანდიელობა დაუწუნა. საქმეში ქვეყნის პრემიერმინისტრიც კი ჩაერია, რომელმაც მენეჯერისა და კაპიტნის მორიგება სცადა.

საერთოდ, კინი ვინც არის და როგორი აფეთქებაც ეხერხება, ყველას მოეხსენება. იაპონიაში კი, საერთოდაც მარცხენა ფეხზე ჩასულა და უკმაყოფილო ბურტყუნით ატარებდა დღეებს. კინს დაუწუნებია სავარჯიშო პირობები და ვარჯიშის ხერხიც, მეკარეთა მწვრთნელ პატ ბონერისთვისაც კი უთქვამს, მეკარეებს ცალკე რომ ავარჯიშებთ, ეგ კარგს არაფერს მოგვიტანსო. მერე გამოუცხადებია, ყველაფერი მტკივა და შინ ვბრუნდებიო, რის გამოც მაკარტის სხვა ფეხბურთელის გამოძახება დაუპირებია, მაგრამ ორიოდ საათში კაპიტანს აზრი შეუცვლია, ვრჩებიო და ის ღამე ბაზაზე გაუთევია.

დილით, საგუნდო კრებაზე მენეჯერს მოუთხოვია, რომ რომ განწყობა მოიწესრიგოს და ბოდიში მოგვიხადოს გუშინდელი არეულობისთვისო. ამის გამგონე კინი ისე წამოჭარხალებულა, როგორც იცის ხოლმე და კარგა გრძელი, მღელვარე სიტყვა წარმოუთქვამს, რომლის არსიც პირიქითა ბოდიშის მოთხოვნა იყო და ეს გამოსვლა იმგვარი სიტყვებით შეუკაზმავს, თვით ლანძღვა-გინების საუცხოოდ მცოდნე ფეხბურთელებსაც კი გაჰკვირვებიათ.

„ამგვარი სიტყვები ჩემთვის არასოდეს უთქვამს ვინმეს“ — ამბობს მაკარტი — „მეტიც, მათი უმრავლესობა პირველად გავიგე“.

მაკარტი, თურმე, ამშვიდებდა კიდეც კინს, იმ დროს ახსენებდა, როცა არაერთგზის დახმარებია და მასზეც კარგის მეტი არაფერი უთქვამს.

„ის კაპიტანი იყო და პატარა ბიჭებისთვის სამაგალითო ვინმედ ვსახავდით“ — თქვა მენეჯერმა — ისე მოიქცა, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა, გუნდიდან დავითხოვე“.

ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელებიც პირდაღებულნი უსმენდნენ თავიანთ კაპიტანს. სტივ სტაუნტონმა თქვა, რომ რომ ყოველგვარი საზღვარი გადალახა, მეტ ჰოლანდმა კი გაიკვირვა, იმ დილაუთენია ასეთი რა ბოღმა ჰქონდა, რომ ყველაფერი წაგვიმწარაო.

კინი კი უკვე შინაა, თავის ჩეშირის სასახლეში ცოლშვილთან ერთად.

ის არაფერს ნანობს და აცხადებს: „ბოდიში? აქეთ უნდა მომიბოდიშოს. სანამ მიკ მაკარტი ნაკრების მწვრთნელია, ჩემი იქ თამაში არ გამოვა. ის რომ წავა, მერე ვიფიქროთ. არ შეიძლება, დათმო ის, რაც დასათმობი არ არის. ახლა ათას ჭორს მოიგონებენ, თითქოს მეთქვას, შენ ირლანდიელი კი არა, ინგლისელი ხარ-მეთქი. ეგ არ მითქვამს. სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია, ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი.

იმ კვირაში ირლანდიაში ჩავალ, მშობლიურ ქალაქ კორკში და მთავარ ქუჩაზე თავაწეული გავივლი. მე არავინ შემირცხვენია“.

ალბათ, როი კინისგან სხვაგვარი საქციელი მოულოდნელიც კია.

ირლანდიის ნაკრები კი თავისი კაპიტნის და ერთადერთი საერთაშორისო ვარსკვლავის გარეშე დარჩა.

**ირაკლი გამყრელიძე**



როი კინმა ქუჩაში ამაყად გაიარა




# კოლინა ომში გაუშვეს

**ამან უნდა თქვას**, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო. ვინმე ალი ბუჯსაიმს უდიდესი პატივი მიაგეს და... მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი ანდეს. როგორი არბიტრია ბუჯსაიმი, არ ვიცით, ის კი ცნობილია, რომ ტომით საამიროელი არაბია. ეტყობა, კარგი რეფერიც უნდა იყოს.

სამაგიეროდ, ვიცით, ვინცაა პიერლუიჯი კოლინა. ეს 42 წლის ხოტორა იტალიელი ეკონომისტი საქვეყნოდაა ცნობილი თავისი პრინციპულობით და დაუნდობელი მსაჯობით.

თუ ბუჯსაიმს გახსნის მატჩი ერგო, კოლინას ზეპრინციპული მატჩის არბიტრობა დააკისრეს...

7 ივნისი. საპორო. არგენტინა — ინგლისი! მეტი რაღა გინდათ? რომ იტყვიან, ჰა, თამაში და ჰა, მსაჯიც.

ქვემორე ცხრილი ჯგუფური ეტაპის შეხვედრებზე ფიფას მიერ დანიშნულ მსაჯთა ნუსხას მოიცავს. აქვე შევნიშნოთ, რომ მუნდიალის ჯგუფური ეტაპის მატჩები 14 ივნისს მთავრდება. მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანო ბოლო სამი დღის „შავოსანთა“ ვინაობაზე ჯერაც ფიქრობს.

## მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შეხვედრათა არბიტრები

| | |
|---|---|
| **31 მაისი** | |
| საფრანგეთი — სენეგალი | ალი ბუჯსაიმი (საამიროები) |
| **1 ივნისი** | |
| ირლანდია — კამერუნი | ტორუ კამიკავა (იაპონია) |
| ურუგვაი — დანია | საად მანე (ქუვეითი) |
| გერმანია — საუდეთი | უბალდო აკინო (პარაგვაი) |
| **2 ივნისი** | |
| არგენტინა — ნიგერია | ჟილ ვესიე (საფრანგეთი) |
| პარაგვაი — სამხრეთ აფრიკა | ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი) |
| ინგლისი — შვედეთი | კარლოს სიმონი (ბრაზილია) |
| ესპანეთი — სლოვენია | მოჰამედ გუეზაზი (მაროკო) |
| **3 ივნისი** | |
| ხორვატია — მექსიკა | იუნ ლუ (ჩინეთი) |
| ბრაზილია — თურქეთი | იონგ-იოო კიმი (სამხრეთ კორეა) |
| იტალია — ეკვადორი | ბრაიან ჰალი (აშშ) |
| **4 ივნისი** | |
| ჩინეთი — კოსტა რიკა | კიროს ვასარასი (საბერძნეთი) |
| იაპონია — ბელგია | უილიამ მატუსი (კოსტა რიკა) |
| სამხრეთ კორეა — პოლონეთი | ოსკარ რუისი (კოლუმბია) |
| **5 ივნისი** | |
| რუსეთი — ტუნისი | პეტერ პრენდერგასტი (იამაიკა) |
| აშშ — პორტუგალია | ბაირონ მორენო (ეკვადორი) |
| გერმანია — ირლანდია | კიმ-მილტონ ნილსენი (დანია) |
| **6 ივნისი** | |
| დანია — სენეგალი | კარლოს ბატრესი (გუანა) |
| კამერუნი — საუდეთი | ტერიე ჰაუგე (ნორვეგია) |
| საფრანგეთი — ურუგვაი | ფელიპე რამოს რიზო (მექსიკა) |
| **7 ივნისი** | |
| შვედეთი — ნიგერია | რენე ოტრუბე (ბოლივია) |
| ესპანეთი — პარაგვაი | ჯამალ ლანდური (ეგვიპტე) |
| არგენტინა — ინგლისი | პიერლუიჯი კოლინა (იტალია) |
| **8 ივნისი** | |
| სამხრეთ აფრიკა — სლოვენია | ანხელ სანჩესი (არგენტინა) |
| იტალია — ხორვატია | გრემ პოლი (ინგლისი) |
| ბრაზილია — ჩინეთი | ანდერს ფრისკი (შვედეთი) |
| **9 ივნისი** | |
| მექსიკა — ეკვადორი | მურად დაამი (ტუნისი) |
| კოსტა რიკა — თურქეთი | კოფი კოჯა (ბენინი) |
| იაპონია — რუსეთი | მარკუს მერკი (გერმანია) |
| **10 ივნისი** | |
| სამხრეთ კორეა — აშშ | ურს მაიერი (შვეიცარია) |
| ტუნისი — ბელგია | მარკ შილდი (ავსტრალია) |
| პორტუგალია — პოლონეთი | პიუ დალასი (შოტლანდია) |
| **11 ივნისი** | |
| დანია — საფრანგეთი | მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია) |
| სენეგალი — ურუგვაი | იან ვეგერეეფი (ჰოლანდია) |
| კამერუნი — გერმანია | ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი) |
| საუდეთი — ირლანდია | ფალა ნდოიე (სენეგალი) |

# ჩაიცვით წესიერად

## არგენტინას მარადონა აუკრძალეს, იაპონიამ მარადონა არ ისტუმრა



REUTERS

*არგენტინის ყოფილ პრეზიდენტს, კარლოს მენემს კაი ლამაზი ცოლი ჰყოლია. სესილია ბოლოკო სწორედ ახლახან შეიქნა „მის უნივერსი“. მის უნივერსს კი მისტერ უნივერსი ეხვევა, რომელშიც მენემის ძველ მეგობარ დიეგო მარადონას ამოიცნობთ.*

*„ვერაფერი გამიგია“ — განაცხადა გაკვირვებულმა დიეგომ, ქალბატონ სესილიასთან ჩახუტებამდე, რაკილა იაპონიის მთავრობამ სამუნდიალოდ ქვეყანაში შესასვლელი ვიზა არ მისცა.*

*იაპონელთა პრინციპულობა კი იქაური კანონიდან გამომდინარეობს, რომლის ძალითაც ქვეყანაში ნარკომანის (ან თუნდაც ყოფილი ნარკომანის) შესვლა დაუშვებელია. მარადონა კი, მოგეხსენებათ...*

*და განა მარტო იაპონია, მარადონას ფიფაც არ სწყალობს, კერძოდ კი, მისი ტახტმორყეული პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი. ამ უკანასკნელმა მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს ის გადაწყვეტილება დაუწუნა, რომლის უფლებითაც კორეა-იაპონიაში 10-ნომრიან მაისურას არგენტინის ნაკრების არცერთი ფეხბურთელი მოირგებდა. ალბათ, იგუმანეთ, გაუჩოებმა ეს ჟესტი დიდი დიეგოს პატივსაცემად მოიგონეს, მაგრამ...*

*ბლატერმა ბრძანა: წესი წესია, კეთილი ინებეთ და, ფეხბურთელები 1-დან 23-ე ნომრიანი მაისურებით შემოსეთო. ბლატერს კვერი ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა, არგენტინელმა ხულიო გრონდონამაც დაუკრა, რას ვიზამთ, წესი, წესიაო...*

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ნახევარფინალი

# შარშანწინდელიც კი გვახსოვს

## ფრანგებმა მასპინძლებს აწყენინეს

**იტალია 2:3დ.დ.(2:2) ჩეხეთი**

0:1 როზენალი (1), 0:2 პოსპიშილი (83), 1:2 პირლო (85პ), 2:2 მაკარონე (90), 2:3 პოსპიშილი (96, ოქროს გოლი)

იტალია: პელიცოლი, ფერარი, მ. კანავარო (კარაჩოლო 90), კასტელინი, ლუკინი, ბლაზი, ბრიგი (იაკუინტა 87), მარკიონი (პინცი 78), პირლო, მაკარონე, ბონაცოლი

მწვრთნელი: კლაუდიო ჯენტილე

ჩეხეთი: ჩეხი, ტირანეკი, ჟირიშეკი, გრიგერა, კობილიკი, ზელენკა (პოლაკი 70), ჰუბშმანი, ვახოუშეკი (პოსპიშილი 74), სკაჩელი, ბაროში (თურეკი 90), როზენალი

მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი

გაფრთხილება: კანავარო, ფერარი, ბაროში, კობილიკი, პოსპიშილი, სკაჩელი

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

15 000 მაყურებელი

**გვარიანად** დაძაბულ და საინტერესო პაექრობას ისეთი მოულოდნელი დასასრული ჰქონდა, რომ...

ჩეხეთმა ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს მაძიებელ იტალიას კუდით ქვა ასროლინა, თუმცა ამის თქმა 83-ე წუთამდე უფრო შეიძლება. მერე კი... მერე „სკუადრა აძურამ" ბრჭყალები გამოაჩინა და მატჩის გადარჩენის იმედიც მიეცა, მაგრამ, ეტყობა, ჩეხებს მწარედ ახსოვდათ ორი წლის წინანდელი ამბავი: მაშინ იტალიამ ცხვირწინ ააცალა ჩემპიონობა და, ცხადია, რევანშისთვის ამაზე უკეთეს შანსს მიროსლავ ბერანეკის შეგირდები ვერც ინატრებდნენ.

იტალიელებს ციურიხის „ჰარდტურმ სტადიუმზე" ფეხი ხეირიანადაც არ შეედგათ, ჩეხები გატანილი გოლით რომ ხარობდნენ. პირველივე წუთზე დევიდ კობულიკის საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს ივან პელიცოლიმ თვალი ვერ გაუსწორა, გამოსვლაზე შეცდა და დევიდ როზენალმა თავით ცარიელ კარში შეაგდო.

ჩეხებმა მეტოქეს აზრზე მოსვლა არ აცალეს და მაშინვე კინაღამ მეორეც გაიტანეს. ლივერპულელი მილან ბაროშის დარტყმული ძელმა არ „გაატარა".

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა. საგოლე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდათ. გამორჩეულად კარგი მომენტები მასიმო მაკარონემ და ემილიანო ბონაცოლიმ გააფუჭეს.

81-ე წუთზე კი მიხალ პოსპიშილმა შეარხია მეტოქის კარის ბადე, თუმცა



ჩეხმა მიხალ პოსპიშილმა იტალია მუხლებზე დააჩოქა / ჩეხმა მიხალ პოსპიშილმა იტალია მუხლმოდრეკილი მოკლა

თანამსაჯმა ოფსაიდის ნიშნად დროშა აღმართა. მაგრამ, ეგრე არ უნდაო და, ორ წუთში პოსპიშილმა მაინც გაიტანა გოლი, როცა სკაჩელის გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა.

თითქოს ყველაფერი აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „სკუადრა აძურას" ხომ მასიმო მაკარონე ჰყავს. სწორედ მისი თავგანწირვის წყალობით შეძლეს იტალიელებმა გონს მოსვლა. 85-ე წუთზე მაკარონე ტომას ჰუბშმანმა საჯარიმოში მოცელა. პენალტი ანდრეა პირლომ ზუსტად შეასრულა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კი მაკარონემ უკვე თავად შეძლო ულამაზესი გოლით წონასწორობის აღდგენა.

დამატებით დროში გუნდებმა ფრთხილი თამაში ამჯობინეს და უფრო ერთმანეთის შეცდომას ელოდნენ. ისევ იტალიელები შეცდნენ — 96-ე წუთზე ლიბორ ქურეკის გარღვევას საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი მიხალ პოსპიშილი გამოეხმაურა და „სკუადრა აძურას" იმედი „ოქროს გოლით" დაასამარა.

**საფრანგეთი 2:0 შვეიცარია**

1:0 მალბრანკი (62), 2:0 სორლენი (70)

საფრანგეთი: ლანდრო, რევეიე, ქუკუფა, ბუმსონგი, ბერსონი, ბრეშე, სორლენი, გოვუ (ფრაუ 80), მალბრანკი (მამუ 89), ლუინდულა, ბედრეტი (მერიემ 73)

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

შვეიცარია: ბენეი, მაიერი, მანინი, გრიხტინგი, ტილერი, ფრიდლი, ბერიშა (შელენთოვიჩი 60), ზანი (მუფი 80), გიგაქსი (დენიკოლა 46), კაბანასი, ფრეი

მწვრთნელი: ბერნარ შალანდესი

გაფრთხილება: გიგაქსი, ტილერი, კაბანასი, ტილერი, ბედრეტი, გრიხტინგი, რევეიე, ბერსონი

გაძევება: ტილერი (41)

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი

**საფრანგეთის** ნაკრების სიძლიერიდან გამომდინარე, შვეიცარიელთა შანსები მინიმალური ჩანდა. ეს მატჩის მიმდინარეობის დროსაც კარგად გამოჩნდა. ფრანგები ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე.

ჩემპიონატის მასპინძლები პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად გაუძლიანდნენ მეტოქეს, თუმცა 41-ე წუთზე მსაჯმა შტეფან კელერს წითელი ბარათი აუფრიალა და უკვე ყველაფერი ცხადი გახდა.

არადა, მანამდე რიკარდო კაბანასმა ძელსაც კი გაარტყა ბურთი, მაგრამ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ფრანგებს ჰკითხეთ — სორლენის, ლუინდულასა და გოვუს მიზანი რომ გაესწორებინათ, მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდებოდა.

ფრანგთა ზეწოლა მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, თუმცა გოლის გატანას ვერც ვერ ახერხებდნენ. საბოლოოდ ნიკოლას ბენეის კარს ფარდა 62-ე წუთზე აეხადა, როცა ფლორენ სინამა-პონგოლე... / როცა ფულემელი სტიდ მალბრანკი საჯარიმოში კარგად გაისარჯა და დარტყმაც ხეირიანი გამოუვიდა — 1:0.

გაშვებული გოლიდან რამდენიმე წუთში შვეიცარიელებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, თუმცა ალექსანდრ ფრეიმ ხელსაყრელ მდგომარეობიდან ააცილა და ქომაგები მარცხს შეაგუა.

მალე ოლივიე სორლენმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა და ბენეის აულებელი დაურტყა.

ამგვარად, საფრანგეთი ფინალში გავიდა, სადაც მისი მოწინააღმდეგე თანაჯგუფელი ჩეხეთი იქნება, რომელსაც ჩემპიონატის გახსნის მატჩში 2:0 სძლია. ჩეხებმა კი რევანშის ალება როგორ იციან, თავადაც კარგად მოგეხსენებათ...

**ქახა შალამბერიძე**



შვეიცარიელებმა ალექსანდრ ფრეის (№11) თავგანწირვამ ვერ იხსნა

## იტალია

**სერია B. XXXVII ტური**

**ანკონა 3:2 ემპოლი**

0:1 როკო (11), 1:1 კრიბარი (31ს.კ.), 1:2 როკო (46), 2:2 მ. ვიერი (48პ), 3:2 ალბინო (87)

**კომო 4:3 ჩიტადელა**

0:1 პიცი (35), 1:1 ტალდო (38), 1:2 პიცი (50), 1:3 ბაიკუ (67), 2:3, 3:3 ოლივეირა (74, 83), 4:3 ტალდო (88)

**კოზენცა 3:2 პალერმო**

1:0 ედუსეი (28), 2:0 მენდილი (37), 3:0 ძანოლო (78), 3:1 გვიდონი (85), 3:2 ფურიანი (89)

**ჯენოა 3:3 კალიარი**

1:0 კარბარელი (7), 1:1 სუაზო (8პ), 2:1 მიშალჩია (21), 2:2 კ. ქამოზიტო (43), 3:2 ფრანჩიოზო (82), 3:3 ნეგრი (87)

**მესინა 2:0 მოდენა**

1:0 სული (6), 2:0 გრაბი (65)

**პისტოიეზე 4:1 კროტონე**

1:0 ვიგანი (17), 2:0 ბაიანო (28), 2:1 ფიალდინი (29), 3:1 დეზოლე (34), 4:1 ბიზოლი (39)

**სალერნიტანა 2:3 ბარი**

1:0 ვინიაროლი (18), 1:1 სპინესი (43), 2:1 ბელავისტა (49ს.კ.), 2:2 სპინესი (51პ), 2:3 ბელავისტა (60)

**სიენა 2:1 ნაპოლი**

1:0 პინგა (48), 1:1 იანუცელოქსი (70პ), 2:1 ძამპანა (77პ)

**ტერნანა 1:0 რეჯინა**

1:0 ბუკი (45პ)

**ვიჩენცა 0:1 სამპდორია**

0:1 ბერნინი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 37 | 21 | 8 | 8 | 51:34 | 71 |
| მოდენა | 37 | 19 | 12 | 6 | 53:21 | 69 |
| ემპოლი | 37 | 19 | 10 | 8 | 59:33 | 67 |
| რეჯინა | 37 | 19 | 10 | 8 | 48:31 | 67 |
| ნაპოლი | 37 | 16 | 13 | 8 | 47:37 | 61 |
| სალერნიტანა | 37 | 14 | 11 | 12 | 55:54 | 53 |
| ბარი | 37 | 13 | 11 | 13 | 42:50 | 50 |
| ვიჩენცა | 37 | 12 | 12 | 13 | 48:50 | 48 |
| სამპდორია | 37 | 12 | 12 | 13 | 42:45 | 48 |
| პალერმო | 37 | 12 | 12 | 13 | 45:51 | 48 |
| ანკონა | 37 | 13 | 8 | 16 | 40:50 | 47 |
| ჯენოა | 37 | 10 | 16 | 11 | 41:38 | 46 |
| კალიარი | 37 | 10 | 16 | 11 | 37:37 | 46 |
| ტერნანა | 37 | 9 | 18 | 10 | 45:47 | 45 |
| მესინა | 37 | 10 | 14 | 13 | 39:41 | 44 |
| სიენა | 37 | 11 | 11 | 15 | 34:44 | 44 |
| კოზენცა | 37 | 12 | 8 | 17 | 45:56 | 44 |
| პისტოიეზე | 37 | 8 | 12 | 17 | 37:49 | 36 |
| ჩიტადელა | 37 | 8 | 10 | 19 | 47:62 | 34 |
| კროტონე | 37 | 5 | 10 | 22 | 43:68 | 25 |

**სერია C**

**პლეი ოფი**

**საპასუხო მატჩები**

სპეცია — ტრიესტინა 1:0 (0:2); ლეჩე — ტრევიზო 2:1 (1:0); ტარანტო — ლაცჩანო 2:1 (2:3); კატანია — პესკარა 1:0 (0:1)

**პლეი აუტი**

**საპასუხო მატჩები**

კარარეზე — არეცო 0:3 (2:1); რეჯანა — ალძანო 2:1 (1:2); დი სანგრო — სორა 0:0 (0:1). ბენევენტო — ნოჩერინას გაიმართება 2 ივნისს

## ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. VI ტური**

**ემენი 0:3 დენ ბოსხი**

**კამბური 0:3 როზენდალი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენდალი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:6 | 14 |
| დენ ბოსხი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:9 | 13 |
| ემენი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:15 | 4 |
| კამბური | 6 | 1 | 0 | 5 | 8:20 | 3 |

„როზენდალი" მომავალი სეზონიდან ითამაშებს I დივიზიონში

**B ჯგუფი. VI ტური**

**ვოლენდამი 2:1 ექსელსიორი**

**სპარტა 1:3 დენ ჰააგი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ვოლენდამი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:14 | 9 |
| დენ ჰააგი | 6 | 2 | 2 | 2 | 13:9 | 8 |
| სპარტა | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | 7 |

„ექსელსიორი" მომავალი სეზონიდან ითამაშებს I დივიზიონში

## ბელარუსი

**თასის ფინალი**

**გომელი 2:0 ბატე**

1:0 ბორული (59), 2:0 კარსაკოვი (62)

## პოლონეთი

**ლიგის თასი**

**ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ვისლა 2:1 ლეგია (0:3)**

1:0 ფრანკოვსკი (31), 2:0 კოშოვსკი (62), 2:1 იაპია (77)

## ესპანეთი

**II დივიზიონი. XLII ტური**

**ელჩე 0:0 ეიბარი**

**ბადახოსი 2:2 სალამანკა**

0:1 ზეგარა (23), 1:1 ზე ტო (10), 1:2 რობერტო (52), 2:2 ზე ტო (63)

**ატლეტიკო 1:1 ბურგოსი**

1:0 დიეგო ალონსო (18), 1:1 მერინო (41)

**სპორტინგი 3:1 უელვა**

1:0 ვილა (70), 2:0 სოტო (82), 2:1 ეპიტიე (89), 3:1 ვილა (90)

**ხერესი 2:1 ოვიედო**

0:1 ოსკარ პერესი (15პ), 1:1, 2:1 მენა (66, 81)

**ალბასეტე 1:2 ლეგანესი**

1:0 ბასტი (8), 1:1 ოსკარი (19), 1:2 სიფორი (50)

**ნუმანსია 1:2 ლევანტე**

0:1 რია (43), 0:2 კაიკუ (59), 1:2 ალბერტო (90)

**ხიმნასტიკი 3:1 ესტრემადურა**

0:1 ასენსიო (49), 1:1 რამისი (55), 2:1, 3:1 კუელიარი (88, 89)

**მურსია 3:0 ხაენი**

1:0 აკიარი (69), 2:0, 3:0 ლორეტო (81, 90)

**პოლი ეხიდო 1:0 რასინგი**

1:0 ბეჩერა (76)

**კორდობა 1:1 ფეროლი**

0:1 პაბლო (45), 1:1 რამონი (87)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 42 | 23 | 10 | 9 | 68:44 | 79 |
| რასინგი | 42 | 19 | 14 | 9 | 58:37 | 71 |
| უელვა | 42 | 18 | 15 | 9 | 47:35 | 69 |
| ხერესი | 42 | 19 | 9 | 14 | 42:42 | 66 |
| ელჩე | 42 | 17 | 14 | 11 | 52:39 | 65 |
| სპორტინგი | 42 | 17 | 13 | 12 | 57:47 | 64 |
| ეიბარი | 42 | 14 | 16 | 12 | 41:27 | 58 |
| ოვიედო | 42 | 13 | 19 | 10 | 41:40 | 58 |
| ალბასეტე | 42 | 15 | 11 | 16 | 43:41 | 56 |
| ფეროლი | 42 | 16 | 8 | 18 | 58:60 | 56 |
| სალამანკა | 42 | 13 | 15 | 14 | 51:53 | 54 |
| კორდობა | 42 | 14 | 11 | 17 | 46:51 | 53 |
| ლეგანესი | 42 | 13 | 14 | 15 | 40:46 | 53 |
| ბადახოსი | 42 | 15 | 8 | 19 | 43:52 | 53 |
| მურსია | 42 | 12 | 16 | 14 | 37:38 | 52 |
| ბურგოსი | 42 | 12 | 16 | 14 | 31:37 | 52 |
| ნუმანსია | 42 | 13 | 12 | 17 | 45:53 | 51 |
| ეხიდო | 42 | 12 | 14 | 16 | 41:47 | 50 |
| ლევანტე | 42 | 12 | 14 | 16 | 41:54 | 50 |
| ხიმნასტიკი | 42 | 12 | 13 | 17 | 45:49 | 49 |
| ესტრემადურა | 42 | 10 | 13 | 19 | 37:50 | 43 |
| ხაენი | 42 | 11 | 9 | 22 | 30:52 | 42 |

## უკრაინა

**თასის ფინალი**

**შახტარი 3:2დ.დ. (2:2) დინამო**

1:0 პოპოვი (10), 1:1 ბელკევიჩი (31), 1:2 შაცკიხი (50), 2:2 აბილკინი (81), 3:2 ვორობეი (98)

გაძევება: ზუბოვი (118, „შახტარი")

75 000 მაყურებელი

## ნორვეგია

8D-9 ტური: ვოლერენგა — როზენბორგი 0:0; ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 0:1; ბრანი — ოდ გრენლანდი 1:3; ბრინი — მოსი 0:0; სოგნდალი — ვიკინგი 0:2; სტარტი — მოლდე 0:4. სტაბეკი — ლინი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 8 | 7 | 0 | 1 | 15:8 | 21 |
| მოლდე | 9 | 5 | 2 | 2 | 18:8 | 17 |
| ოდ გრენლანდი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| ვიკინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | 15 |
| როზენბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:10 | 14 |
| ბოდიო გლიმტი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:8 | 14 |
| ვოლერენგა | 9 | 3 | 4 | 2 | 12:8 | 13 |
| ლილესტრიომი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:6 | 13 |
| სტაბეკი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 |
| ბრანი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:17 | 10 |
| ბრინი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:15 | 8 |
| მოსი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:18 | 7 |
| სოგნდალი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:22 | 5 |
| სტარტი | 9 | 0 | 4 | 5 | 6:17 | 4 |

## ფინეთი

8D-6 ტური: ჰაკა — ჯაზი 2:1; ლაჰტი — კუოპიო 2:1; მიუპა — ინტერი 1:1; ვაასა — ალიანსი 0:1. ჰიკ — იარო და ჰამენლინა — ტამპერე წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| ჰაკა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ალიანსი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| ინტერი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:4 | 9 |
| იარო | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ჰიკ | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ლაჰტი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ტამპერე | 5 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 |
| ჯაზი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | 5 |
| კუოპიო | 6 | 1 | 2 | 3 | 9:13 | 5 |
| ვაასა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:9 | 3 |
| ჰამენლინა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის ვან გაალმა ხელები დაიკაპიწა და „ბარსელონაში“ საქმეების დაწყობას შეუდგა.

ვიდრე ჰოლანდიელი მწვრთნელის პირველ ნაბიჯებზე ქვემოთ მოგითხრობდეთ, ორიოდ სიტყვით შევნიშნოთ — ვან გაალი მკაცრი ხასიათისა და, ჩვენში რომ იტყვიან, ცოტა ფხუკიანი კაციცაა — ერთგვარი ათვალწუნებით უყურებს, ეგრეთ წოდებულ, ქარიზმა ფეხბურთელებს.

დასტურად მისი და რივალდოს ურთიერთობაც გამოდგება. ვან გაალს და „ბარსას“ ბრაზილიელ „ჯადოქარს“, ჰოლანდიელის კატალონიაში პირველმწვრთნელობისას მაინცდამაინც შეხმატკბილებული ურთიერთობა ვერ ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ ვან გაალი რივალდოს მარცხენა ფლანგზე ექაჩებოდა, ბრაზილიელი კი მაინც ცენტრისკენ იწევდა.

# ვან გაალმა ბარსელონას სამქლავური მოხსნა

## სერხი სახლიდან გააგდეს, რივალდომ კი მარცხნივ გაიწია




აბელარდოს ლუის ვან გაალმა კარისკენ მიუთითა

**ამ ჯერზე** კი ვან გაალმა თვალი ძირძველ კატალონიელებს, აბელარდოსა და სერხის დაადგა, აქვე ვთქვათ, რომ გუნდიდან ხოსეპ გვარდიოლას წასვლის შემდეგ „ბარსას“ კაპიტნობას ერთმანეთს სწორედ ზემოთხსენებული ფეხბურთელები ითავსებდნენ. ჰოდა, ადგა ვან გაალი და „ბარსელონაში“ ჭიპმოჭრილებს კარისკენ მიუთითა.

ერთი სიტყვით, კატალონიაში ახალი გუნდის შენება იწყება, როგორი იქნება იგი, ღმერთმა და ლუის ვან გაალმა უწყიან. ცხადია, თავისი მოსაზრება აქვს ლუის ენრიკესაც, რომელიც ახლა შორეულ კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კი ემზადება, მაგრამ „ბარსელონაზე“, აბელარდოსა და სერხიზე გული ესპანურ გაზეთს „SPORT“-თ გადაუშალა.

— ძალიან საწყენია, რომ აბელარდო და სერხი გუნდიდან მიდიან, განა იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან. მთავარია, რომ ორივე ნაღდი პროფესიონალია და მათ „ბარსელონასთვის“ ყველაფერი გაიღეს. აბელარდომ უმძიმესი ტრავმის შემდეგ კვლავ შეძლო ფეხზე დადგომა და უმნიშვნელოვანეს მატჩებში თავისი სიტყვა თქვა. სერხიზე კი, აბა, რაღა ვთქვათ — იგი, ასე მგონია, კლუბში დაიბადა და მთელი ცხოვრება „ბარსელონაში“ აქვს გატარებული.

**— სავარაუდოდ, გუნდს კარლეს პუიოლიც დატოვებს...**

— „ბარსელონა“ კარლესის გარეშე ვერ წარმომიდგენია. მისი გაყიდვა უდიდესი შეცდომა იქნება.

**— რა იცით, კლუბის ახალშენაძენების შესახებ?**

— წინა სეზონში ვერაფერი მოვიგეთ. ცხადია, ახალი სისხლი საჭიროა. უპრიანია ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელებაც, ახალ თანაგუნდელებზე კი ჯერ არაფერი მსმენია.

**— იცით, რომ რივალდო ვან გაალის დათანხმდა, მარცხენა ფლანგზე ვითამაშებო...**

— მთავარია, რივალდო „ბარსელონაში“ დარჩეს და ტრავმებმა არ შეაწუხოს, თორემ იგი ნებისმიერ პოზიციაზე სასარგებლოა.

**— ვან გაალის მოსვლით „ბარსელონას“ საქმეები უკეთ წავა?**

— დარწმუნებული ვარ. ეს იქნება ფილმის მეორე სერია, პირველის მსგავსი გამარჯვებებით.

ბოლოს ერთიც დავძინოთ, „ბარსელონადან“ დათხოვნილი აბელარდო და სერხი უსაქმოდ რომ არ დარჩებოდნენ, ცხადია. პირველს თვალი „დეპორტივომ“ დაადგა, მეორეს გადაბირებას მადრიდის „ატლეტიკო“ აპირებს.

„ბარსელონა“ კი გუშინ ვან გაალმა ბანგკოკში შეკრებაზე წაიყვანა. გუნდშია ფრანკ დე ბური, რომელიც, ალბათ კატალონიაში დარჩება, ოღონდ რამდენი ხნით, ჯერ კლუბი და ფეხბურთელი ამაზე არ შეთანხმებულა.



სერხისაც თუ გაიმეტებდნენ, ლუის ენრიკეს არ ეგონა

**ბაჩა ხურციძე**

# იგი წავიდა და მოვიდა ლოტინა

**ორი კვირის** წინ ვიგოური „სელტას“ პრეზიდენტმა ჰორაციო გომესმა გუნდის თავკაც ვიქტორ ფერნანდესს ჩემპიონთა ლიგაში ვერგასვლა არ აპატია და გუნდიდან გაუშვა, რაც ადრევე გაუწყეთ. ახალი ამბავი კი ეს გახლავთ: ფერნანდესის ადგილი „ოსასუნადან“ წასულმა მიგელ ლოტინამ დაიკავა.

ლოტინამ პამპლონელთა ღარიბ გუნდში ორი წელი იმუშავა, თავდაპირველად პრიმერადივიზიონში აიყვანა, მერე კი ამ მიღწევის შენარჩუნება მოახერხა.

აქვე შეგახსენებთ, რომ „სელტადან“ წასული ფერნანდესი მუშაობას სევილიურ „ბეტისში“ გააგრძელებს, რომელიც მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს.

**ლუკა გიგიბერია**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




REUTERS

იოზეფ ბლატერი და მიშელ ზენ რუფინენი დღეს საღამომდე ერთმანეთზე ავს არ იტყვიან

# მორატორიუმი ლანძღვა-გინებაზე

## ჰაი, ჰაი, ამასაც აწყობს! ამტკიცებს ჰაიატუ

**კვირას** ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო 48 საათის განმავლობაში ანუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთმანეთს არ გალანძღავდნენ. „მხოლოდ იმის თქმა, რომ სხდომაზე „ცხელოდა“, არაფერს ნიშნავს“ — განაცხადა აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა.

სხდომა ხუთ საათს გაგრძელდა და, ნერვების წყვეტისა და ურთიერთბრალდებების მიუხედავად, მტრები (სწორედ ასე უწოდებენ ოდესღაც მეგობრებს, ზენ-რუფინენსა და ბლატერს) გარკვეულ შეთანხმებამდე მაინც მივიდნენ.

მცირე სამშვიდობო მორატორიუმის ვადა დღეს საღამოს იწურება. ხვალ კი, ფიფას კონგრესზე დიდი ომი რომ გაჩაღდება, ფაქტია. შეგახსენებთ, ბრალმდებლები ბლატერს თანხების მითვისებაში, მართვის ავტორიტარულ მეთოდებსა და მავანთა მოქრთამვაში ადანაშაულებენ.

ამასობაში ერთ-ერთი სოციოლოგიური სამსახურის გამოკითხვით, ბლატერს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციების უმეტესობა უჭერს მხარს. ბლატერის ერთადერთი კონკურენტის, კამერუნელი ისა ჰაიატუს თქმით კი, ეს სოციოლოგიური გამოკითხვა თავად ბლატერის დაკვეთილია. იგივეს იმეორებენ ზენ-რუფინენი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი.

**სერგი ძორიძე**

### ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინის** ნაკრებისა და იტალიური „ლაციოს“ თავდამსხმელი ერნან კრესპო კლუბის დატოვებაზე თანახმაა. უკვე ღიად ლაპარაკობენ კრესპოსა და „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის შორის მომხდარ უთანხმოებაზე. ჰოდა, არგენტინელი ფორვარდის აგენტებიც დატრიალდნენ და თავიანთი კლიენტი მადრიდის „რეალს“ შესთავაზეს. „რეალი“ ზოგადად თანახმაა, კრესპო იყიდოს, თუმცა... მადრიდელები არ აპირებენ გუნდში კიდევ ერთი მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელის მიყვანას. თანაც „სამეფო კლუბის“ მთავარ სამიზნედ ჯერაც მილანელი ანდრი შევჩენკო ითვლება.

**ბერძნულ აეკ-ს ბრაზილიური „პალმეირასის“ 1,7 მილიონი დოლარი მართებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფიფამ. თუ ბერძნები ამ თანხას არ გადაიხდიან, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ დაუშვებენ. საქმე ისაა, რომ 2000 წელს აეკ-მა „პალმეირასის“ მცველი რამუშ როდრიგო-ლაზერდი შეიძინა, სატრანსფერო თანხა კი დღემდე არ გადაუხდია.**

**იტალიური** „პარმას“ პრეზიდენტმა სტეფანო ტანციმ მცველ ფაბიო კანავაროს საკითხს წერტილი დაუსვა. ბოლოხანს ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ კანავარო მალე ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდოდა. მერე მისი შეძენა „მილანმაც“ მოინდომა, თუმცა ორივე კლუბმა უარი განაცხადა კანავაროსთვის სასურველი ხელფასის (9 მილიარდი ლირა წელიწადში) გადახდაზე. „ფაბიოს შეძენას ვინც აპირებდა, მისი ფასი ყველამ იცოდა. ასე რომ, კანავაროს გაყიდვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ის კლუბში რჩება. ეს უკვე გადაწყვეტილია“ — განაცხადა სტეფანო ტანციმ.

**ესპანური „ატლეტიკოს“ სპორტულმა დირექტორმა პაულუ ფუტრემ გაამხილა, რომ მისი კლუბი „ბარსელონადან“ ასაბარგებლად გამზადებულ სერხის შეძენას აპირებს. „სერხი ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ჩვენ მომავალი სეზონისთვის გამოგვადგება. მას უკვე ვესაუბრე და ვიგრძენი, რომ ასეთი პერსპექტივით მოხიბლულია. პრიმერადივიზიონში კარგად გამოსვლისთვის კიდევ ექვსი-შვიდი მაღალი კლასის ფეხბურთელი დაგვჭირდება“ — განაცხადა ფუტრემ. მანვე თქვა, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია არგენტინელი ფაბრიციო კოლოჩინის და ხავი მორენოს გადაყვანის საკითხი.**

**იტალიური** „რომა“ ფრანგული „ოსერის“ ახალგაზრდა თავდამსხმელ ჯიბრილ სისეთი დაინტერესდა. მის გარდა სისეს შეძენას ინგლისური „ლივერპულიც“ ლამობს. „რომა“ 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 18,4 მილიონ დოლარს იხდის, თუმცა „ოსერი“ გაცილებით მეტს — 40 მილიონს ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში სისემ 29 მატჩში 22 გოლი გაიტანა და საფრანგეთის ეროვნულ გუნდშიც მიიწვიეს.

**გერმანულმა „ჰერტამ“ გუნდის კაპიტანს, 34 წლის მიხაელ პრეეცს კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა. 1996 წლიდან დღემდე პრეეცმა „ჰერტას“ მაისურით 79 გოლი გაიტანა. კარიერის დასრულების შემდეგ კი მას კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობას სთავაზობენ.**

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ უარი განაცხადა „ვერონას“ რუმინელი მეგოლის ადრიან მუტუს შეძენაზე. ტურინელებმა სატრანსფერო თანხა 15 მილიონი ევრო იძვირეს. ახლა მუტუს მსურველი მხოლოდ „პარმა“ დარჩა, რომელიც ამხელა თანხის გადახდას მართალია უარობს, თუმცა „ვერონასთან“ მოლაპარაკებას მაინც აგრძელებს და იმედი აქვს, რომ ყველაფერი მისდა სასარგებლოდ დასრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 033 | საფრანგეთი-ჩეხეთი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 102 | ირლანდია-კამერუნი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 103 | ურუგვაი-დანია | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 16.30 | 104 | გერმანია-საუდეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 105 | არგენტინა-ნიგერია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 12.30 | 106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,7 |
| 14.30 | 107 | ინგლისი-შვედეთი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 109 | ხორვატია-მექსიკა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 14.00 | 110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| 16.30 | 111 | იტალია-ეკვადორი | 1,45 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 14.00 | 113 | იაპონია-ბელგია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.30 | 114 | კორეა-პოლონეთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 06.00 | 501 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 | | | |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 507 | ტორონტო-კაროლინა | 1,9 | 3,6 | 2,9 | | | |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 1001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,55 | 2,6 | 9,0 | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1002 | ირლანდია-კამერუნი | 3,3 | 2,0 | 3,0 | | | |
| 14.00 | 1003 | ურუგვაი-დანია | 3,0 | 2,0 | 3,3 | | | |
| 16.30 | 1004 | გერმანია-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 1005 | არგენტინა-ნიგერია | 2,0 | 2,2 | 5,6 | | | |
| 12.30 | 1006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,3 | 2,1 | 4,4 | | | |
| 14.30 | 1007 | ინგლისი-შვედეთი | 2,4 | 2,0 | 4,4 | | | |
| 16.30 | 1008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,85 | 2,3 | 6,5 | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1009 | ხორვატია-მექსიკა | 2,8 | 2,0 | 3,5 | | | |
| 14.00 | 1010 | ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 2,3 | 7,0 | | | |
| 16.30 | 1011 | იტალია-ეკვადორი | 1,8 | 2,2 | 8,0 | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,4 | 2,1 | 2,7 | | | |
| 14.00 | 1013 | იაპონია-ბელგია | 3,1 | 2,0 | 3,2 | | | |
| 16.30 | 1014 | კორეა-პოლონეთი | 3,2 | 2,0 | 3,1 | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 | | | |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 | | | |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 16.30 | 2001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2002 | ირლანდია-კამერუნი | 1,6 | 1,9 |
| 14.00 | 2003 | ურუგვაი-დანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2004 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2005 | არგენტინა-ნიგერია | 1,85 | 1,65 |
| 12.30 | 2006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.30 | 2007 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 1,6 |
| | | **3 ივნისი** | | |
| 11.30 | 2009 | ხორვატია-მექსიკა | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2010 | ბრაზილია-თურქეთი | 2,1 | 1,5 |
| 16.30 | 2011 | იტალია-ეკვადორი | 1,75 | 1,75 |
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2013 | იაპონია-ბელგია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2014 | კორეა-პოლონეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2015 | რუსეთი-ტუნისი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2016 | აშშ-პორტუგალია | 1,85 | 1,65 |

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (კი ან არა)

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

I ადგილი ჯგუფში

რა ეტაპზე გავა გუნდი

რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

რამდენი გოლი გავა სულ ჩემპიონატში

გავა თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩის ძირითადი დროის პირველ 2 წუთში (120წამში) გოლი

რომელი გუნდი გაიტანს ყველაზე მეტ გოლს ძირითად დროში

რომელი გუნდი რამდენ გოლს გაიტანს ძირითად დროში ჩემპიონატის მანძილზე

ბომბარდირი

საუკეთესო ფეხბურთელი

**ფსონებს ზემოთ ჩამონათვალზე გაეცნობით ადგილზე, ფსონები კი ხვალინდელ „სარბიელში" კი დაიბეჭდება**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 1101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1102 | ირლანდია-კამერუნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 14.00 | 1103 | ურუგვაი-დანია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 1104 | გერმანია-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 16,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | | | | |
| 10.30 | 1105 | არგენტინა-ნიგერია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 12.30 | 1106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 14.30 | 1107 | ინგლისი-შვედეთი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.30 | 1108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1109 | ხორვატია-მექსიკა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1111 | იტალია-ეკვადორი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 14.00 | 1113 | იაპონია-ბელგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1114 | კორეა-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

თბილისი, დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი;
ზესტაფონი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

**კროკო**

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**


## 2002 წლის 2 ივნისი

## თბილისის საკრებულოს არჩევნები

901. ვინ მიიღებს ყველაზე მეტ ხმას (18.00)

| | |
|---|---|
| მრეწველები | 3,0 |
| ნაციონალისტები | 3,2 |
| ახლები | 3,2 |
| ლეიბორისტები | 3,5 |
| აღორძინება | 5,0 |
| სოციალისტები | 7,0 |
| სახალხო-ტრადიციონალისტები | 10,0 |

მოგებები გაიცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული შედეგის შემდეგ

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი ფინალი, სამ მოგებამდე

ბასკო 3:0 დინამო

# ბასკომ სამგზის ჩაითვალა



„ბასკოს“ კაპიტანი დავით თორთლაძე საჩემპიონო თასით

26 მაისი. სპორტის სასახლე

| დინამო 91:92 ბასკო |
|---|
| 19:22, 23:22, 31:25, 18:23 |
| დინამო: ქლენტი (28), ჩხეიძე (3), ტურაშვილი (8), ჯაფარიძე (4), კორძაძე, წოწელია (9), მაისურაძე (2), მუპე (17), ნაცვლიშვილი (10), ოგანესიანი (6), ჩუბინიძე (4) |
| ბასკო: როჯერსი (24), მარკოიშვილი (3), ბეჟანიშვილი (8), დილონი (17), ბერძენიშვილი (11); ტუჯანი (2), თორთლაძე (16), საყვარელიძე (3), არხიპოვი, ორმოცაძე (3), როდუმტა (5) |
| მსაჯები: ალექსანდრ ივანოვი, სერგეი ნიკოლაიჩენკო |
| კომისარი: როლანდ ხომერიკი |

ირაკლი პირტაია

კვირას სპორტის სასახლეში ბათუმის „ბასკომ“ ფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო თბილისის „დინამოს“ და ქართული კალათბურთის სატახტო ქალაქობა აჭარის მთავარქალაქს მინიმუმ ერთი წლით გაუხანგრძლივა.

გადამწყვეტი მატჩი, თუ არ ჩავთვლით მის თანმხლებ უგვანო ამბებს, რომლებზეც ცოტა ქვემოთ გიამბობთ, ფინალის შესაფერისი გამოდგა. „ბასკომ“ მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვა და შარშანდლის მსგავსად, ფინალური სერია მშრალად მოიგო. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ბათუმელებს ჩემპიონობა ისე იოლად დარჩათ, როგორც მაშინ სტუ-სთან ბრძოლისას. პირველ მატჩში იოლი გამარჯვების შემდეგ პაველ გოოგეს გუნდმა ორი უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და ორჯერვე თითო ქულით იძალა მეტოქეზე.

ეს შეხვედრები ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს, რაც უპირველესად უწესრიგობა-აყალმაყალზე ითქმის და სანამ თამაშზე გადავალთ, იმ მოვლენებზე გეტყვით, ურომლისოდაც გადამწყვეტი მატჩები ჩვენში არ ტარდება.

მაშ ასე, საკვირაო-საფინალო „დინამო“ — „ბასკოს“ არნახულად რიცხვმრავალი ძალოვანი იცავდა და მართლაც დასაცველნი იყვნენ, ოღონდ მხოლოდ ბასკოელები, რადგან ტრიბუნაზე შეკრებილი ზოგიერთი „დინამოს“ ქომაგი რომ მიგეშვა, დაუფიქრებლად გადაეშვებოდა მოედანზე ბათუმელებთან სამუშტიკრივოდ. საბაბიც ჰქონდათ — ბათუმში დატრიალებული ამბები. ერთ-ერთ თამაშს იქ ხომ გინება და მოედანზე მაყურებელ-ძალოვანთა შეცვენა ახლდა. თუმც კვირას თბილისში მომხდარმა ბათუმურს გადააჭარბა, ყველაფერი კი მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე წუთში ატეხილმა ჩხუბმა „დააგვირგვინა“. სპეცრაზმმა რეზინის ხელკეტებით დააცხრო მატჩისშემდგომი დაკა-დაკის მონაწილენი. „ბასკოს“ მცირერიცხოვანმა გულშემატკივრებმა „დინამოს“ კალათბურთელებს არაკორექტული რეპლიკა ესროლეს და ატყდა კიდეც...

თავად მატჩი ერთობ დრამატული გამოდგა, განსაკუთრებით მისი ფინალი. სერიაში 2:0 დაწინაურებული „ბასკო“ საბოლოო გამარჯვებას ეშურებოდა, გულშემატკივრებით შეგულიანებული და რევანშის წყურვილით გახელებული „დინამოც“ ბრძოლის იშტაზე იყო და თამაშიც გახურდა. თბილისელთა თავკაცმა ლევან მოსეშვილმა, წინა მატჩებისგან განსხვავებით, სასტარტო ხუთეულში გოდერძი კორძაძეს უხმო, მისმა ბათუმელმა კოლეგამ პაველ გოოგემ კი ცენტრის პოზიციაზე დავით ბერძენიშვილი გაამწესა. პირველს ირაკლი ჯაფარიძე უმაგრებდა გვერდს, მეორეს — ნიკ დილონი, თუმც მათმა შერკინებამ დებიუტში ლიდერი ვერ გამოკვეთა და მესამე წუთისთვის ანგარიში 7:7 იყო. ამის შემდეგ „დინამოს“ დაცვა ყაირათიანად ამუშავდა და ბათუმელებმაც შემტევი ძალები უკანახაზელებზე გადააჯგუფეს. სანამ ჯეფრი როჯერსი თბილისელთა დაცვას ბზარებს უპოვნიდა, დინამოელმა აჰმედ მუპემ ფარქვეშ ძალები მოიკრიბა და მასპინძლებიც 17:12 დაწინაურდნენ. პაველ გოოგემ მუპეს შეჩერება მისივე ტომელით, კამერუნელი პლასიდე როდუმტათი განიზრახა და ხეირიც ნახა. ხოლო როჯერსის შედეგიან გარღვევებს დავით თორთლაძის სამქულიანიც დაერთო და „ბასკო“ პირველ შესვენებაზე 3-ქულიანი მარაგით გავიდა.

მეორე მეოთხედიდან ფიცარნაგზე დინამოელთა ზორბა ცენტრი არმენ ოგანესიანი გამოვიდა, რომლის წინააღმდეგაც გოოგემ მოედანზე ბერძენიშვილი დააბრუნა. სანამ ესენი ურთიერთობას არკვევდნენ, დილონმა ოთხი ქულის გაკეთება მოასწრო, თან ისე, რომ ირაკლი ჯაფარიძემ მასთან ჭიდილში მე-4 პერსონალური მიიღო და კარგა ხნით სათადარიგო სკამზე დაჯდა. ბათუმელებმაც ათწუთეულის შუაწელში 8-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს (36:28), მაგრამ ოგანესიანი მალე გამოერკვა. მას ჯაფარიძის შემცვლელი გიგი ნაცვლიშვილიც შეეხიდა და პირველი ტაიმის ბოლოს „ბასკოს“ უპირატესობიდან ბევრიც არაფერი შერჩა — 44:42.

ამის შემდეგ, მთავარი ბრძოლები უკანახაზელთა შორის გაჩაღდა. მეფარეთა შორის ბასკოელი დილონი გამოირჩეოდა, თორემ ქულათა დიდი რაოდენობა დაბლებმა შორი სროლებით ქაჩეს. მესამე მეოთხედის დასაწყისში კვლავ „ბასკომ“ იძალა, ორმოცაძისა და დილონის ზუსტი სროლების შემდეგ სტუმართა უპირატესობამ 7 ქულას უწია და ლევან მოსეშვილმა თამაშში სამქულიანების რიხით მყრელი გოჩა წოწელია დააბრუნა, რომელსაც წინა მეოთხედში სროლის საშუალება არ მიეცა. წოწელიამ და არჩილ ქლენტმა ჯამში 7 სამქულიანი ჩააგდეს, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც „დინამოს“ დაწინაურება. განსაკუთრებით ქლენტი გამოირჩა, რომელმაც მესამე ათწუთეულში 14 ქულა ჩააგდო და თბილისელთა ქომაგს ბოლო მეოთხედის წინ 4-ქულიანი იმედი ჩაუსახა — 73:69.

თამაშის განახლებამ კარგი ვერაფერი მოუტანა „დინამოს“, მოედანსდაბრუნებულმა ირაკლი ჯაფარიძემ მე-5 პერსონალური მიიღო, მიუხედავად ამისა, ლევან მოსეშვილის გუნდმა ფარზე პოზიციები გაიმაგრა. მუპე, ოგანესიანის ხელშეწყობით, ფარზე ეულად დარჩენილ დილონზე ამაღლდა. 4 პერსონალურის გამო მოედნიდან მცირე ხნით გასული როჯერსის არყოფნაში ქლენტმაც ერთი-ორჯერ გაინავარდა მეტოქის დაცვაში და „დინამომ“ საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე სერიოზული განაცხადი გააკეთა გამარჯვებაზე — 86:75. პაველ გოოგემ, წინა მატჩის მსგავსად, ფიცარნაგს მხოლოდ ერთი მაღალი — ნიკ დილონი შეატოვა და აქცენტი სისწრაფეზე გააკეთა. თამაში თავზე აილო როჯერსმა, ურომლისოდაც ბათუმელთა ერთ შეტევასაც არ ჩაუვლია. მისი სისწრაფისა და ზუსტი პასების წყალობით დავით თორთლაძემ ორჯერ სამქულიანები ჩააგდო, თავად ამერიკელმაც ახერხა ექვსმეტრსმიღმიდან, რასაც შედეგიანი გარღვევებიც დაერთო და მარკოიშვილის სამიანის შემდეგ „ბასკომ“ სამნახევარწუთიანი მონაკვეთი 14:0 მოიგო, 89:86 დაწინაურდა...

დინამოელთა ნავსი კვლავ ქლენტმა გატეხა და დამთავრებამდე წუთით ადრე შორი სროლით ანგარიში გაათანაბრა. მეტოქეებმა თითო-თითო უშედეგო შეტევა გაცვალეს და აჰმედ მუპეს სირენამდე ნახევარი წუთით ადრე „დინამო“ 91:89 წინ გაჰყავს... ბურთი შეტევაში როჯერსს მიაქვს და, წინა მატჩის დარად, მაშინ, როცა ყველას ჰგონია, რომ კალათს შეუტევს, ჰაერში ამხტარი უცებ ექვსმეტრიან ნიშნულთან ბეჟანიშვილს პოულობს და ზუსტი სროლის შემდეგ წინ ქულით „ბასკო“ გადის. ბათუმელებს ჯერ არა აქვთ ოთხი გუნდური ჯარიმა და ოქროს წამებს წესის დარღვევით იგებენ. დამთავრებამდე 4 წამით ადრე „დინამოს“ „ბასკოს“ ნახევრის გვერდითი ხაზიდან შეყავს ბურთი თამაშში, რომელსაც ქლენტი შორიდან ისვრის... კალათიდან ასხლეტილს ტურაშვილი ეუფლება და ჯარიმა, თუმც მანამდე თუ მასთან ერთად საფინალო სირენაც გაისმა. ერთი-ორი წუთის შემდეგ, სანამ სამდივნო და მსაჯები არკვევდნენ, ჯერ ჯარიმა იყო თუ სირენა, ბათუმელებმა, ახლა უკვე სამგზის ჩემპიონებმა, ყიჟინა დასცეს, რომელიც მსაჯებისა და მატჩის კომისრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დინამოს ქომაგთა ღრიანცელში ჩაიკარგა...



„დინამოს“ სომეხი ცენტრი არმენ ოგანესიანი საქართველოს ჩემპიონი ვერ გახდა

პლეი ოფი მესამე ადგილისთვის, სამ მოგებამდე

სტუ 2:2 აზოტი

# ხვალ ბრინჯაოს დღეობაა

26 მაისი. სპორტის სასახლე

| აზოტი 79:77 სტუ |
|---|
| 24:21, 22:12, 12:25, 21:19 |
| აზოტი: გაბისონია (15), გოგობერიშვილი (18), ბოისა (5), შპუნტი (9), მაჭარაძე (4); ბერუაშვილი (9), იამჩუ (2), არწივიძე, კოკოლიშვილი (17) |
| სტუ: გაგნიძე (14), ხოშტარია (6), ლოსაბერიძე (7), ბაბიაშვილი (7), შენგელია (7); ოთიურიძე (1), მინაშვილი (11), დავითულიანი (10), აბრამიძე (14) |
| მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე |
| კომისარი: ნოდარ დარახველიძე |

27 მაისი. სპორტის სასახლე

| აზოტი 107:83 სტუ |
|---|
| 30:28, 29:19, 20:16, 28:20 |
| აზოტი: გაბისონია (7), გოგობერიშვილი (33), ჯიმშელეიშვილი (6), შპუნტი (4), მაჭარაძე (9); ბერუაშვილი (13), ბოისა, დანელიანი (2), იამჩუ (10), არწივიძე, კოკოლიშვილი (23) |
| სტუ: გაგნიძე (17), ხოშტარია (15), აბრამიძე (5), ბაბიაშვილი (13), შენგელია (23); სულაძე, ოთიურიძე (2), ლოსაბერიძე (6), მინაშვილი (2), დავითულიანი |
| მსაჯები: ალექსანდრ ივანოვი, სერგეი ნიკოლაიჩენკო |
| კომისარი: მურმან ქურიძე |

ირაკლი პირტაია

მას შემდეგ, რაც მესამეობისთვის ბრძოლაში „სტუ-ელისელი“ „აზოტს“ სერიაში 2:0 გაექცა ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალა, თავი დაიარხეინა და დაისაჯა კიდეც. ზურაბ ტომარაძის გუნდი წლეულს ოქროსთვის იბრძოდა. საჩემპიონო რბოლას რომ ჩამოშორდა, ალბათ, ბრინჯაოს მოგება ამოიჩრა გულში და ჰა, ახლა რუსთაველებს ნაბიჯიღა აშორებთ სერიის მოგებამდე.

„აზოტმა“ მოახერხა ძალების მობილიზება და ორ დღეში — კვირას და ორშაბათს — ორჯერ დაამარცხა სტუ. თუ საკვირაო მატჩში ტომარაძის გუნდს მოგება გაუჭირდა, რასაც ანგარიშიც ცხადყოფს (79:77), გუშინ ქვემოქართლელებმა შანსი არ დაუტოვეს ტექნიკოსებს და ხვალ გასამართი გადამწყვეტი მატჩისთვის კარგი გუნება-განწყობილება შეიქმნეს.

კვირის შეხვედრას თავიდან თითქოს ორივე გუნდი ზერელედ მოეკიდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოთამაშეებს სირბილი ეზარებათ და შორი სროლებით ცდილობენ ფონს გასვლასო. „აზოტმა“ 3 ქულით მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ სისწრაფეს უმატა და ნუგზარ კოკოლიშვილის გამართული სროლის წყალობით რუსთაველები მალე სოლიდურად დაწინაურდნენ. ამ დროს სტუ-ს მთავარმექულე ირაკლი ხოშტარია სათადარიგო იყო და ქვემოქართლელთა მოძალებას ტექნიკოსები აბრამიძის და ლოსაბერიძის კონტრშეტევებით უმკლავდებოდნენ. ტაიმის ბოლოს შპუნტმა ფარქვეშიდან, გაბისონიამ კი ექვსმეტრმიღმიდან იმარჯვა და „აზოტი“ წინ ერთბაშად 13 ქულით გაიჭრა.

შესვენების შემდეგ სხვაობა უმალ 15-მდე გაიზარდა და სტუდენტებმაც სათამაშო მანერა შეცვალეს. მათ საკუთარი ზონის რუსთაველთა მოძალებისგან დაცვა კახა შენგელიას მიანდეს, რომლის ზორბა სხეულის გვერდის ავლა აზოტელებს ერთობ უჭირდათ. პირველი შეტევისას კი ნუგზარ ჭეიშვილის გუნდში აბრამიძე და გაგნიძე ყოჩაღობდნენ, რის ხარჯზეც აღმოიფხვრა დეფიციტი.

ფრედ გასრულებული სამი მეოთხედის შემდეგ სტუ-ს დარჩენილ ათ წუთში შეეძლო სამესამეადგილო სერიის მოთავება და ამისკენ გადადგა კიდეც ნაბიჯი, როცა მინაშვილისა და გაგნიძის ქულებს სტუდენტთა 62:58 დაწინაურება მოჰყვა, მაგრამ „აზოტმა“ ერთხელაც გამოავლინა მებრძოლი სული და გაბისონიას აქტიურობით, რომელიც ფარქვეშაც ყოჩაღობდა, თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე 77:70 დაწინაურდა. მაგრამ სტუ-მ იმედი ქნა, თამაშის ხნის შანსი გამოკვესა. სირენამდე 5 წამით ადრე სტუ-ს მეტოქემდე 3 ქულაღა აშორებდა და მათ ოქროსხელიან ლიდერს, ირაკლი ხოშტარიას ორჯერ მიეცა გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ...

გუშინ კი ტექნიკოსები თავს არ ჰგავდნენ. დაცვაში გახევებულნი იდგნენ და ფარზეც მეტოქეს ანავარდებდნენ. სტუ-ელმა შენგელიამ კი ყარა, მაგრამ კოკოლიშვილთან და გოგობერიშვილთან ვერ მივიდა. ამ ორს იშვიათად ღალატობდა მიზანი. სტუდენტთა განთქმულმა მესამქულემ 12-ჯერ ისროლა ექვსმეტრსმიღმიდან და ერთხელ თუ იხეირა. აბა, რაღა გასაკვირია, ასეთ ვითარებაში თამაშის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე რომ გაირკვა გამარჯვებული — საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე ბერუაშვილის სროლის შემდეგ სხვაობამ 20 ქულას მიაღწია.

მეთერთმეტე ჩემპიონატის ბოლო მატჩი, რომელიც ბრინჯაოსმედალოსანს გამოავლენს, ხვალ გაიმართება სპორტის სასახლეში.

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ კონფერენციების ფინალები, ოთხ მოგებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

## ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 1:2 ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ

# ᲙᲔᲚᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ



REUTERS ბოსტონიდან



ანტუან უოლკერის და პოლ პირსის „ბოსტონმა“ შეუძლებელი შეძლო

— 25 მაისი. ბოსტონი —

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 94:90 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ**

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ:** ანდერსონი (15), ე. უილიამსი (5), პირსი (28), უოლკერი (23 ქულა, 12 მოხსნა), ბათი (6); როჯერსი (10), დელკი (7), მაკარტი

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ:** კიდი (12 ქულა, 11 პასი), კოლზი (18), ვან ჰორნი (6), მარტინი (12), მაკალოფი (5 ქულა, 11 მოხსნა); ა. უილიამსი (18), ჰარისი (10), ჯეფერსონი (8), კოლინზი, ჯონსონი

როგორც კი საფინალო სირენა გაისმა, „ბოსტონელ კელტთა“ ცოცხალმა ნაალვარმა პოლ პირსი მოედნის შუაგულში შეათრია და იქ დახრჩობა დაუპირა. პირსმა, როგორც იქნა, თავი გაითავისუფლა ერთმანეთში აზელილ გადარეულ თანაგუნდელთა მასისგან, თავადაც არანაკლებ გადარეული სტატისტიკოსთა მაგიდაზე შეხტა და პირიდან ხავილი ამოუშვა...

ხოლო როდესაც პირსი მაგიდიდან ჩამოხტა, ქულების დამთვლელმა საბოლოო ოქმში ჩაწერა, რომ „ბოსტონის“ ლიდერმა თამაშში 28 ქულა გააკეთა, აქედან 19 ბოლო მეოთხედში. აგრეთვე აღნიშნა ისიც, რომ 94:90 დასრულებულ თამაშში მასპინძელმა „სელტიქსმა“ ბოლო მეოთხედი 41:16 მოიგო.

„ბოსტონ სელტიქსმა“ ისე იზეიმა „ნიუ ჯერსისთან“ სერიის მესამე მატჩის მოგება და 2:1 დაწინაურება, თითქოს დიდი ფინალის მეშვიდე მატჩი მოიგო. მაგრამ ეს არ იყო ერთი რიგითი საპლეიოფო ძლევა, ეს ისეთი გამარჯვება იყო, რომლის მსგავსიც მრავლისმნახველ „ბოსტონს“ კი არა, სრულიად ნბა-ს არ უნახავს. სტატისტიკას მოვიშველიებთ: „ბოსტონმა“ ბოლო მეოთხედში 21-ქულიანი დეფიციტი დაფარა და ყველა დროის საპლეიოფო რეკორდი დაამყარა. ნბა-ს პლეი ოფებს ახსოვს დიდი „ამოქაჩვები“, მაგალითად, 1994 წელს ჩარლზ ბარკლის „ფინიქსმა“ ჰაკიმ ოლაჯუონის „ჰიუსტონს“ ბოლო მეოთხედში 18-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მოუგო. 2000 წელს „ლეიკერსმა“ „პორტლენდს“ 15-ქულიანი უპირატესობა გაუცამტვერა, მაგრამ პლეი ოფში უწრთობი და გამოუცდელი ბიჭბუჭებისგან ეს მეტისმეტია.

პირსის და მისი დოსტების გმირობამდე „ბოსტონს“ სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობოდა. მასპინძლებმა თამაშში პირველი 14 სროლიდან 12 ააცილეს და საწყისი მეოთხედი 13:28 წააგეს. მერე გაუჭირდათ გონს მოსვლა. ბოლო მეოთხედში 21-ქულიანი ჩამორჩენით და მორალურად განადგურებულები შევიდნენ.

თავისიანთა შორის ყველაზე უარეს მდგომარეობაში სწორედ რომ პოლ პირსი გახლდათ. ის „ნიუ ჯერსის“ საშინლად აწიოკებდა რეგულარულ სეზონში, მაგრამ აი, პლეი ოფში „ბადეებმა“ კვლავ დაბორკეს „ბოსტონის“ ჩაუქი ლიდერი და სამ მეოთხედში ოდენ ცხრა ქულას დააჯერეს. „სელტიქსი“ საკუთარი ქომაგობის და ბოლო მეოთხედის წინ 21 ქულით ნადგურდებოდა და კელტთაგან ყველაზე მეტად პირსი იყო დათრგუნული.

ბოლო ოფიციალური შესვენებისას, ბოლო და ვინ იცის, როგორი კოშმარული თორმეტწუთეულის წინ, მოლუშულმა და საცოდავმა პირსმა „ნიუ ჯერსის“ სკამს ჩაუარა და იქიდან გესლიანი ქირქილი მოისმა. მიიხედა, მას დასცინოდნენ და გაცოფდა ბიჭი.

იქნებ არც არაფრის იმედი ჰქონდა, უბრალოდ, მას არ სურდა, ასე კუდამოძუებული გასულიყო ფიცარნაგიდან. ბოლო მეოთხედის საწყის წუთნახევარში სამი ბურთი ჩააგდო და ეს მონაკვეთი 11:0 მოაგებინა „სელტიქსს“. მისი გუნდიც უკვე არა 53:74, არამედ 64:74 აგებდა და იმედის ნაპერწკალიც აქ აგიზგიზდა. მოედანზე თეთრ-მწვანე ფორმიანი ბიჭებიდან ცეცხლი ასევე მწვანე ტრიბუნებს მოედო და „ნიუ ჯერსი“ თავისი წინასწარ მოპოვებული გამარჯვებიანად დაწვა. გაშმაგებული „კელტები“ ქულას ქულაზე გლეჯდნენ „ბადეებს“. ამაოდ ცდილობდა სტუმართა ლიდერი ჯეისონ კიდი, რაიმე ეღონა, მასპინძლები სტიქიასავით შეუჩერებელნი იყვნენ. დამთავრებამდე 46 წამით ადრე პირსმა ორი საჯარიმო ჩააგდო და „ბოსტონი“ პირველად დააწინაურა 92:90, შემდეგ კიდევ ორი ჩააგდო...

„ეს იყო საოცრება, პოლმა ჯოჯოხეთიდან შეაღო ედემის კარი“ — თქვა „ბოსტონის“ მწვრთნელმა ჯიმ ობრეინმა, როდესაც საერთო თავდავიწყების შემდეგ ჩვეული სიდინჯე ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდა.

სამაგიეროდ, ეს მატჩი ჯოჯოხეთად იქცა ნიუჯერსელთათვის. ჯერსის ყოჩაღ ლიდერს ჯეისონ კიდს ნამატჩევს დანა პირს არ უხსნიდა. ადვილი გასაგებია, ცხოვრებაში პირველი ფინალისკენ გაქანებულს ქამარში ხელი ჩაავლეს და უკან გამოათრიეს, რა გამარჯვება ამოაცალეს ჯიბიდან. ესლა ჩაიღუღლუღა კიდმა, ჯერ მხოლოდ 1:2 ვაგებთ და სერია არ დასრულებულაო. იმედი ნუ მოუშალოს ჯეისონს და მის დამქაშებს.

## ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

## ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 2:2 ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ

— 24 მაისი. ლოს ანჯელესი —

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 90:103 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ**

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ:** ფიშერი (4), ბრაიანტი (22), ფოქსი (4), ჰორი (8), ონილი (20 ქულა, 19 მოხსნა); ჰანტერი (14), შოუ (10), ჯორჯი (7), უოლკერი (1), მადსენი, მედვედენკო

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ:** ბიბი (24), კრისტი (17 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), თურქოღლუ (14), უებერი (26 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (11 ქულა, 9 მოხსნა); ჯექსონი (11), პოლარდი

„კარგა ხანია, ასეთი რამ არ განმიცდია. თითქოს წესად იქცა, ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას შინა და გარე თამაშებში, დღეს კი მეტოქემ ჩვენსავე სახლში დაბნეული სტუმრებივით თავისი თითის ირგვლივ გვატარა“ — ამბობდა 24 მაისს შინ ძლეული „ლეიკერსის“ მწვრთნელი, კარგა მაგრად შეფიქრიანებული ფილ ჯექსონი.

„ძენ მასტერს“ სწორედ რომ ჰქონდა დაფიქრების მიზეზი. რაც „ლეიკერსს“ მოძღვრავს, მისი შეგირდები მეორედ ჩამორჩნენ სერიაში. პირველად შარშან იყო, როცა ფინალში „ფილადელფიას“ პირველი თამაში დაუთმეს. მაგრამ „ფილადელფიასთან“ ის მარცხი ერთადერთი იყო შარშანდელ პლეი ოფში, ახლა კი „ლეიკერსმა“ ზედიზედ მეორედ წააგო „საკრამენტოსთან“.

ამ მხრივ ჯექსონს არაფერი უთქვამს, მაგრამ მის გარშემო მოტრიალე ხალხმა კი დაიწუწუნა, კობი არ გვყავდეს ავად, მაშინ ნახავდით საკრამენტოელ „მეფეთა“ გათელილ გვირგვინსო, რაზეც „მეფეებმა“ უპასუხეს, ნუ გადაგვაყოლეთ კობის ერთი კვირის წინანდელ ფალარათს, ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, როცა პრედრაგ სტოიაკოვიჩი არ გვყავს და ვინძლო არც მერე შევვემატოსო.

სტოიაკოვიჩი დიდი ძალაა „საკრამენტოსთვის“, თუმც „მეფეები“ უმისოდაც არ უხრიან ქედს ბოლო ორი სეზონის „მეფე“ „ლეიკერსს“ და ზედიზედ მეორედ, ამჯერად მისსავე ბრძოლის ველზე ძლევით 1:2 ჩამოარჩინეს სერიაში.

„ლეიკერსი“ საერთოდ ძვირად აგებს პლეი ოფში, მაგრამ 24 მაისს მაგრად დაბჭავდა. „საკრამენტომ“ უკვე პირველ მეოთხედში 17 ქულით ჩამოარჩინა ლოსანჯელესელები, ხოლო მეორე ტაიმის შუაწელს ერთხანს 28 ქულითაც გაექცა. ჩემპიონებს ვერც კობი ბრაიანტის ნაგვიანევმა თავგამოდებამ უშველა. კობიმ ფალარათისა თუ რის გამო პირველ ტაიმში ორად ორი ქულა თუ შეაწია თავისიანებს. მართალია, ბოლო მეოთხედში აიწყვიტა და 16 ქულა უთავაზა „მეფეს“, ხოლო მისმა „ლეიკერსმა“ 53 წამში 14 ქულის გაჩარხვა შეძლო, მაგრამ ისე გამოვიდა, ჩემპიონებმა ტყუილად დაღვარეს ოფლი. „საკრამენტო“ ფხიზლობდა და 10 ქულაზე ახლოს არ მიუშვა გავეშებული მეტოქე.

ეს კია, მნიშვნელოვანი მატჩის მოგების მიუხედავად, საკრამენტოელებმა დიდი ზეიმი როდი გამართეს. მათ ლიდერ კრის უებერს დინჯად უთქვამს, ლოს ანჯელესში ორი თამაშის მოსაგებად ჩამოვედით და მაშინ მოვილხენთ, როცა მეორესაც ასე დავასრულებთო. თან მუქარაც მიუყოლებია, „ლეიკერსს“ ამას და ამას ვუზამთო.

ახლოს იყო „საკრამენტო“ მუქარის შესრულებასთან და ზეიმთან, მაგრამ...

— 26 მაისი. ლოს ანჯელესი —

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 100:99 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ**

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ:** ფიშერი (9), ბრაიანტი (25), ფოქსი (4), ჰორი (18 ქულა, 14 მოხსნა), ონილი (27 ქულა, 18 მოხსნა); ჯორჯი (9), ჰანტერი (5), უოლკერი (3), შოუ

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ:** ბიბი (21), კრისტი (8), თურქოღლუ (18 ქულა, 12 მოხსნა), უებერი (20), დივაცი (23); ჯექსონი (9), პოლარდი, ფანდერბურკი

ამ ორიოდ თვის წინ რეგულარულ სეზონში „ლეიკერსს“ ჩავარდნა ჰქონდა და ბლომადაც აგროვა მარცხები. მაშინ შაკილ ონილს უთქვამს, ეს დროებითია, ჩვენ ზედიზედ სამჯერ არასდროს ვაგებთო.

ასეა, როცა კი ამის საჭიროებაა, ლოსანჯელესელები აზერხებენ მობილიზებას და იმარჯვებენ. ცუდი ფორმათამაშიან „ლეიკერსს“ გუშინწინ ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება. „საკრამენტოსთან“ ზედიზედ მესამედაც რომ წაეგო, დიდი შანსი იყო, ზედიზედ მესამე ჩემპიონობა გამოსცლოდა ბრჭყალებიდან, რაც, ცხადია, ფრიად შეურაცხყოფდა ფილ ჯექსონის უძლეველი რაზმის თავმოყვარეობას.

„ლეიკერსს“ უნდა წაეგო თუნდაც იმიტომ, რომ ორი დღის წინ ზუსტად ანალოგიური სცენარით წარმართულ შეხვედრაში დამარცხდა, მაგრამ ამჯერად დაიძვრინა თავი. ისიც სათქმელია „საკრამენტომ“ თავად წაახმარა ხელი მტერს, სახრჩობელიდან ჩამოსულიყო, სამაგიეროდ, თვითონ გაყო თავი ყულფში, რამეთუ ასეთია ცხოვრება და ნბა-ს პლეი ოფი, ვიღაც უნდა მოკვდეს, ვიღაც უნდა...

„საკრამენტომ“ გაიმეორა ორი დღის წინანდელი დასაწყისი და პირველ მეოთხედში საშინლად დააქცია მასპინძლები. 40:20 მოგებული საწყისი თორმეტწუთეული თითქოს საბოლოო გამარჯვების საწინდარი იყო. იქნებ ასეც ჩათვალეს უძლეველი მეტოქის ასე დამბეჩავებლებმა, თავი დაიარხეინეს და დაისაჯნენ. „ლეიკერსი“ მონდომებით, თითო-ოროლა ქულით ეპარებოდა აგრესიაგანელებულ მეტოქეს და საბოლოოდ გაეპარა კიდეც.

„საკრამენტოს“ დაცვას გამოეპარა რობერტ ჰორი. სტუმრები შაკზე და ბრაიანტზე ფიქრობდნენ და თამაშობდნენ და ეს არც მაღალი და არც დაბალი მრავალნაცადი ვეტერანი ვერ შეამჩნიეს. ჰორიმ 11 ქულა ჩააგდო ბოლო მეოთხედში, რომელიც „ლეიკერსმა“ 21:19 მოიგო. მანვე ზედ მატჩის ბოლო წამზე და 97:99 ანგარიშზე ჩააგდო სამქულიანი, რაზეც ადგილობრივმა კომენტატორმა გაცვეთილი ფრაზა მოიშველა და თქვა, ჰორიმ „მეფის“ „კუბოს“ ბოლო ლურსმანი ჩააჭედაო.

„ჰორის საშინლად გაუმართლა. მან თითქმის დაუმიზნებლად და უმისამართოდ ისროლა ეს ბურთი — თქვა ნამატჩევს საკრამენტოელმა ვლადე დივაცმა — ფაქტობრივი გამარჯვებულები ჩვენ ვართ“. ნურას უკაცრავად, გამარჯვებული „ლეიკერსია“, ხოლო სერიაში ანგარიში თანაბარია და, ალბათ უფრო „საკრამენტოს“ სავალალოდ, ყველაფერი თავიდან იწყება.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

შაკილ ონილს ორი მეურვეც ვერ აკავებს



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ბობი ჯექსონმა და ჰიდაიეთ თურქოღლუმ კობი ბრაიანტი ბეჭებზე გაიყვრეს

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲪᲮᲘᲚᲘ**

# კანასი თუ ვილასია, ყველა არხენტინა-სია



არგენტინელთა ნაკრები: ხოსე აკასუსო, გილერმო კანასი, ლუკას არნოლდი, მწვრთნელი ერნან გუმი და გასტონ ეტლისი

**მსოფლიოს გუნდური თასი**
დიუსელდორფი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო 2,1 მილიონი $

**ფინალი. 26 მაისი**

**არგენტინა — რუსეთი 3:0**

**ხოსე აკასუსო** — მარატ საფინი 2:6, 6:3, 3:0 (საფინმა შეწყვიტა); **გილერმო კანასი** — ევგენი კაფელნიკოვი 6:4, 6:2; **გასტონ ეტლისი, ლუკას არნოლდი** — ევგენი კაფელნიკოვი, ანდრეი ჩერკასოვი 6:4, 6:1

მსოფლიოს გუნდური თასი არგენტინელებს უკანასკნელად 22 წლის წინ მოეგოთ. მაშინ მათ სანაკრებო ღირსებას გილერმო ვილასი და ხოსე-ლუის კლერკი იცავდნენ, დღეს კი კი იქაური საჩოგნეთო ისეთი ჩაუქი გაურჩოების იმედზეა, როგორებიც გილერმო კანასი თუ ხოსე აკასუსო არიან. ამ ბიჭებმა წლეულს არგენტინელთა დევისნაკრების ნახევარფინალამდე გაჭრაშიც დიდი წვლილი შეიტანეს და საგუნდურთასო ფინალში ევგენი კაფელნიკოვისა და მარატ საფინისდარ ბობოლა დათვთა შემუსვრასაც არ დაერიდნენ.

არადაარგენტინა, რომელიც სექტემბერში გასამართ სადევისო ნახევარფინალში სწორედ რუსეთს უნდა ესტუმროს, თასის გათამაშებაში მხოლოდ ხორვატიის ველარმონაწილეობის გამო მოხვდა. სამხრეთ სლავებს, ეგებ ვინმეს მიავიწყდა, ამ ტურნირის კარი გორან ივანიშევიჩის ტრავმიანობის გამო მიეკეტათ...

მოკლედ — აკასუსომ საფინს აჯობა, კანასმა კი კაფელნიკოვს, ოღონდ, თუკი ქენიას პრობლემა მხოლოდ მოახლოებულ პენსიაზე ფიქრებია, მარატს თამაშის მსვლელობისას ზურგის კუნთები დაეჭიმა და თამაშიც ამიტომ დროზე ადრე შეწყვიტა.

19 წლის მეტოქეს პირველი სეტი საფინმა იოლად წაჰგვარა, მაგრამ მეორეში ალელდა და, როცა აკასუსომ გეიმი გაუტეხა, ჩოგანი კორტზე დაახეთქა. ამას მსაჯთან განუწყვეტელი პაექრობა და მისგან ქომაგთა ალაგმვის მოთხოვნა მიაყოლა. თავისი მზარდი გახელება კი მერე იმით ახსნა, რომ მავანი არგენტინელი მაყურებლები მას განგებ აღიზიანებდნენ, რათა წონასწორობიდან გამოეყვანათ.

„ეს ჩოგბურთია და არა ფეხბურთი — ეგრე ამბობდა — და მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩოგბურთი იაფი სპორტი არაა და, რომ აქ მოთამაშის მიმართ მეტი პატივისცემა უნდა სუფევდეს. თუკი ვინმე შეურაცხგყოფს, არ მგონია, თავის დახრა და გაჩუმება საუკეთესო პასუხი იყოს." და კიდევ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ესპანურიც კარგად ვიციო.

ასეა თუ ისე, სეტმა აქეთ-იქით იყანყალა და ბოლოს მაინც არგენტინელს დანებდა. მესამეში კი რუსმა კორტზე მზელავს გამოუხმო და რაკი დარწმუნდა, რომ გაგრძელების ზურგი აღარ ჰქონდა, ჩოგანი დაამშალითა.

ხოლო მერე კანასისა და კაფელნიკოვის 73-წუთიანი მატჩი იყო, რომელშიც არგენტინელმა რუსს ერთი გეიმი პირველ სეტში გაუტეხა, ორი გეიმიც მეორეში და თასის ბედიც ცომცით გაარკვია.

კაფელნიკოვი, ვინაც მიმდინარე როლან გაროსზე რანგით მე-5 ჩოგანს აქნევს, წლევანდელ სათიხნარე სეზონს უსაშინლესად წარმართავს და დიუსელდორფში წააგო ყველასთან, ვისთანაც კი დაპირისპირდა — ბრიტანელი ტიმ ჰენმანი იქნებოდა ეს, გერმანელი ტომი ჰაასი თუ ესპანელი ალბერტ კოსტა.

28 წლის რუსი ჩოგბურთიდან წასვლას სეზონის დამლევს აპირებს, თუმცა მანამდე რუსთათვის დევისის მოგებინება ეოცნებება.

აპრუწუწუნო!! — ეგრე უთქვამს კაფელნიკოვის ამ იმედებზე კანასს — მართალია, ჭერქვეშ მათი ძლევა გაჭირდება, მაგრამ როგორც აქ მოვუგეთ, იმედი მაქვს, ამას დავმართებთო.

ისე კი — არგენტინას გაუმარჯოს და საერთოდაც დამსახურებულად მოვიგეთო!

ადიოს.

**ATP ტურნირი**
ზანქტ პოლტენი (ავსტრია). თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**ფინალი. 26 მაისი**
**ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:5, 6:4**

კარიერის მეხუთე ტიტულისა და გამარჯვებულისთვის ალთქმული 48 850 დოლარის მოსაპოვებლად ნატიფ ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის პირველ სეტში 2:5-დან თავის დაღწევა და მანამდე მოძალადე მეტოქისთვის ჩოგანთან ერთად ბურთების შებრუნებაც მოუხდა.

„ბურთების შებრუნებაზე" იაფფასიანი ხატოვნების გამო არ გვითქვამს — ლაპენტის ნამატჩევი სიტყვების მიხედვით, 2:5-მდე, ანუ სანამ მეტოქენი „გაფუყულ ტყვიებს" გაცვლიდნენ, ესპანელი უფრო მსუბუქი და სწრაფი ბურთებით თამაშობდა. ამიტომაც იყო, მის დარტყმას ჩოგანს რომ ვერ ვაგებებდიო, ამბობდა მერე.

სხვაფრივ — 25 წლის ეკვადორელს ავსტრია ამ ბოლო დროს კეთილად დაებედა, თავისი ორი უკანასკნელი ტიტული მან ხომ სწორედ იქ მიითვალა. ზანკპოლტენურ ალაფამდე ვისენტეს შარშანდელი კიცბიუელერული ნადავლიც ემაყებოდა.

ავსტრიიდან ფრანგულ სეფეკორტებზე მაინცდამაინც უკმაყოფილოს არც მის მიერ ამჯერად ძლეულ მეტოქეს უნდა გადაენაცვლა — ფინალისკენ მიმავალ გზაზე ვისენტემ ისეთ სახელოვან თვისტომებს უყელა, როგორებიც ალბერტ პორტასი (3) და ალბერტ მონტანესი (6) გახლავან.

**მადრიდის ღია პირველობა. თიხნარი**
საპრიზო 170 ათასი $

**ერთეულთა ფინალი. 25 მაისი**
**მონიკა სელეში (1, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:2**

სათიხნარე ტიტული სამგზის მეროლანგაროსე მონიკა სელეშს 2000 წლის ღია პირველობის შემდეგ აღარ მოეგო. ჰოდა, ამ წარმატებამ იგი მით უფრო შეაგულიანა, რომ ამის გაკეთება ზედ წლევანდელი როლან გაროსის წინ გამოუვიდა.

„დიდი სლემის რაგინდარა სარბიელზე ორი დღით ადრე მოგებული ტურნირიდან ჩასვლას მართლაც არაფერი სჯობს — უთქვამს მას ნაფინალევს — ჩემი აქაური გარჯით კმაყოფილი ვარ, დღიდან დღემდე უკეთესად ვთამაშობდი და, ალბათ სრული საფუძველი მაქვს, პარიზში იმედიანად მივფრინავდე".

შავთვისტომ ჩანდა რუბინის მეოთხე პირად შეხვედრაში მეოთხეჯერვე ძლევამ 28 წლის სელეშს კარიერის 53-ე საერთეულო ტიტული და ჩაროზად 27 ათასი დოლარი მოუტანა.

ფინალამდე რუბინს ერთი სეტიც არ დაეთმო და მეორე წრიდან მეორე ნომრად განთესილი არანჩა სანჩეს-ვიკარიოც ეოტა, მაგრამ კარიერის მეოთხე, ხოლო 2000 წელს კვებეკქალაქური ხეირიდან პირველი ტიტულის დაურვება მონიკას მძლავრმა ხათქუნმა არ დაანება.

ამ შავტუხა გოგოს მთელი შარშანდელი სეზონი ავსტრალიის ღია პირველობაზე დაფლეთილმა მუხლმა და ტერფმა წაუმურდლა. ამიტომ მისი ეს საფინალო ვოიაჟი დასტურ საამო ამბავია.

**წყვილთა ფინალი. 25 მაისი**
**მარტინა ნავრატილოვა (აშშ), ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — როსანა ნეგრა-დე ლოს რიოსი (პარაგვაი), არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:2, 6:3**

განთქმული ლესბოსელი და ლეგენდარული მეჩოგნე მარტინა ნავრატილოვა 45 წლისა კი მოყრილა, მაგრამ ვერც ლესბოსელობას გადასჩვევია და ვერც თუ ჩოგნის კაცურ კაცურად ქნევას.

უკანასკნელი ჩვევის ხიმტკიცე მან მადრიდულ ღია პირველობაზეც ცხადყო, სადაც ყველაზე ხანდაზმული ბანოვანი შეიქნა, ვისაც კი ოდესმე WTA ტურის ტიტული მოუხვეჭავს.

6-წლიანი თვითმოკვეთის შემდეგ წყვილთა ტურს 2000 წელს მობრუნებულმა მარტინამ თვისტომისავე, ბილი ჯინ კინგის რეკორდი დაამხო. ბილი ჯინი 39 წლისა გახლდათ, როცა 1983 წელს ბირმინგემის ტურნირზე გაიპარპაშა.

ამ გამარჯვებამ ერთეულებში ცხრაგზის მეუიმბლდონე მდედრის ასევე სარეკორდო საწყვილო მონაგარი 166-მდე გაზარდა. ყველა დროის ტიტულიან მეწყვილეთა სიაში მეორე ადგილზე მყოფ რომზმარი კასალსს იგი ახლა 54 (!) ტიტულით წარემატება.

ჩეხური წარმომავლობის ამ ცაცია ჩემპიონს ყველაზე მეტჯერ მოუგია ერთეულთა შორისაც. მის მიერ მოგებული 167 საერთეულო ტურნირიდან 18 დიდი სლემისა იყო.

ფინალში ნავრატილოვას შარშან ამელია აილენდში დამარცხების მერე აღარ ეთამაშა, რაგინდარა სატურო ტიტული შორეული 1994 წლიდან არ ღირსებოდა. მაშინ მან პარიზის ჭერქვეშა საერთეულო და ციურიხის საწყვილო კორტები მოაოხრა.

**სტრასბურის ღია პირველობა. თიხნარი**
საპრიზო 170 ათასი $

**ფინალი. 25 მაისი**
**სილვია ფარინა ელია (2, იტალია) — ელენა დოკიჩი (1, იუგოსლავია) 6:4, 3:6, 6:3**

ტურნირზე პირველ-მეორედ განთესილთა წვიმიან-წყვეტილობიანი შეხლა შარშანდელი ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. იტალიელმა, ვინაც წლეულს თავის პირველ ფინალში თამაშობდა, მომგებისთვის განსაზღვრული 27 ათასი დოლარი ჩაიჯიბა. მომხიბლავ იუგგოგოს კი, ამ სეზონში ფინალურად სარასოტაშიც რომ გაელაღა და იქ ტიტულიც რგებოდა, აქ მისი ქომაგების მრუში მზერა და მხურვალე ჰაეროვანი კოცნა ერგო.

შარშანდელი ფინალი, ეგებს ვინმეს ეგეც გაინტერესებთ, ფარინა ელიამ გერმანელ ანკე ჰუბერს მოუგო.

**ლევან ძელაურაძე**



მარტინა ნავრატილოვა ძალას ბანანით აღიდგენს

# პარიზში წვიმს

## იოჰანსონს ძველი ქართული ანდაზა დაავიწყებია

**საფრანგეთის ღია პირველობა**
პარიზი. თიხნარი

**საპრიზო 12 234 850 ევრო**

ვაჟები

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ანდრე სა (ბრაზილია) 7:5, 6:4, 7:5; **გუსტავო კუერტენი** (7, ბრაზილია) — იგო ზოიბერგერი (შვეიცარია) 7:5, 6:2, 6:2; **ტომას იოჰანსონი** (9, შვედეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:2, 7:6 (8:6), 6:2; **იუნეს ელ აინაუი** (16, მაროკო) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 3:6, 6:3, 6:4, 3:6, 6:4; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:1, 6:4, 6:1; **სიენგ შალკენი** (30, ჰოლანდია) — ივან მირანდა (პერუ) 7:6 (7:2), 6:0, 6:1; **მიხელ კრატოხვილი** (შვეიცარია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:0, 6:7 (6:8), 6:3, 6:3; **ანდრეი სტოლიაროვი** (რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 1:6, 6:4, 6:4, 7:5; **ალექს კალატრავა** (ესპანეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:0, 6:4; **ტოდ მარტინი** (აშშ) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:2, 7:5, 3:6, 4:6, 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:0, 6:1, 6:4

ქალები

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:3, 6:3; **ამელი მორესმო** (10, საფრანგეთი) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:3; **ელენა დემენტიევა** (13, რუსეთი) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 7:5, 6:3; **ივა მაიოლი** (29, ხორვატია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:4, 6:3; **რიტა გრანდე** (31, იტალია) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:4, 6:4; **ბარბარა შეტი** (16, ავსტრია) — მარლენ ვაინგარტნერი 6:2, 2:6, 6:0

როლან გაროსის მეორე წრისკენ დაძრულ განთესილ ბობოლათა პროცესიას ტურნირის პირველ, ორგზისი თავსხმით შეჯერებულ დღეს კაცთაგან ლეიტონ ჰიუიტი (1) გაუძღვა, ქალთაგან კი ვინუს უილიამსი (2).

სუზან ლანგლანის კორტზე ბრაზილიელი ანდრე სას წინაალმდეგ მოჩოგნავე ავსტრალიელმა ქომაგი სოლიდური, დამაჯერებელი თამაშით დაატკბო, ხოლო ვინუსმა გერმანელი ბიანკა ლამადეს ძლევას ოდენ 65 წუთი მოანდომა.

ჩვეული, დახვეწილი სტილით დაიწყო ტიტულის დაცვა შარშანდელმა ჩემპიონმა გუსტავო კუერტენმა, რომელმაც ამათ და კიდევ შარშან ფინალში მის მიერვე ძლეული ალექს კორეჩას დარად, თავისი წილი საპირველწრეო კედელი ასევე სეტისწაუგებლად გაიარა.

ოღონდ სეფესიტყვა მაინც ჰიუიტზე ვთქვათ. ოზის მაგრად გაუმართლა და შეხვედრას ჭიპი პირველ წვიმამდე მოუკრა. პირველი წვიმა კი მართლაც ბარაქიანი იყო და როლან გაროსის 16-სავე კორტზე შეხვედრები 45 წუთით შეწყდა.

ქარიანმა და ყომრალმა ამინდმა მეჩოგნეებს ლაღი ბურთაობა დაუშალა და ბობოლებს მეტოქეთა ჯიქური წინაალმდეგობის გარდა ამინდის კაპრიზებთან ჭიდილიც მოუხდათ. ერთ მომენტში ვიწვოდი, მეორეში კი ჰაერი ისე მძიმდებოდა, სუნთქვა მიჭირდაო, აი, ასე იძახდა ნამატჩევს ჰიუიტი. თუმცა ადრეც ვთქვით და გავიმეორებთ — დიდხანს გამთამაშებელ ბრაზილიელთან ჯიშად მემაგარსაფრე ჰიუიტი დასტურ სანაქებოდ გაირჯა!

ახლა იგი უსახელო რუს ანდრეი სტოლიაროვს შეხვდება, რომელმაც გამოცდილი შვედი იონას ბიორკმანი აოტა.

ჰიუიტისგან განსხვავებით კუერტენს წვიმამ კი მოუსწრო, მაგრამ 45-წუთიანმა ყურყუტმა სამგზის მეროლანგაროსეს ნატიფ და ხათქუნა თამაშს ვერაფერი დააკლო. თებერვალში ნაოპერაციევი და კორტს ეს-ესაა მობრუნებული გუგაბიჭი თავს წლევანდელი ტურნირის მთავარმოშანსედ კი არ მიიჩნევს, მაგრამ მომავალ მატჩში დავიდე სანგვინეტისთან მაინც არ უნდა გაუჭირდეს.

გუგას შეუძლია პირველი კაცი გახდეს ბიორნ ბორგის შემდეგ, ვისაც როლან გაროსის აკლება ზედიზედ სამი წლის განმავლობაში გამოუვა. დიადმა ბორგმა ამგვარი წარმატებული სერია 1978, 1979 და 1980 წლებში ჩაითამაშა.

კაცთა სხვა შეხვედრებიდან გამორჩეული ყურადღება მიიპყრო მაროკოელი იუნეს ელ აინაუისა და ამერიკელი ჟან-მაიკლ გემბილის 5-სეტიანმა მარათონმა, რომელიც წლეულს თავისი საუკეთესო სეზონის შემქმნელი მაღრიბელის მოგებით დასრულდა.

სეტისწაუგებლად იმარჯვა წლევანდელმა მეავსტრალიე ტომას იოჰანსონმა, რომლისთვისაც თიხა ასევე არასახარბიელო ნიადაგია. ამ მომენტისთვის თავს ძალიან, ძალიან ყინჩად ვგრძნობო, ამბობდა მერე. ასეთივე გრძნობა მქონდა მელბურნშიც, რადგანაც ვიცოდი, რომ კარგად ვიყავი მომზადებული და ლონეც მაგრად მერჩოდაო. მოკლედ — და ამ სიტყვებისას იოჰანსონს უკვე გასცინებია — ყველაფერი იქით მიდის, რომ ამ სლემტიტულსაც მე გეახლებითო.

ერთი სიტყვით, იოჰანსონს დაავიწყდა ძველი ქართული ანდაზა...

და რა მოხდა ქალებში?

ვინუსმა — აკი მოგახსენეთ — გერმანელ ლამადეს სძლია და იმ მაჯის ტრავმისა, რამაც ორი კვირის წინ იტალიის ღია პირველობა გამოატოვებინა, მაინცდამაინც არაფერი დაუტყვია. ერთი ეგ იყო, 19 წლის მეტოქის წინაალმდეგ, ვინაც სეზონში მხოლოდ მესამე შეხვედრას მართავდა, 13 მომგებიანი ბურთისა და 5 ეისის წილ 41 უნებლიე შეცდომა და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ჰო, ეს კარგი გამოცდა იყოო, მერე იძახდა. მაგრამ ეგ იმიტომ, რომ მციოდა, ხოლო როცა გავთბი, ყველაფერი ალჩუზე დაჯდაო. „ისე კი, თიხაზე თამაში მაგარი რამეა და, თუმცა ხანდახან პრობლემები გექმნება, მაგრამ ჯამში მაინც ოკეია".

შარშანდელ როლან გაროსზე პირველი წრიდანვე გავარდნის გამო ფრანგ ამელი მორესმოს (10) ძლიერი ბოლმა ჰქონდა და ამიტომ იყო, თვისტომ კამილ პენს ეგრე უმოწყალოდ რომ უბრაზუნა.

ამის მერე პარიზს მყავე ღრუბლების მეორე პარტიამ გადაუარა და ახალმა თავსხმამ დიდი ჩოგბურთი მთელი საათნახევრით წამურდლა.

მოგვიანებით ცამ პირი შეკრა და ნაწვიმარზე პირველი სენსაციაც აღმოცენდა. პიტ სამპრასმა 6:3, 4:6, 2:6, 6:7 წააგო იტალიელ ანდრეა გაუდენცისთან. ისე, ეს არცაა ჭეშმარიტი სენსაცია. პისტოლ პიტი ყოველთვის მოიკოჭლებდა თიხისსაფარიან „როლან გაროსზე" და ამის გამოა, რომ ეს სუპერტიტული ვერ მოუგია, ვერც დიდი სლემი შეუსრულებია და ალბათ ვერც შეასრულებს.

**ლევან ძელაურაძე**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი

# მაკლარენი მონაკოში გამოაცოცხლა

## მიხაელის და მიკას განსხვავებული ას-ასი

**ორ მორიგ** რბოლას შორის ორკვირიან შუალედში უმთავრესი მსჯელობის საგანი ფერარელთა ავსტრიული ეტაპის სამარცხვინო ფინალი იყო. შეგახსენებთ, A1-რინგზე ასპარეზობის მიწურულს პირველ ადგილზე მყოფმა რუბენს ბარიკელომ გუნდის ხელმძღვანელობისგან მიღებული ბრძანების თანახმად, თანასკუდერიელი მიხაელ შუმახერი წინ გაუშვა, ანუ საათნახევრიანი წვალებით მოპოვებული გამარჯვება დაუთმო.

ასეთი საქვეყნოდ თავმოსაჭრელი ჩაწყობა პრაქტიკულად ყველამ, მეტოქე პილოტებმაც და იტალიური საჯინიბოს რიგითმა გულშემატკივრებმაც ერთხმად დაგმეს. მონტე კარლოში ფერარელებს თავიანთი ფანებიც კი სტვენით შეხვდნენ, ამასთან ბევრ მათგანს საგანგებოდ ამ მიზნით დამზადებული საპროტესტოწარწერიანი მაისურაც ჩაეცვა.

ამგვარ უმწვავეს და მეტად მტკივნეულ რეაქციას „ფერარის" ბოსებიც და მრბოლელებიც, ცხადია, არ ელოდნენ. მართალია, „სკუდერიის" ხელმძღვანელობა იმდღევანდელ თავის პოზიციას ახლაც კბილებით იცავს და აცხადებს, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ამას სხვებიც აკეთებენ და თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, მომდევნო რბოლებშიც იგივეს ვიზამთ, პილოტ-გუნდური ჩემპიონობა რომ მოვიპოვოთო, მაინც იძულებულია, აღიაროს, მთლად კორექტულად ვერ მოიქცნენ.

მონტე კარლოში გუშინწინდელი რბოლისას მიცემ-მოცემის საჭიროება არ შექმნილა და ასპარეზობამაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით ლიდერთა უშელავათო საპირველადგილო ჭიდილმა.

ევროპის ამ ჯუჯა სამთავროს გზებზე ავტოებით პირველად შორეულ 1929 წელს გაიჭრილეს. მას აქეთ აღმართ-დაღმართიანი და მიხვეულ-მოხვეული ტრასის პროფილი არ შეცვლილა — მრბოლელებს დღესაც იმავე უვიწროეს, ორლობის სიგანის ქუჩებში უხდებათ ჯირითი. ეს არის ყველაზე რთული, ყველაზე დაბალსიჩქარიანი საფორმულო ეტაპი, უნიკალური გვირაბით და უამრავი მკვეთრი მოსახვევით. აკი ბევრი მძღოლი ჩივის, ამ საწვალებელში მთელი ტრასა ლამის ერთიანი მოსახვევიაო.

და მაინც, მონტე კარლოს ვიწროებში გაჯირითება ყველას ახალისებს. მართალია, უმცირესი შეცდომაც კი რკინის რელსებზე მტკივნეულად მინარცხების ტოლფასია, მაგრამ მაინც „მონაკოს დიდი პრიზი" ყველას გამორჩეულად უყვარს, რადგან თითქმის ორსაათიან ჯოჯოხეთში ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც ქულის შოვნა ისტორიულ ვაჟკაცობად ითვლება.

ამდენი ხარვეზის მიუხედავად, სწორედ დაბალი სიჩქარეების, აგრეთვე სტანდარტულ საფორმულო დისტანციასთან შედარებით ორმოცი კილომეტრით სიმოკლის გამო ძრავებს და საბურავებს ნაკლები ჯაფა ადგებათ, საწვავის ხარჯიც ბევრად მცირეა, ამიტომ რბოლაში გუნდები თითო პიტსტოპით გადიან ფონს. თუმცა ჯერ შაბათის კვალიფიკაციაზე ვთქვათ.

ბობოლებმა ამჯერადაც ყველაზე გვიან გაიჯირითეს და სარეკორდო წამების ისეთი კორიანტელი დააყენეს, მათთან „იაგუარ-ბარები" და მისთანები რა სახსენებელია. საპოულე საათის მიწურულს ვითარება დაიძაბა — მანამდე ლიდერ რალფ შუმახერის დროს დევიდ კულთარდმა არცთუ ცოტა ჩამოაჭრა და საქმესაც ისეთი პირი უჩანდა, რომ „მაკლარენის" შოტლანდიელი წლეულსაც მოიგებდა კვალიფიკაციას, მაგრამ ხუან პაბლო მონტოიამ ბოლო წამებზე ფანტასტიკური შედეგი დააფიქსირა — 1 წთ; 16,676 წამი, რაც კულთარდის შარშანდელ მიღწევას თითქმის წამით სჯობს. „ფერარის" კი წლეულს ყველაზე უხეირო კვალიფიკაცია გამოუვიდა — სტარტზე მიხაელი მონტოიას და კულთარდის შემდეგ იდგა, რუბენს ბარიკელო უფრო უკან, მეხუთე პოზიციაზე.

რბოლის დასაწყისი მონტე კარლოსთვის უჩვეულოდ მშვიდობიანი, უწყინარი გამოვიდა — ერთი შეჯახებაც არ მომხდარა და პირველი ურთულესი მოსახვევი ყველამ უპრობლემოდ დაძლია. კულთარდი სასტარტო ნიშნისთანავე უსწრაფესად დაიძრა და ოდნავ შეყოვნებულ მონტოიას იოლად აუარა გვერდი. შეფერხდა ბარიკელოც — ბრაზილიელს აქეთ-იქიდან გვერდში ამომდგარმა იარნო ტრულიმ და კიმი რაიკონენმა გაასწრეს.

ქარავანს სათავეში კულთარდი ჩაუდგა, უკან მონტოია, მიხაელი, რალფი, ტრული, რაიკონენი და ბარიკელო მიჰყვებოდნენ. ამ შემდეგულში ნახევარ გზაზე ერთი ცვლილებაც არ მომხდარა.

ლიდერს სამეული მიწებებულივით კი მიჰყვებოდა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან გასწრების მცდელობა რომც ყოფილიყო, მდევართა აქტიურობა რკინის ღობეებთან დასრულდებოდა. შუა დისტანციაზე კვარტეტში სიმჭიდროვე დარჩა, დანარჩენებთან სხვაობამ კი უკვე ნახევარ წუთს მიაღწია.

სწორედ მაშინ, ბოქსებაში შევლის მერე აირია მონასტერი. პირველი მერცხალი მიხაელი იყო, მალე მას ძმა მიჰყვა, ყველაზე გვიან კი — კულთარდი. ამასობაში მონტოიას ბოლიდმა ბოლი გაუშვა და გზის პირას უსიცოცხლოდ გაჩერდა, ბარიკელოს „ფერარი" გვირაბიდან ისე დაფეთებული გამოვარდა, მოსახვევში ველარ მოზომა და უკნიდან ეძგერა რაიკონენის „მაკლარენს", რის გამოც სარემონტო შეიქნა. სისხლისფერისთვის ცხვირის შეცვლამ უმტკივნეულოდ ჩაიარა და რუბინიო რბოლას დაუბრუნდა, ფინელმა კი მაყურებლებში გადაინაცვლა.

მალე დამატებითი პიტსტოპი დასჭირდა რალფ შუმახერს — მისი „უილიამსის" უკანა საბურავი კინალამ ფენა-ფენა დაიშალა. თუმცა იმ დროს ქარავანი ისე იყო გაწელილი, შეფერხებას გერმანელისთვის არაფერი უვნია და მესამე საპოდიუმო პოზიცია უმტკივნეულოდ შეინარჩუნა.

გამარჯვებული კი მაკლარენელთა ტაქტიკურმა გამჭრიახობამ, იქნებ შემთხვევითობამაც გამოავლინა. კულთარდმა მაქსიმალურად იცადა და მხოლოდ 51-ე წრეზე ესტუმრა ბოქსებს. შოტლანდიელს ეს მანიპულაცია ორიოდე წრის მერე რომ განეხორციელებინა, იქნებ პირველობაც დაეთმო, რადგან ბოლო წუთებში მიხაელმა ისეთი სიჩქარე განავითარა, ზედიზედ სამი უსწრაფესი წრით მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა. მაგრამ „მაკლარენის" უზუსტესმა ტაქტიკამ ბრიტანულ-გერმანულ საჯინიბოს წლეულს პირველი გამარჯვება მოუტანა — დევიდი უმცირესი, ერთწამიანი უპირატესობით დაბრუნდა მიხაელზე წინ და რაკი მონტე კარლო გაუსწრებელთა კატეგორიაშია, იქაური დიდი პრიზის მფლობელიც მაშინ გაირკვა. შუმახერმა ვერაფრით შეძლო კონკურენტისთვის გვერდის ავლა და ფინიშზე გულიანადაც მიულოცა მეორე მონაკოური ტრიუმფი.

კულთარდისა და „მაკლარენისთვის" ეს მოგება დოპინგზე უფრო მაცოცხლებელია ზუსტად ერთწლიანი ხელმოცარვის შემდეგ. 31 წლის პილოტმა შესამჩნევად გაიუმჯობესა სატურნირო ვითარება და საპირველო ბრძოლის რა მოგახსენოთ, ვიცე-ჩემპიონობის მშვენიერი შანსი კი გაუჩნდა.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ეს რბოლა მეასე იყო მიხაელ შუმახერისთვის „ფერარის" შემადგენლობაში. შედეგი ურიგო სულაც არ გახლავთ, თანაც ოთხგზის ჩემპიონისთვის ეს ზედიზედ მეცხრე პოდიუმია. ასევე მონაკოში აღნიშნა მიკა სალომ თავისი მეასე საფორმულო გამოსვლა, თუმცა მეტად უხეიროდ — ბრძოლის ბოლომდე ექვსეულის სიახლოვეს კი იყო, მაგრამ ფინიშამდე ათიოდე წრით ადრე საჭე გაექცა და ლეგენდარულ კაზინოსთან მიამსხვრია თავისი „ტოიოტა".

**გია ახალაძე**



REUTERS მონტე კარლოდან

სენსაციური ფინიში: წინ დევიდ კულთარდის „მაკლარენი", უკან მიხაელ შუმახერის „ფერარი"

### რბოლის შედეგები

**მონაკოს დიდი პრიზი**
26 მაისი. მონტე კარლო
დისტანცია — 78 წრე — 262,860 კმ

| | |
|---|---|
| 1. კულთარდი (მაკლარენი) | 1:45.39,055 (149,280 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 1,050 |
| 3. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1.17,450 |
| 4. ტრული (რენო) | 1 წრით |
| 5. ფიზიკელა (ჯორდანი) | 1 წრით |
| 6. ფრენცენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 7. ბარიკელო (ფერარი) | 1 წრით |
| 8. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 2 წრით |
| 9. ირვაინი (იაგუარი) | 2 წრით |
| 10. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |
| 11. ვებერი (მინარდი) | 2 წრით |
| 12. ბერნოლდი (ეროუსი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| სალო (ტოიოტა) | გაიარა 69 წრე |
| მასა (ზაუბერი) | 63 |
| პანი (BAR) | 51 |
| ბატონი (რენო) | 51 |
| მონტოია (უილიამსი) | 46 |
| ვილნევი (BAR) | 44 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 40 |
| იონგი (მინარდი) | 29 |
| სატო (ჯორდანი) | 22 |
| მაკნიში (ტოიოტა) | 15 |

**საუკეთესო წრე**

ბარიკელო 1.18,023 (155,492 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ. ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | | | | | | | | | | | 60 |
| 2 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | | | | | | | | | | | 27 |
| 3 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | | | | | | | | | | | 27 |
| 4 კულთარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | | | | | | | | | | | 20 |
| 5 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | 6 | – | | | | | | | | | | | 12 |
| 6 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | | | | | | | | | | | 8 |
| 7 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | – | – | | | | | | | | | | | 5 |
| 8 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | – | – | | | | | | | | | | | 4 |
| 9 ფიზიკელა (ჯორდანი, იტალია) | – | – | – | – | – | 2 | 2 | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ირვაინი (იაგუარი, დ. ბრიტანეთი) | 3 | – | – | – | – | – | – | | | | | | | | | | | 3 |
| ტრული (რენო), მასა (ზაუბერი) — 3, ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი) — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | | | | | | | | | | | 72 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | | | | | | | | | | | 54 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | | | | | | | | | | | 24 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | | | | | | | | | | | 11 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | | | | | | | | | | | 8 |
| ჯორდანი — 4; იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

##  კრივი

# კანდელაკმა ბრიტანელი აბარბაცა

**ყველაზე** სახელიანმა ქართველმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა მორიგი სარეიტინგო ბრძოლა გამართა პროფესიულ რინგზე და კვლავ მოიგო.

ინგლისურ პორტსმუთში ქართველის მეტოქე ბრიტანელი მაკ ველისი იყო. საკრივო ბრძოლამ ადგილობრივებში ერთობ დიდი ინტერესი გამოიწვია და დარბაზიც შეივსო. თანამემამულეთა ქომაგობა ვერაფერი ზურგი აღმოჩნდა ველისისთვის, რომელიც მე-6 რაუნდამდე გაუძლიანდა ქართულ მუშტებს. მანამდე, მე-5 რაუნდის ბოლოს, ბრიტანელი სულაც ნოკაუტში იყო, მაგრამ რაუნდებსშორის შესვენებამ სულზე მოუსწრო. თუმცა იქიდან დაბრუნებული მაინც ბარბაცით განაგრძობდა ბრძოლას და რეფერიმ მის ცოდვილობას ბრძოლის შეწყვეტა ამჯობინა.


გიორგი კანდელაკი

კანდელაკისთვის ეს 22-ე სარეიტინგო და ამდენივე მოგებული ბრძოლა იყო პროფესიულ რინგზე.

**ბაჩო სვანიძე**

## სროლა

# ნინო სალუქვაძეს სამიზნეზე მილანი უზის


ნინო სალუქვაძე

ამ უქმეებზე ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქმა, ატლანტამ ტყვიის მსროლელთა დიდ პრიზს უმასპინძლა. შტატებში ყველა უძლიერესმა მსროლელმა მოიყარა თავი. ცხადია, იქ იყო ჩვენი ნინო სალუქვაძეც.

სალუქვაძემ მხოლოდ პნევმატური პისტოლეტით სროლაში მიიღო მონაწილეობა და მე-4 ადგილი დაიკავა. შანხაის მსოფლიოს თასის მოგების შემდეგ ჩვენებურისთვის ეს შედეგი დიდი ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ვარჯიშის მაგივრად სალუქვაძეს ატლანტაში გასამგზავრებელი ფულის შოვნაზე უწევდა დროის ხარჯვა, მოუმზადებელი სპორტსმენისთვის მეოთხე ადგილი ურიგო არ უნდა იყოს. თანაც სალუქვაძემ ათენის ოლიმპიადის მეორე ლიცენზია მაინც მოიპოვა.

ფინალამდე ქართველ მსროლელს ცოტა მიზანმა უმტყუნა და 383 ქულით დასკვნითი ეტაპი ბოლო ადგილიდან დაიწყო. ფინალურ ეტაპზე ნინომ მეორე შედეგი კი აჩვენა (100,3 ქულა), მაგრამ მანამდე აცილებულმა თავისი გააკეთა და იგი მეოთხეობას დაავჯერა.

ატლანტიდან ნინო სალუქვაძე მილანში გადაფრინდა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**

## ხელბურთი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ვაჟები

მესამე შესარჩევი ჯგუფი. თურქეთი

24 მაისი.

**საქართველო 31:35 (18:18) თურქეთი**

25 მაისი.

**საქართველო 12:42 (8:22) შვედეთი**

26 მაისი

**საქართველო 25:33 (14:15) ჩეხეთი**

**საბოლოო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 0 | 0 | 98:77 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 | 103:63 | 4 |
| თურქეთი | 1 | 0 | 2 | 81:100 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | 68:100 | 0 |

*ჩეხეთის ნაკრები გავიდა ფინალურ ტურნირში, რომელიც სექტემბერში პოლონეთში გაიმართება.*

## რაგბი

### მსოფლიო სერია. 24-25 მაისი, ლონდონი

# არც სინი და არც ფიალა

**შვიდკაცა** რაგბის მსოფლიო სერიის ლონდონური ტურნირი საქართველოს ნაკრებმა მე-13 ადგილზე დაასრულა და სარეიტინგო სიაში 2 ქულა მიითვალა.

ჩვენმა მორაგბეებმა ჯგუფში სამივე მატჩი წააგეს (ახალ ზელანდიასთან 7:40, ავსტრალიასთან 7:24, პორტუგალიასთან 7:10) და ბრძოლა 9-16 ადგილებისთვის განაგრძეს. ვერც ფიალის (მე-9 ადგილისთვის) მეოთხედფინალში იყოჩაღეს ქართველებმა: კლოდ სორელის შვიდეული კანადელებთან 22:26 დამარცხდა და სანუგეშო შეჯიბრში გადაინაცვლა. ჩვენებურთა მოუგებელი სერიაც აქ შეწყდა. ქართველებმა ნახევარფინალში ირლანდიელებს (12:7) მოუგეს და მერე ფინალში შოტლანდიელებს არ დაანებეს ჩასათვლელი ქულები — 20:14.

ამ ორი ქულით რეიტინგში საქართველოს ნაკრები ჯერჯერობით ოცეულს მიღმაა, თუმცა წინ კიდევ კარდიფის ტურნირია, რომელშიც ჩვენებიც ითამაშებენ. რეიტინგს კი ამ ტურნირის მომგები ახალი ზელანდია ლიდერობს.

„კივებმა“ ფინალში სამხრეთაფრიკელებს სძლიეს 54:14. სინი (მე-5 ადგილი) ავსტრალიელებმა, ხოლო ფიალა ფრანგებს დარჩათ.

**ბაჩო სვანიძე**

**ლონდონური ათეული რეიტინგქულებით**

| | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 158 |
| 2. სამხრეთ აფრიკა | 112 |
| 3. ინგლისი | 98 |
| 4. უელსი | 40 |
| 5. ავსტრალია | 82 |
| 6. სამოა | 80 |
| 7. არგენტინა | 80 |
| 8. ფიჯი | 106 |
| 9. საფრანგეთი | 12 |
| 10. კანადა | 8 |

## ველორბოლა

### ჯირო 2002


REUTERS
ხულიო პერეს კუაპიო

# ნამდვილთა ჯირო

**ამ ჩვენს** აქარს — ჟურნალისტებს ვგულისხმობ — სალაპარაკო მიეცი და.. პოლიტიკოსზე წერენ — პროგრამაზე უფრო მისი საყვარლები აინტერესებთ, შახიობთან დაკავშირებით ქვედა და ზედა საცვლებია მათი დაინტერესების საგანი.

ვირუსი გადამდებია და სულაც არ არის გასაკვირი, რომ სპორტზეც გავრცელდა. მოდაშია შარდი! უფრო კონკრეტულად, შარდი ჯიროში მონაწილე ასზე მეტი სპორტსმენისა. ალარავის აინტერესებს ამ თითქმის ასწლიანი შეჯიბრების შედეგები, სავარაუდო გამარჯვებული, პერსპექტიული ველომრბოლელები...

ძალზე სამწუხაროა, რომ ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლები — ჯიროც, ტურიც და ვუელტაც — სისწრაფეში, გამძლეობასა და ოსტატობაში შეჯიბრების ნაცვლად, მედიკოსთა და ქიმიკოსთა შეჯიბრებად იქცა. ერთნი სულ ახალ და ახალ პრეპარატებს იგონებენ, მეორენი ათასგვარი ტესტებით მათ მხილებას ცდილობენ. და ასე დაუსრულებლად...

დოპინგი ველოსპორტში ლამის ნიკოლოზის დროიდან არსებობს, მაგრამ არავის მოუბრუნდება ენა მერქსის, ინოსა და ინდურაინის გამარჯვებები ეჭვქვეშ დააყენოს. არადა, არც ერთი მათგანი უარს არ ამბობდა სტიმულატორების ამა თუ იმ დოზით მიღებაზე და, სხვათა შორის, ისინიც და სხვებიც მშვენივრად გრძნობენ თავს. ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობის თვალსაზრისით მაინც.

ზევით მედიკოსთა და ქიმიკოსთა შეჯიბრება ვახსენე. ყველაზე ცუდი მთელ ამ კომპოტში ის არის, რომ არ არსებობს ნაღდი გარანტია იმისა, რომ სტიმულატორის მიმღებს აუცილებლად გაabამენ მახეში. ძალზე ცუდია, რომ არც კეთილსინდისიერი სპორტსმენია დაზღვეული შემმოწმებელთა უნებური შეცდომისაგან — აკრძალული პრეპარატების რიცხვმა ხომ კარგა ხანია ოთხასს გადააჭარბა. ამ ეგრეთ წოდებულ აკრძალულ პრეპარატებს კი მცირე დოზით, მაგრამ მაინც შეიცავს ყოველდღიურად სახმარი სრულიად უწყინარი წამლები და თქვენ წარმოიდგინეთ, საკვებიც კი..

ერთი სიტყვით, ამ დოპინგომანიას კიდევ გაუძლებდა კაცი, უშუალოდ რომ არ მოქმედებდეს საბოლოო სპორტულ შედეგებზე.

ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ბევრი ისევ აგრძელებს ამ პრეპარატების მიღებას, ბევრმაც უარი თქვა. ასე რომ, პირობები არათანაბარია. იმას, ვისაც ვერ უპოვნიან დოპინგის რაიმე კვალს — ეს კი, როგორც უკვე ვთქვით, სავსებით შესაძლებელია — უზარმაზარი უპირატესობა აქვს იმათთან შედარებით, ვინც პრეპარატებს აღარ ხმარობს.

ჯერჯერობით მხოლოდ ამას მიაღწია ბოლო წლებში ატეხილმა ანტიდოპინგურმა კამპანიამ.

ახლა ორიოდ სიტყვა უშუალოდ ჯიროზეც.

გუშინ სპორტსმენები ისვენებდნენ. დღეს მე-15 ეტაპია, რომელიც არაფერს გადაწყვეტს. აი, ხვალ და ზეგ კი, ჯიროს დამთავრებამდე 4 ტურით ადრე, აუცილებლად გაირკვევა ჯიროს წლევანდელი გამარჯვებული. მთები ლიდერთა ჯგუფს საბოლოოდ გაცხრილავს სხვადასხვა ჯურის პეპლებისა და ჩიტუნებისგან. „ნამდვილები“ კი იქ მაღალ მთებში გაარკვევენ ურთიერთობას. რაღა თქმა უნდა, კაცური საშუალებებით.

სპეციალისტთა აზრით, მათ შორის იქნებიან იტალიელები დარიო ფრიგო და ფრანჩესკო კასაგრანდე და კიდევ, როგორღაც უჩუმრად დაწინაურებული, ერთობ მორიდებული ავსტრალიელი კადელ ევანსი.

**ირაკლი ბერიაშვილი**

**25 მაისი. მეცამეტე ეტაპი**

კიეტი — სან ჯაკომო (190 კმ)

1 ხულიო პერეს კუაპიო (მექსიკა, „პანარია“) 5 სთ. 4 წთ. 2 წმ
2 კადელ ევანსი (ავსტრალია, „მაპეი“) +13 წმ
3 დარიო ფრიგო (იტალია, „ტაკონი სპორტ“) +17

**26 მაისი. მეთოთხმეტე ეტაპი**

ინდივიდუალური რბოლა 30 კმ

1 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, სი-ეს-სი) 4 წთ. 21 წმ
2 სერგეი გონჩარი (უკრაინა,) +31 წმ
3 კადელ ევანსი (ავსტრალია, „მაპეი“) +41

**საერთო ჩათვლა**

1 იენს ჰეპნერი (გერმანია, „ტელეკომი“) 64 სთ. 29 წთ. 54 წმ
2 კადელ ევანსი (ავსტრალია, „მაპეი“) 48 წთ
3 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, სი-ეს-სი) +1.06

## ჰოკეი

### NHL სტენლის თასი ნახევარფინალი

# გოლი გულის წამალია

25 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| კაროლინა | 3 |
| ტორონტო | 2 |

**კაროლინა 0:1 ტორონტო 0:1 0:0 0:0**
0:1 ტაკერი (19)

მას შემდეგ, რაც ტორონტო ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და უფსკრულის პირას აღმოჩნდა, მის სახელოვან თავკაც პეტ ქუინს ექიმებმა არ ურჩიეს როლიში გამგზავრება. გეხსომებათ, ქუინმა გულის შეტევის გამო მესამე მატჩი რომ გამოტოვა, მეოთხე შეხვედრაში კი გუნდს მაინც წარუძღვა.

უთავკაცოდ დარჩენილ ტორონტოს კიდევ რომ წაეგო, ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ კანადურმა კლუბმა შეძლო სნეული თავკაცის გახარება.

ტორონტოს შეცდომის უფლება არ ჰქონდა, ძალიან ფრთხილობდა. ამის გამო სტუმრებს ბევრი მომენტი არ შეექმნათ, მაგრამ ერთი მაინც გამოიყენეს. კაროლინას პირველივე გაძევება ძვირად დაუჯდა. ბრაიან მაკეიბის დარტყმის შემდეგ შაიბა ასხლტა და პირდაპირ დარსი ტაკერს მიუვიდა, მანაც უმალ კარში შეასრიალა.

ამის შემდეგ თამაში ძალიან დაიძაბა, განსაკუთრებით მესამე პერიოდში. კაროლინა სრულ უპირატესობას ფლობდა, არაერთი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ყველა სიტუაციაში ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფი გამოდიოდა გამარჯვებული. ჯოზეფმა ასალებიც მოიგერია და აუღებელიც.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| კოლორადო | 2 |

**კოლორადო 3:2 დეტროიტი 1:0 0:1 2:1**
1:0 რაინპრეხტი (8), 1:1 ფიოდოროვი (27), 2:1 საკიკი (41), 3:1 დრური (57), 3:2 ჰალი (60)

ამ ღირსეულ და დიდებულ კლუბთა შერკინებას ყველა ნაადრევ ფინალს უწოდებს. არცაა გასაკვირი, რომ მატჩიდან მატჩამდე მატულობს დაძაბულობა.

ორივე გუნდი იმსახურებდა მოგებას. დეტროიტის შემხედვარე ვერავინ იტყოდა, სტუმრად თამაშობსო. ინიციატივას მეტწილად „წითელფრთიანები“ ფლობდნენ. მხოლოდ მათი ზედმეტკომბინაციურობა იყო — თვალშისაცემი ისედაც ხელსაყრელ სიტუაციაში კიდევ შაიბის გათამაშებას ცდილობდნენ და ამით საქმეს აფუჭებდნენ. მხოლოდ ბოლო სამ წუთში გაამარტივეს დეტროიტელებმა თამაში, ისიც ოდნავ, და შედეგიც მიიღეს. შაიბა ფაქტობრივად არ ტოვებდა კოლორადოს ზონას. პატრიკ რუა სულ საქმეში იყო, მაგრამ ბოლოს ისიც უძლური აღმოჩნდა, როცა ბრეტ ჰალმა ახლო მანძილიდან დაარტყა. კიდევ კარგი, თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ სამი წამი რჩებოდა, თორემ „ეველანში“ ოვერტაიმს თავს ვერ გაართმევდა.

კოლორადო კი მომენტებს ბრწყინვალედ იყენებდა. დენვერული გუნდი ისედაც ამ საქმის სპეციალისტია და ამჯერად ხომ მთლად თავი გამოიდო. მარტო ჯო საკიკის გოლი რად ღირს. დეტროიტელი მცველების წამიერი შეყოვნება საკმარისი გამოდგა ბრწყინვალე ოსტატისთვის, გამოზომილად დაერტყა და დომინიკ ჰაშეკი გაეწბილებინა. პეტერ ფორსბერგმაც ისე ოსტატურად გადააწოდა კრის დრურის, რომ მან შაიბას ძალიან იოლად შეუცვალა მიმართულება. ეს გოლი გამარჯვებისა გამოდგა, რაც დრურისთვის პლეი ოფში ჩვეულებრივი ამბავია.

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS
დომინიკ ჰაშეკს შაიბა თავზე დაახტა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge